პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ბევრჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— რომში ჩავიდა ლიტვის პრემიერი ვოლდემარასი.
— რომის საგანგებო ტრიბუნალში დაიწყო 17 კომუნისტის პროცესი.
— ავსტრიის პარლამენტმა მიიღო კანონი უმუშევართათვის დახმარების შემცირების შესახებ.
— პანდეგლანტში (დასავლეთ იავა) სიკვდილით დასაჯეს ოთხი ინდონეზიელი კომუნისტი.
— 1-ლი იანვრისათვის დანიშნულია გომინდანის სრულიად ჩინეთის მე-3 ყრილობა.
— გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალ. სუმბათაშვილი — იუჟინი.

სამშაბათი, 20 სექტემბერი 1927 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 213 (1958)

ოთხშაბათს, ა. წ. სექტემბრის 21, საღამოს 7 საათზე შესდგება

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.
ს. ს. ცაკის მდივანი შ. მათიკაშვილი.

საფრანგეთის მემარჯვენეები დამარცხდენ

საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ გუშინ მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ „ამჟამად არაფერი არ ამართლებს დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტას“. საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. საფრანგეთის მთავრობის ეს გადაწყვეტილება მოწმობს, რომ სასტიკად დამარცხდენ დეტერდინგის აგენტები, რომლებიც საფრანგეთში აწარმოებდენ კამპანიას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესაწყვეტად. საფრანგეთის მთავრობის ამ დადგენილებამ საერთაშორისო და საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის წინაშე ნიღაბი ახადა მემარჯვენეებს, როგორც დიპლომატიური კონფლიქტის გამღვივებელთა ჯგუფს, რომელიც ცდილობს აიყოლიოს საფრანგეთის მთავრობა. ეს უკანასკნელი საჭიროდ არ სცნობს საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთ-ჩაურევლობის ხელშეკრულების ხელმეორედ დადებას, და კმაყოფილდება იმ ვალდებულებებით, რომლებიც 1924 წელში ორივე მთავრობამ აღუთქვა ერთი მეორეს. საფრანგეთის მთავრობამ ძირითადათ მიიღო საბჭოთა მთავრობის წინადადება ურთიერთ-თავდაუსხმელობის საკითხზე ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ და თავის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაავალა ამ საგანზე მოლაპარაკების გაგრძელება.

უარჰყოფს რა ურთიერთობის შეწყვეტის ავანტიურისტულ პერსპექტივას, საფრანგეთის მთავრობა, რასაკვირველია, ამით არსებითად ამოწურულად სთვლის საკითხს რაკოვსკის შესახებ. რამდენადაც ამ საკითხს აყენებდენ მხოლოდ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის მომხრენი, რომლებიც ხედავდენ მასში ურთიერთობის შეწყვეტის საბაბს, რაც უკვე აშკარაა ყველასათვის. სწორედ ასე უნდა გავიგოთ მინისტრი სარო, რომელმაც სთქვა, რომ რაკოვსკის საკითხზე გამოტანილი დადგენილება „თავის თავად საკმარისია“-ო.

ამნაირად, უდავოა საფრანგეთის რეაქციონერების დამარცხების ფაქტი. ამას აღიარებს მთელი საფრანგეთის პრესა, ზოგი—კმაყოფილებით, ზოგი— მწუხარებით.

მემარჯვენეებს აეხადათ ნიღაბი, როგორც ინგლისის ნავთის მრეწველთა მაკლერებს, რომლებიც ცდილობდენ საბჭოთა ნავთის განდევნას საფრანგეთის ბაზრიდან.

მათ აეხადათ ნიღაბი, როგორც ჩემბერლენის დაქირავებულთ, რომლებიც ცდილობდენ საფრანგეთის ხალხის შებმას ბრიტანეთის იმპერიალიზმის უღელში, იმ იმპერიალიზმის, რომელიც გრძნობს რა თავის ძირმომპალობას, დაადგა ავანტიურის გზას და ცდილობს ამ გზაზე სხვებიც გაიტყუილოს.

საფრანგეთის მემარჯვენეებს აეხადათ ნიღაბი, როგორც პარლამენტის შულერებს, რომლებიც 1928 წლის საარჩევნო კამპანიის წინ შეეცადნენ ინგლისში შეთითხნილ ანტისაბჭოთა საშუალებების გამოყენებას და რეაქციონურ ტენდენციებზე სპეკულიაციის გაწევას თავის მემარცხენე მეტოქეების წინააღმდეგ.

დაბოლოს, გამოაშკარავებულია მათი ბნელი თამაში, თამაში ამ ავანტიურისტების, რომელნიც ფეხქვეშ თელავენ ასობით და ათასობით წვრილ მესაკუთრეთა, რუსეთის სესხის ობლიგაციების მეპატრონეთა ინტერესებს.

ამნაირად საფრანგეთის რეაქციონერთა პოლიტიკური დახასიათება შეიცავს შემდეგ მეტად „საპატივსცემლო“ სახელწოდებებს: ცეცხლის წამკიდებელნი, მაკლერები, ცბიერნი, დაქირავებულნი, შულერები და ავანტიურისტები. ასე გაშიშვლებული დავტოვოთ ისინი საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის წინაშე.

შეუძლია მხოლოდ საბჭოთა კავშირს კმაყოფილება გამოსთქვას, რომ საფრანგეთის მთავრობა არ დაადგა ბნელეთის მოციქულთა მიერ მითითებულ გზას და ხელი შეგვიწყო ამ ბნელეთის მოციქულთა ნამდვილი ფიზიონომიის გამოჩენაში.

ჩვენი კავშირის მუშებს და გლეხებს ნამდვილად სურთ მშვიდობიანობა. ისინი დაინტერესებული არიან ეკონომიური ურთიერთობით კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ეს მათ დაამტკიცეს თავისი დელეგატების გაგზავნით კერძოდ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკების მწარმოებელ კომისიაში. თავის თავად ცხადია, რომ ეს კომისია ვერ შესძლებდა მუშაობას არა მარტო დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში (მაგალითად, ეს საკმაოდ დაგვიმტკიცა ინგლისთან ურთიერთობის შეწყვეტამ), არამედ იმ შემთხვევაშიაც, თუ ცოტაოდნად შეირყეოდა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა.

ამიტომ გამოვსთქვამთ იმედს, რომ საფრანგეთის მთავრობა, რომელმაც ხანგრძლივი დუმილის შემდეგ გაილაშქრა დიპლომატიური კონფლიქტის გამღვივებელთა წინააღმდეგ, შემდეგშიც გაითვალისწინებს საფრანგეთის ხალხის ნება-სურვილს და დაადგება საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცების გზას.

„პრავდა“, 19 სექტემბერი.

200 მილიონი

ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცება, რომლის მეათე წლის თავის დღესასწაულისათვისაც ჩვენ ვემზადებით, მოითხოვს მის ეკონომიური ბაზის გამაგრებას—ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა, მისი ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებას. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ნიშნავს ძველი ქარხნებისა, ფაბრიკებისა, ელექტრო-სადგურებისა, არხებისა და რკინის გზების გაფართოებას და ახალ ნიადაგზე მოწყობას, ახალი ქარხნების, ფაბრიკების და სხ. აგებას, მანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების წარმოების გაძლიერებას. ეს კი, თავის მხრივ ნიშნავს უმუშევრობის შემცირებას, რეალური სამუშაო ხელფასის გადიდებას, სასოფლო მეურნეობის აღორძინებას, მოსახლეობის უზრუნველყოფას საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმოებით, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებას.

სახალხო მეურნეობის ომამდე არსებული დონის აღდგენა ახალ უმაღლეს ტექნიკურ საფუძველზე პირველი ნაბიჯი იყო ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგის—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგის განხორციელების გზაზე. განვლილ სამეურნეო წელში შემდეგი ნაბიჯი გადავდგით: კაპიტალურ მშენებლობაში 1 მილიარდ მან. მეტი დავაბანდეთ. მომავალ 1927—28 სამეურნეო წელში ეს თანხა წარსულ წელში დაბანდებულ თანხას 150 მილ. მან უნდა აღემატებოდეს.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში მუშურ სახელმწიფოს თავისი გეგმების აშენება არ შეუძლია უცხოეთის კაპიტალისტების კრედიტებზე. შინაურმა უთანხმოებამ იმპერიალისტურ მტაცებელთა ბანაკში შეიძლება შექმნას ფინანსიურ ბლოკადის დროებითი და კერძოობითი გარღვევა. მაგრამ ეს ბლოკადა არსებობს. იმპერიალისტები სცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენს სამეურნეო და კულტურულ ზრდას. ისინი სცდილობენ ჩვენი ქვეყანა გადააქციონ თავის კოლონიად. ისე როგორც მაგ. ინდოეთი, ჩინეთი, სადაც უცხოელები სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები არიან და საძაგელი მეთოდებით ყოველგვარ ადამიანურ უფლებას მოკლებულ მოსახლეობას ყვლეფენ უმაგალითოდ, იღებენ მისგან აუარებელ მოგებას.

იმპერიალისტების ცდას, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის დამონავებისაკენ, ჩვენ უნდა უპასუხოთ ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებით, უნდა უპასუხოთ არა მარტო ჩვენი სამხედრო უნარის განმტკიცებით, არამედ ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგის უფრო მედგრად გატარებით. რისთვისაც საჭიროა დიდძალი საშუალებანი. ფინანსები უნდა მოეწყოს, თანხები ინდუსტრიალიზაციისათვის უნდა გამოინახოს უპირველეს ყოვლისა თვით საბჭოთა კავშირის მშრომელთა ძალების მიერ. საბჭოთა მთავრობა ინდუსტრიალიზაციის 200 მილ. სესხს უშვებს. სესხის სახელწოდება გვიჩვენებს თავის დანიშნულებას: იგი ნიშნავს: 200 მილიონი მან. ჩვენი მრეწველობის გაფართოებისა და ახალ ნიადაგზე მოწყობისათვის, ახალი ფაბრიკების, ქარხნების, ელექტრო-სადგურების აგებისათვის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების წარმოებისა და ჩვენი კულტურის ნივთიერი ბაზის გაძლიერებისათვის. ეს 200 მილიონი მანეთი უნდა შეგროვდეს ობლიგაციების გაყიდვით, რომელიც უნდა შეიძინოს ყველამ სინდისიერმა მშრომელმა, საბჭოთა კავშირის ყოველმა შეგნებულმა მოქალაქემ, ყველა კომუნისტმა, პირველ რიგში. ობლიგაცია ეს ვალია, რომელსაც იღებს სახელმწიფო და რომელიც დაწესებულ ვადაში იქნება განაღდებული. ობლიგაციის ყიდვა-ნიშნავს ფულის სესხებას სახელმწიფოსათვის, მეტად სასარგებლო პირობებში და ამასთანავე მონაწილეობის მიღებას ფინანსიური თავდაცვის, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. დეე, ყოველმა პატიოსანმა მოქალაქემ არა მარტო შეიძინოს ობლიგაცია, არამედ ინდუსტრიალიზაციის სესხის აქტიური აგიტატორი გახდეს. ეს მოვალეობა განსაკუთრებით უნდა შეასრულონ შეგნებულმა პროლეტარმა-კომუნისტებმა. მათი მაგალითი წასაბაძი უნდა გახდეს სხვა ამხანაგებისათვის. როგორც ყოველთვის და ყოველგან ისინი წინ უნდა იყვენ დღევანდელი ლოზუნგის განხორციელებაში.

ყოველ მუშას, მოსამსახურეს, გლეხს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის უნდა ჰქონდეს ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაცია.

ყოველი მანეთი, მიღებული სესხის რეალიზაციით, მოხმარდება ახალი ქარხნების აგებას, სასოფლო-სამეურნეო იარაღების წარმოების გაძლიერებას.

მ. ლისოვსკი.

რუმინეთ-უნგრეთის კონფლიქტი ერთა ლიგის სესიაზე
გლეხთა რევოლიუციონური მოძრაობა გუანდუნის პროვინციაში ფართოვდება
სვატოუს, გონკონგის და კანტონის პროფკავშირებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ინგლისის გემებს
„საფრანგეთის მთავრობას აზრად არა აქვს მოითხოვოს საბჭოთა ელჩის გაწვევა“

ერთა ლიგის სესიაზე

მორიგი კონფლიქტი

ჟენევა, 18 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე **ჩემბერლენმა** წაიკითხა იმ კომისიის დასკვნა, რომელმაც მისივე თავმჯდომარეობით განიხილა რუმინეთ-უნგრეთის კონფლიქტი. რუმინეთ-უნგრეთს შორის კონფლიქტი წარმოიშვა სემიგრადში მცხოვრებ უნგრელების მიწების კონფისკაციის ნიადაგზე.

კომისიის დასკვნა მიმართულია უნგრეთის ინტერესების წინააღმდეგ.

უნგრეთის წარმომადგენელმა სასტიკად გაილაშქრა კომისიის დასკვნის წინააღმდეგ და მოითხოვა კონფლიქტის გადაცემა განსახილველად ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალისათვის. ამასთანავე მან განაცხადა, რომ **კომისიის დასკვნის მიღება სახელს გაუტეხდა საქმის სამედიატორო წესით გარჩევის იდეას და კიდევ უფრო შეარყევდა ერთა ლიგისადმი ნდობას“.** (ადს).

უნგრეთის დამარცხება

ვენა, 18 სექტემბერი. უკეთებენ რა კომენტარიებს ერთა ლიგის იურიდიული ექსპერტების დასკვნას, რომელიც საფუძვლად დაედო ჩემბერლენის კომისიის დადგენილებას, **უნგრეთის გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ უნგრეთის თვალსაზრისის დამარცხებას და მკაცრად ილაშქრებენ ერთა ლიგის წინააღმდეგ.** (ადს).

ანტი-საბჭოთა კამპანიის ჩაშლის შემდეგ

„საბჭოების გამარჯვება“

პარიზი, 18 სექტემბერი. უკეთებს რა კომენტარიებს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებას საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის საკითხის შესახებ, **„ჟურნალ დე დება“** წერილში სათაურით: „საბჭოების გამარჯვება“, სწერს:

„მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება არ იყოს მოულოდნელი საზოგადოებრივი აზრისათვის, მაგრამ ის უეჭველად, არ შეეფერება არც საქმის მდგომარეობას და არც ქვეყანაში არსებულ სულიერ განწყობილებას. ეს საკუთარი უძლურების აღიარება ხელს შეუწყობს კომუნისტურ პროპაგანდას. კომუნისტები აქედან გამოიტანენ დასკვნას, რომ ლიტვინოვმა შესძლო ისეთი გამოსავლის მონახვა, რომელმაც კაპიტულიაციამდე მიგვიყვანა ჩვენ. საფრანგეთისათვის უმჯობესი იქნებოდა წინანდებურად უსიტყვოდ აეტანა შეურაცყოფა“. (ადს).

გავასის კომენტარიები

პარიზი, 18 სექტემბერი. გავასის დიპლომატიური რედაქტორი კომენტარიებს უკეთებს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებას და სწერს:

„თავშეკავებულობისა და ზრდილობის სრულიად ბუნებრივ გრძნობის გამო, ოფიციალური ცნობა არაფერს ამბობს რაკოვსკის პირად საქმის შესახებ. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ერბერტს, რომელსაც დაუყოვნებლივ ეცნობა საბჭოს გადაწყვეტილება, არ ეგრძნობინებია ამის შესახებ ჩიჩერინისათვის — მასთან შეხვედრის დროს. ამიტომ უკანასკნელს აქვს დრო გამოარკვიოს, არის თუ არა რაკოვსკი სავსებით შესაფერი, რომ განაგრძოს პარიზში დიპლომატიური მოლაპარაკება, რომელმაც უნდა განამტკიცოს ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის.

ზოგიერთ რუსულ წრეებში გვარწმუნებენ, რომ ამ თვის ბოლოს რაკოვსკი ფიქრობს მოსკოვში გამგზავრებას“. (ადს).

საფრანგეთის პრესის კომენტარიები

პარიზი, 19 სექტემბერი. პრესის კომენტარიებში მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების გამო საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის საკითხის შესახებ აღნიშნავენ სამ მომენტს:

1) გადაწყვეტილება თავისი აზრის მიხედვით შეიცავს საფრანგეთის მთავრობის სურვილს, რომ რაკოვსკი გამოწვეულ იქნას და რომ მისი გამოწვევა მოხდეს ყოველ ხმაურობის გარეშე საბჭოთა მთავრობის მხრივ.

2) საფრანგეთის მთავრობა ბრიანს ანდობს ეს საკითხი გადასწყვიტოს რაკოვსკისთან უშუალო მოლაპარაკებით, რომ „წარმატებით დამთავრდეს მოლაპარაკება თავდაუსხმელობის პაქტის შესახებ“.

3) საფრანგეთის მთავრობას სრულიად არ აქვს განზრახვა მოითხოვოს ელჩის გამოწვევა საზოგადოდ. გაზეთი „ვიქტუარი“ სწერს:

„ცვლილება მთავრობის პოლიტიკაში გამოწვეულია ბრიანის ჩარევით. ბრიანი დაჟინებით მოითხოვს დაიდოს პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ და ამავე დროს მანვე იკისრა დააჯეროს რაკოვსკი, რომ საბჭოთა ელჩის პოსტი დასტოვოს ავადმყოფობის საბაბით. ბრიანი გადადგომით იმუქრებოდა, თუ მთავრობა მიიღებდა გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ“.

„გოლუა“ აღშფოთებულია იმით, რომ საფრანგეთი „საბჭოთა კავშირს ეპყრობა ისე, როგორც დიდ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ლოკარნოს ხელშეკრულებას“.

„ავენირი“ აქვეყნებს „მატენი“-ს განცხადებას, რომელშიაც ნათქვამია: „ჩვენ მიერ მიღებული ცნობებით, მოსკოვის მთავრობას მეტად ზრდილობიანი დიპლომატიური ფორმით მიუთითებენ, რომ რაკოვსკი აღარ წარმოადგენს საფრანგეთის მთავრობისათვის სასურველ პიროვნებას და რომ საფრანგეთის მთავრობისათვის სასურველია, რომ თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისათვის, რაც შეიძლება მალე მოხდეს რაკოვსკის შეცვლა სხვა პირით“.

გაზეთი „ჟურნალი“ აცხადებს, რომ მიღებული ცნობებით, **მთავრობის წევრები ცდილობდენ არ ჩაედინათ ისეთი რამ, რასაც შეეძლო გამოეწვია ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან და ბრიანს მისცეს მოქმედების თავისუფლება, რომ მან თვითონ შეაფასოს რაკოვსკის პოზიცია.**

„პტი პარიზენი“ სწერს: „ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს განვაცხადოთ, რომ საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს პასუხში ჩიჩერინის მიმართ ხაზგასმით იქნება აღნიშნული, რომ თავდაუსხმელობის პაქტის გარშემო მოლაპარაკების წინასწარ **პირობათა შორის პირველ და უმთავრეს რიგში სდგას საკითხი იმ პიროვნების შესახებ, რომელიც აწარმოებს ამ მოლაპარაკებას.**

„ერ ნუველი“, ეხება რა საკითხს რაკოვსკის პიროვნების შესახებ, სწერს: **„ბავშვობა იქნებოდა პრობლემის მცოდნე პარტნიორის მოშორება ამ მოლაპარაკებაში და მისი შეცვლა არაფრის მცოდნე ახალი პიროვნებით“.**

გაზეთი „სუარი“ ამტკიცებს, რომ მას აქვს ცნობები, ვითომც ბრიანმა თავის კოლეგებს (კაბინეტით) განუცხადა, რომ **რაკოვსკის გამგზავრება შექმნის დაბრკოლებებს, რომელთა ძლევა** ძნელი იქნება. მინისტრთა საბჭომ ბრიანს დაავალა თვითონ გადასწყვიტოს საკითხი საფრანგეთ-საბჭოთა დიპლომატიური ურთიერთობის საკითხების, და მათ შორის რაკოვსკის საკითხის გადაწყვეტა.

„ინცინდენტი რაკოვსკისთან,—სწერს გაზეთი,—უკვე დამთავრებულია, შეთქმულება, რომლის სათავეშიაც სდგას მილიერანი, მარცხი განიცადა“.

„ლიუმანიტე“ სწერს: „მინისტრთა საბჭოს მერყეობა ამართლებს იმ პრესის ბანდიტების ყველა იმედებს, რომელიც დეტერდინგის ხარჯზე არსებობს. ანტი-საბჭოთა კამპანიის ხელმძღვანელებს ფართოდ უნდოდათ განევითარებიათ მუშაობა. ეხლანდელი ინცინდენტი ჯერ კიდევ არ არის ამოწურული“. (ადს).

„ტანი“ რაკოვსკისთან ინცინდენტის შესახებ

პარიზი, 19 სექტემბერი. ყველა გაზეთები ათავსებენ „ტანი“-ს წერილს საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. „ტანი“ სწერს: „რაკოვსკის პირადი მდგომარეობა ფრიად სამძიმო გახდა შეიძლება ითქვას, აუტანელიც. რა ავტორიტეტი უნდა ექნეს დიპლომატს, რომლის მოქმედებამაც გამოიწვია საფრანგეთის მთავრობის ენერგიული განცხადება და, რომელიც სახელგატეხილია მოსკოვის მიერ? თუნდაც სწორი, რომ იყოს ის ცნობა, რომ საფრანგეთის მთავრობა არ მოითხოვს რაკოვსკის გაწვევას, მისი გაწვევა მაინც აუცილებელი ხდება რუსეთ-საფრანგეთ შორის დიპლომატიური ურთიერთობის ნორმალური განვითარებისათვის. ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების ერთ - ერთ წინასწარ პირობას, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, წარმოადგენს რაკოვსკის შეცვლა ისეთი დიპლომატით, რომლის წინააღმდეგ არავის არაფერი ეთქმის, ამგვარად, პასუხიმგებლობა ამ შემთხვევაში აწევს საბჭოთა მთავრობას და მან უნდა გამოარკვიოს, რაა საჭირო, რომ მოლაპარაკებას ნაყოფიერი შედეგი მოჰყვეს, ვინაიდან ეს არის უკანასკნელი ცდა, რომელსაც ჯერ კიდევ შეიძლება მიმართონ“.

„პტი ჟურნალი“-ს ცნობით, რომელსაც გაზეთი სარწმუნო წყაროდან მიღებულს უწოდებს, წინასწარი პირობა ხელშეკრულების შესახებ შეიცავს, უპირველეს ყოვლისა, ასეთივე თავდაუსხმელობის პაქტის დადებას ბალკანეთის სახელმწიფოებთან, და პირველ რიგში, პოლონეთთან. (ადს).

ბრიანის დიდი გამარჯვება

ჟენევა, 19 სექტემბერი. ჟენევის დიპლომატიური წრეები საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ, **აფასებენ როგორც ფაქტს ბრიანის დიდი გამარჯვებისა მიმდინარეობაზე, რომელიც სცდილობს საფრანგეთის პოლიტიკა „რუსეთის საკითხში“ წარმართოს ინგლისის კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკის ხაზით.** გადაწყვეტილება განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება გამოიწვია, ვინაიდან ჟენევის დიპლომატიური წრეები დარწმუნებული იყვნენ, რომ საფრანგეთის მთავრობა საბჭოთა კავშირს წარუდგენს რაკოვსკის გამოწვევის მოთხოვნილებას მაინც. (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

ჩან-კაი-შის მომხრეები

შანხაი, 18 სექტემბერი. გომინდანის შანხაის განყოფილებამ, რომელიც **ბაი-ცზუნ-სის** გავლენის ქვეშ იმყოფება, ნანკინის მთავრობას მიმართა თხოვნით, რომ დაპატიმრებულ იქნას გენერალი **იან ხუ და შანხაის ტრიბუნალის ყოფილი თავმჯდომარე ჩენ ჩუენი.**

იან ხუ და ჩენ-ჩუენი ხელმძღვანელობდენ მუშათა ორგანიზაციების დარბევას და რევოლიუციონერების სიკვდილით დასჯას შანხაიში ჩან-კაი-შის გადატრიალების შემდეგ 1927 წ. აპრილში.

იან ხუ და ჩენ ჩუე ჩან-კაი-შის მომხრენნი არიან და მასთან ერთად გადადგენ. (ადს).

ბოიკოტი ინგლისის გემებს

შანხაი, 18 სექტემბერი. ჩინური გაზეთების ცნობით, **სვატოუს, გონკონგის და კანტონის პროფკავშირებმა ინგლისის გემებს გამოუცხადეს ბოიკოტი** ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისის სამხედრო ხელისუფლებამ (გონკონგში) დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა ბიასში (გუანდუნის სამხრეთით) „ბანდიტიზმთან ბრძოლის“ საბაბით. ჩინელი მტვირთველები უარს აცხადებენ ინგლისის გემების დატვირთვა-გადმოტვირთვაზე.

გაფიცვის კომიტეტმა შანხაის ყოველ „პროფკავშირთა კომისიას“ სთხოვა დახმარება, მაგრამ პროფკავშირთა კომისიის წრეები ამ თხოვნას უარყოფით შეხვდენ. (ადს).

საგანგებო კომიტეტი

შანხაი, 18 სექტემბერი. ნანკინიდან იტყობინებიან, რომ გომინდანის ცეკას და ახლად დანიშნულ საგანგებო კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც ყველა ფრაქციის წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა, ჩამოყალიბებულ იქნა საგანგებო კომიტეტის შემდეგი უფლება-მოვალეობანი: **გომინდანის მე-3-ე ყრილობის მოწვევამდე საგანგებო კომიტეტზე გადადის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ყველა ფუნქციები; საგანგებო კომიტეტს ევალება გააერთიანოს გომინდანის სხვადასხვა ცენტრები ჩინეთში და ჩაატაროს წინასწარი მუშაობა გომინდანის მე-3-ე ყრილობის მოსაწვევად.** ყრილობა მოწვეული იქნება 1928 წლის 1 იანვრისათვის. (ადს).

მასიური აჯანყება

მაკაო, 18 სექტემბერი. გუანდუნის დასაცავად ი-ე-ტინის და ხო-ლუნის რევოლიუციონურ ჯარების იერიშებისაგან **კანტონის დირექტორმა ლი-ტი-სინმა აღმოსავლეთის მდინარის რაიონში გადასხა სამი დივიზია. მაგრამ ლი-ტი-სინის ჯარების წინსვლა შეაჩერეს ჩენ-ჩი-მის მე-6-ე კორპუსის აჯანყებულმა ნაწილებმა ქალაქ ვეიჩჟოუში. გლეხთა აჯანყებებს ადგილი აქვს გუანდუნის პროვინციის სხვადასხვა რაიონებში. აჯანყება მოედო აგრეთვე სვატოუს რაიონს პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთს და ხენანის კუნძულს.** (ადს).

15 საბჭოთა მოქალაქის საქმე

პეკინი, 18 სექტემბერი. 17 სექტემბერს ჩინეთის სასამართლოს მიერ დაკითხულ იქნენ **გამბერგი, მაროზოვი და დემჩინსკი,** რომლებიც დააპატიმრეს საელჩოს ტერიტორიაზე თავდასხმის დროს. პროკურორი გამბერგს ბრალად სდებს კომპარტიის წევრობას და თავდასხმას დოკუმენტების დაწვაში მონაწილეობის მიღების დროს; დემჩინსკი'ს ბრალი ედება იმაში, რომ ის კომუნისტია, მონაწილეობას იღებდა საელჩოში გამართულ კრებებზე და იყო საიდუმლო აგენტი; მოროზოვსაც საიდუმლო აგენტობას აბრალებენ. უკანასკნელ სამ ბრალდებულს 15 საბჭოთა მოქალაქიდან, რომლებიც საელჩოზე თავდასხმის დროს იყვენ დაპატიმრებული, დაჰკითხავენ მომავალ სამშაბათს.

გაზეთები ათავსებენ რეიტერის ცნობას ჩინურ წყაროებიდან, რომ 15 საბჭოთა მოქალაქის საქმის წინასწარი გარჩევა დამთავრდა და რომ ისინი თითქოს ცნობილ იქნენ დამნაშავედ ჩინეთში შინაურ მღელვარების გამომწვევ აგიტაციის წარმოებაში; მოსამართლე, თითქოს, ამ გადაწყვეტილებას აყალიბებს წერილობით ფორმაში, რომ საქმე გადასცეს უზენაეს პროკურატურის სასამართლოს. დამცველმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენლის საშუალებით გადასცა გაზეთებს ცნობა, რომელიც უარჰყოფს რეიტერის მიერ გადმოცემულ ამ ცნობას დაპატიმრებულთა შესახებ. (ადს).

მასლოვ-რუტ ფიშერის ჯგუფის წინააღმდეგ

კომინტერნის აღმასკომის პასუხი მასლოვ-რუტ ფიშერის ჯგუფის განცხადებაზე

მოსკოვი, 19 სექტემბერი. კომინტერნის აღმასკომმა მასლოვ-რუტ ფიშერისაგან მიღებულ განცხადებაზე, რომელსაც ხელს აწერდენ პარტიის 17 ყოფილი წევრები, მათ რიცხვში მასლოვი, რუტ ფიშერი, შოლემი და ურბანსი, გამოაქვეყნა პასუხი, რომელშიაც ნათქვამია:

„აღნიშნული პირების უკან მიღება კომინტერნში, რასაც ისინი ამჟამად თხოულობენ, შეუძლებელია. კომინტერნის აღმასკომი გადაჭრით უარჰყოფს ასეთ წინადადებებს, როგორც წინადადებებს, რომლებიც გამომდინარეობენ კომუნისტური მოძრაობის რენეგატებისაგან. მასლოვის ჯგუფი თავის განცხადებაში კისრულობს „პროლეტარული დიქტატურის პირველი ქვეყნის —საბჭოთა კავშირის“ დაცვას, ხოლო ფაქტიურად ყველა საშუალებებით ცდილობს საბჭოთა ქვეყნის, საბჭოთა ხელისუფლების და ხელმძღვანელი კომუნისტური პარტიის სახელის გატეხას და ამით ხელს უწყობს მსოფლიო იმპერიალიზმს მის გააფთრებულ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

არაფერია საერთო პროლეტარულ დიქტატურისათვის ბრძოლასა და პროლეტარულ დიქტატურაზე თავდასხმას შორის; კომინტერნის ორგანიზაციასა და მის დეზორგანიზაციას შორის; არაფერი აქვს საერთო პოლიტიკას, რომელიც წინააღმდეგობას უწევს საბჭოთა კავშირზე თავდამსხმელ საერთაშორისო ბურჟუაზიას, იმ პოლიტიკასთან, რომელიც გამოხატავს გერმანიის ბურჟუაზიის „დასავლეთის ორიენტაციას“; არაფერია საერთო პროლეტარულ რევოლიუციისადმი პატიოსან სამსახურსა და ბურჟუაზიულ სასამართლოს წინაშე ლაქიურ პირფერობას შორის.

კომინტერნი აფასებს თვითეულ სინდისიერ პროლეტარს, მაგრამ იგივე კომინტერნი გადაჭრით უარჰყოფს იმ რენეგატთა ჯგუფის ცდას, რომელიც ეძებს ორგანიზაციულ კომპრომისს. კომინტერნს ამ ჯგუფის ცდა და სურვილები მიაჩნია იმ პირთა ულირს სამანევრო პოლიტიკანობით, რომლებსაც, მათივე თქმით, არაფერი აქვთ საერთო კომინტერნთან. მასლოვის ჯგუფი დღეს აწარმოებს თავის გაიძვერულ პოლიტიკას, რომელიც თავის დროზე დაგმობილი იქნა კომინტერნის მიერ. მასლოვის მთელი პოლიტიკური წარსული წარმოადგენდა ბრძოლას ლენინიზმის წინააღმდეგ, დღეს კი ის თავს აცხადებს ორთოდოქსალურ ლენინელად. მისი ჯგუფის მთელი მუშაობა წარმოადგენს გამთიშველ მუშაობას და ის არსებობს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ბურჟუაზიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში; ამჟამად კი ეს ჯგუფი აცხადებს, რომ მზად არის დაიცვას საბჭოთა კავშირი. მასლოვის ჯგუფმა, რომელსაც პროლეტარიატის წინაშე ჯერ არ გაუმართლებია თავისი ულირსი საქციელი სასამართლოში, თავის ორგანოს საშუალებით აშკარად აცნობდა პოლიციას კომინტერნის არალეგალურ მუშაკებს, დღეს კი არწმუნებს კომინტერნს, რომ ის ერთგულია კომინტერნის მთლიანობისა.

თუ დღეს რუსეთის ოპოზიცია უკანა რიცხვით კისრულობს მასლოვის ჯგუფის დაცვას, ეს არის მხოლოდ იმის აშკარა მაჩვენებელი, თუ რა იდეურ დაცემამდე მივიდა საკავშირო კომ. (ბ) რიგებში თვით ოპოზიცია და არა იმის არგუმენტი, რომ მიღებული იქნეს უკან კომინტერნში მორალურად და პოლიტიკურად გაკოტრებული ჯგუფი, რომელიც ცილს სწამებდა საბჭოთა კავშირს, საკ. კომ. პარტიას და კომინტერნს და რომელიც კომინტერნის აღმასკომის მე-7 პლენუმმა დაახასიათა, როგორც „კლასობრივი მტრის აგენტები“ და მოუწოდებდა ყველას „ისეთივე ულმობელ ბრძოლისაკენ ამ ჯგუფის წინააღმდეგ, როგორსაც სხვა სოციალ-გამცემლების წინააღმდეგ“.

ზემოაღნიშნულის გამო, კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი ადგენს: უარჰყოს 17 რენეგატის შუამდგომლობა კომინტერნში უკანვე მიღების შესახებ. (ადს).

იტალია და ლიტვა

რომი, 18 სექტემბერი. რომში ჩასულმა ლიტვის პრემიერმა **ვოლდემარასმა** ინახულა მეფე; 18 სექტემბერს ვოლდემარასი მიიღო მუსოლინიმ.

ოფიციოზური ცნობაა, რომ ახლო მომავალში ხელმოწერილი იქნება იტალია-ლიტვის საარბიტრაჟო ხელშეკრულება. (ადს).

რომი, 19 სექტემბერი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ მუსოლინიმა და ლიტვის გარეშე საქმეთა მინისტრმა ვოლდემარასმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულობას არბიტრაჟისა და სავაჭრო შეთანხმების შესახებ.

სავაჭრო შეთანხმება აწესებს საბაჟო ტარიფების საშეღავათო რეჟიმს (ადს).

სეიმი და პილსუდსკი

ვარშავა, 18 სექტემბერი. დიკოვში დამთავრდა პოლონეთის ყველა კონსერვატორულ ჯგუფების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც 3 დღე გრძელდებოდა.

პილსუდსკის წარმომადგენელმა ყრილობაზე გააკეთა პოლიტიკური მოხსენება, რომელიც ყრილობამ მოიწონა.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, **რომ ყრილობის მოწვევა გამოიწვია კონფლიქტის გამწვავებამ სეიმსა და მთავრობას შორის. საერთო აზრი ისეთია, რომ მთავრობა, ალბად, მოინდომებს, რომ ეს კონფლიქტი „რადიკალური გზით“ გადასჭრას.** (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ინდონეზიის კომუნისტების დასჯა

ამსტერდამი, 18 სექტემბერი. პანდეგლანში (ბანტმის პროვინცია, დასავლეთ იავაზე) სიკვდილით დასაჯეს 4 ინდონეზიელი კომუნისტი. (ადს).

პროფმოძრაობის კონფერენცია

მექსიკა, 18 სექტემბერი. ამ დღეებში სალტილიოში (მექსიკა) გაიხსნება პროფორგანიზაციების კონფერენცია პროფმოძრაობის მთლიანობის განსახორციელებლად მექსიკაში. კონფერენციაზე დაესწრებიან შრომის ფედერაციის წარმომადგენლები 18 შტატიდან. შესაძლებელია კონფერენციის შემდეგ შეიქნას მექსიკის პროფკავშირთა ახალი ფედერაცია. (ადს).

განაჩენი ბელანჟეს, მონმუსოს და სხ. საქმეზე

პარიზი, 18 სექტემბერი. სისხლის სამართლის სასამართლომ, რომელიც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის მიუღებლად მოქმედობს, გამოიტანა განაჩენი ბელანჟეს, მონმუსოს და სხ. საქმეზე.

სასამართლომ ბელანჟეს მიუსაჯა დაპატიმრება 10 წლის ვადით და დაჯარიმება 15.000 ფრანკით, გაის—8 წლის ციხე და 6.000 ფრანკი ჯარიმა, მონმუსოს და კლამამიუსს—4 წლის ციხე და 4.000 ფრანკი ჯარიმა თითოს, კუტეილს და ჟოზეფს 3 წლის ციხე და 3.000 ფრანკი ჯარიმა თითოს. (ადს).

კუკის წერილი

ლონდონი, 10 სექტემბერი. კუკმა „დეილი ჰერალდ-ში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც სწერს:

„მე ადგილობრივ გამოვარკვიე მუშათა მასების განწყობილება და ეს მაძლევს უფლებას განვაცხადო, რომ ედინბურგის ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილება ინგლის-რუსეთის კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ არ გამოხატავს ამ მასების თვალსაზრისს. ყრილობის გადაწყვეტილება კონსერვატორული მთავრობის მოქმედების გამართლებას წარმოადგენს. ეს გადაწყვეტილება აქეზებს იერიშებს რუსეთის წინააღმდეგ და თუ ძალაში დარჩა, უეჭველად გამოიწვევს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“. (ადს).

მფრინავ სკალას აპარატის დამტვრევა

კრასნოიარსკი, 19 სექტემბერი. 18 სექტემბერს, კრასნოიარსკიდან 100 ვერსის მანძილზე ჩეხო-სლოვაკიის მფრინავ სკალას აპარატი დაიმტვრა. მფრინავი და მექანიკოსი უვნებლად გადარჩენ. აპარატის დარჩენილი ნაწილები რკინის გზით იგზავნება პრაღაში. (ადს).

კაპაბლანკა-ალიოხინის მატჩი

ბუენოს აირესი, 19 სექტემბერი. პირველ თამაშში კაპაბლანკა დანებდა ალიოხინს 43 სვლის შემდეგ. შემდეგი თამაში გაიმართება 19 სექტემბერს. (ადს).

ჰანრი ბარბიუსის საპატივსაცემო საღამო

მოსკოვი, 19 სექტემბერი. 18 სექტემბერს შესდგა ჰანრი ბარბიუსის საპატივსაცემო საღამო. საღამო გახსნა ამხ. ლუნაჩარსკიმ, რომელიც ფრანგულ ენაზე მიესალმა ჰანრი ბარბიუსს. მისალმების სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე სამხატვრო აკადემიის წარმომადგენელმა. საპასუხო სიტყვაში ჰანრი ბარბიუსმა დიდის ენტუზიაზმით ილაპარაკა იმ ღრმა სიყვარულის შესახებ, რომელიც აერთიანებს მას საბჭოთა კავშირთან. (ადს).

საბჭოთა მწერლების ფედერაციის ფონდი

მოსკოვი, 19 სექტემბერი. სახალხო კომისართა საბჭომ ფინანსთა სახალხო კომისარიატს მისცა წინადადება, რომ რ. ს. ფ. ს. რ. პრესის ფონდის საკითხის განხილვის დროს ამ ფონდში შეტანილ იქნას 200.000 მან. გაერთიანებულ საბჭოთა მწერლების ფედერაციის გამომცემლებისათვის და 100.000 მან. ლიტერატურული ფონდის შესაქმნელად. (ადს).

დამბლის ეპიდემია

რომი, 18 სექტემბერი. იტალიის ესკადრამ უარი სთქვა ბულგარეთის და რუმინეთის შავი ზღვის ნავსადგურებში შესვლაზე იმ მომიზეზებით, რომ რუმინეთში ბავშვების დამბლის ეპიდემია მძვინვარებს. (ადს).

ბეთჰოვენის სახელობის საზოგადოება

მოსკოვი, 19 სექტემბერი. მოსკოვში ეწყობა ბეთჰოვენის სახელობის საზოგადოება, რომლის საპატიო თავმჯდომარე იქნება განათლების სახ. კომისარი ამხ. ლუნაჩარსკი. საზოგადოების მიზანია: ბეთჰოვენის მუსიკალური შემოქმედების და მისი მხატვრული იდეების გაცნობა მუშურ-გლეხური ფართო მასებისათვის. (ადს).

ფულის დაგროვების ორკვირეული

მოსკოვი, 19 სექტემბერი. ფულის დაგროვების ორკვირეულის პირველი სამი დღის განმავლობაში მოსკოვის შემნახველ სალაროში შემოტანილ იქნა 1 ნახ. მილიონი მან. ანაბარი. ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები ამ სამი დღის განმავლობაში გასაღდა 46,5 ათასი მან. რაოდენობით. (ადს).

პროფინტერნის აღმასბიუროს წერილი

საფრანგეთის უნიტარების ყრილობის მიმართ

მოსკოვი, 19 სექტემბერი. 19 სექტემბერს ბორდოში იხსნება საფრანგეთის შრომის უნიტარული კონფედერაციის ყრილობა.

პროფინტერნის აღმასბიურომ ყრილობას მიმართა წერილით, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ამ წერილს გიგზავნით თქვენ ისეთ დროს, როდესაც საფრანგეთის ბურჟუაზია სასტიკად ებრძვის შრომის უნიტარული კონფედერაციის რევოლიუციონურ მებრძოლთ და ორგანიზაციებს. **ხელფასის წინააღმდეგ მომავალ შეტევის წინ მსხვილი ბურჟუაზია ცდილობს მუშათა კლასის ხელმძღვანელების დაპატიმრებით დაასუსტოს იმ ერთადერთ პროფკავშირთა ორგანიზაციის ბრძოლის უნარი, რომელსაც სურს და შეუძლია კიდეც ბრძოლის წარმოება საფრანგეთის პროლეტარიატის ინტერესებისათვის.** პროფინტერნის აღმასბიურო გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ თქვენი ყრილობა სერიოზული ეტაპი იქნება საფრანგეთის რევოლიუციონურ პროფმოძრაობის განვითარებისა და განმტკიცებაში“. (ადს).

რისთვის ცხარობს დეტერდინგი

სერ ჰანრი დეტერდინგს ჩვენი მკითხველი რამდენიმედ უკვე იცნობენ. ის არის ინგლის-ჰოლანდიურ ნავთის ერთ-ერთ ძლიერ კომპანიის „როიალ-დეჩ-შელ“-ის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი. ჩვენი ნავთის უცხოეთის ბაზარზე გამოჩენის პირველდღეებიდანვე დეტერდინგი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი თვალსაჩინო აქტიურ მოწინააღმდეგეთ გადაიქცა. „როიალ-დეჩ-შელ“-ის კომპანიას მცირე როლი არ უთამაშნია ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გამწვავებაში. იგივე ფირმა იდგა სხვათაშორის საფრანგეთის მოსყიდულ შავრაზმულ პრესის უკან, რომლის ანტი-საბჭოთა კამპანია ასე სამარცხვინოდ დამარცხდა დეტერდინგისა და საფრანგეთის რეაქციონერების სავალალოდ.

სერ ჰანრი დეტერდინგ

ინგლის - ჰოლანდიური ნავთის კომპანიის „როიალ-დეჩ-შელ“-ის ხელმძღვანელი

მთავარი არგუმენტი, რომელსაც იყენებს დეტერდინგი საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ, ესაა ის, რომ ინგლისის ნავთის ვეშაპების „ზნეობრივი თვალსაზრისით“ დაუშვებელია ნაქურდალ საქონელით ვაჭრობა, როგორსაც ამ შემთხვევაში თურმე წარმოადგენს ბოლშევიკური ნავთი.

დეტერდინგის „ზნეობრივი სიფაქიზის“ ნამდვილი მიზეზი კი იმაში იმალება, რომ საბჭოთა ნავთი თავის ღირსების და ფასის მიხედვით დღითი-დღე ახალ ბაზრებს იპყრობს უცხოეთში, განსაკუთრებით კი საფრანგეთში და ახლო აღმოსავლეთში. ამ მხრივ—სხვათა შორის აღსანიშნავია ერთი საგულისხმო მაგალითი.

ინგლისელი ლორდი როტერმირი განსაკუთრებული გულმოდგინებით იცავს უკანასკნელ ხანს განმავლობაში უნგრეთის ინტერესებს. მისი „უნგრეთული“ გატაცება იქამდიც კი მიდის, რომ როტერმირი გადასწვდა ჩეხო-სლოვაკიას და მოითხოვს, მისგან საზღვარის გადასინჯვას უნგრეთის სასარგებლოდ. თუ ეს არ მოხდა, როტერმირის სიტყვით, ევროპა დიდი აშბების საფრთხის წინაშე დადგება.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ორგანო „ფორვერტს“-ი ფარდას ხდის როტერმირის ამგვარ გატაცებას უნგრეთის სიყვარულით. მიზეზი აქაც მარტივი და ჩვეულებრივია. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საბჭოთა ნავთი თანდათან იპყრობს ჩეხო-სლოვაკიის ბაზარს. თუ 1925 წ. ჩვენ ჩეხო-სლოვაკიაში შეგვქონდა ნავთის უმნიშვნელო რაოდენობა, 1926 წლის პირველ ნახევარში ამავე ბაზარზე ჩვენ მიერ შეტანილ იქნა 8 მილიონ კრონის, ხოლო 1926 წლის მეორე ნახევარში უკვე 47 მილიონ კრონის ნავთი.

ცხადია, მცირე სახელმწიფოები ინტერესების „მესვეური“ დეტერდინგი აქაც უნდა ამეტყველებულიყო.

ნავთმა ხელი შეუწყო უნგრეთ-ჩეხო-სლოვაკიის ურთიერთობის გამწვავებას. ამ ორ სახელმწიფოთა არამკითხე მსაჯულობას კისრულობს როტერმირის ზურგს უკან მდგომი იგივე დეტერდინგი.

„როიალ-დეჩ-შელ“-ის კომპანიას საბუთიც აქვს, რომ უკმაყოფილო იყოს. ნავთის ცნობილ ამერიკულ ფირმამ „ვაკუუმ ოილ-კომპანი“-მ, რომელიც აგრეთვე აწვდის ჩეხო-სლოვაკიას ნავთსა და ბენზინს, განაახლა ხელშეკრულება საბჭოთა ნავთის სამრეწველო ორგანოებთან და ძველ ხელშეკრულებებს ბევრი ახალიც დაუმატა. დღეს ეს ამერიკული ფირმა ჩეხო-სლოვაკიაში თითქმის მხოლოდ საბჭოთა ნავთით ვაჭრობს.

რა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ „ნაქურდალი“ ნავთით მოწინააღმდეგე დეტერდინგი და მისი მორჩილი როტერმირი თანაგრძნობით ალოცვენ ჩეხო-სლოვაკიაში მცხოვრებ მცირე ეროვნებათა მიმართ და მოითხოვს უნგრეთის საზღვრების გაფართოება ჩეხო-სლოვაკიის ტერიტორიის ხარჯზე. ნავთის სუნი აქაც სჭრის.

კომუნისტების პროცესი

რომი, 18 სექტემბერი. **იტალიის საგანგებო ტრიბუნალში დაიწყო 17 კომუნისტის პროცესი.** მათ ბრალდებათ კომპარტიის წევრობა და არსებულ წყობილების დამხობის ცდა. სასამართლოში ბრალდებულებმა განაცხადეს, **რომ გამოძიების დროს მათ სცემეს.** (ადს).

უმუშევართა დევნა

ვენა, 18 სექტემბერი. ავსტრიის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი, რომლის თანახმად **უმუშევრებს 60 წლის ჰასაკს ზევით დახმარება უნდა შეუმცირდეს 33 პროცენტით.** ასეთ უმუშევრების რიცხვი დაახლოებით 20.000 კაცს უდრის. (ადს).

ლა-კურტინეში მომხდარ დახვრეტის 10 წლის თავი

მოსკოვი, 19 სექტემბერი. საფრანგეთში ნამყოფ რუს ჯარისკაცთა საზოგადოებამ 18 სექტემბერს კრებით აღნიშნა ლა-კურტინეში აჯანყებულ რუს ჯარისკაცთა დახვრეტის 10 წლის თავი. ანრი ბარბიუსი, იმპერიალისტურ ომის მონაწილეთა ინტერნაციონალის თავმჯდომარე, ყოფილ ფრონტელების სახელით მიესალმა მათ, ვინც დახვრიტეს ლა-კურტინეში მხოლოდ იმისათვის, რომ მათ სამშობლოში მომხდარ რევოლიუციის შემდეგ განაცხადეს: ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ და არაფერი საქმე არარ გვაქვს იმ უთანხმოებასთან, რომელიც ჰქონდა ჩამოგდებულ მეფეს სხვა ქვეყნების მეფეებთან, ჩვენ აღარ გვსურს ვიომოთ უთანხმოებისათვის.

საფრანგეთის ტერიტორიაზე—განაცხადა ანრი ბარბიუსმა—იმპერიალისტები ხვრეტდენ არამარტო უცხოელ ჯარისკაცებს, ერთ-ერთ რაზმის ფრანგმა ჯარისკაცებმა უკმაყოფილება გამოსთქვეს მკაცრ სამხედრო რეჟიმის გამო. ამის გამო 250 ჯარისკაცი გაიყვანეს უდაბურ ხეობაში და იქ არტილერიის ცეცხლით სისხლიან ნაფლეთებად აქციეს.

საოცარია—ამბობს ანრი ბარბიუსი,—რომ ოქტომბრის სოციალურ გადატრიალების შემდეგ ბურჟუაზიულ ჯარების რიგებში კიდევ რჩებიან რევოლიუციონური მუშები. მუშებმა უნდა შეიგნონ, რომ მათი ადგილი აჯანყებულთა და ჩაგრულთა დიდ ჯარშია.

შემდეგ გლობამ—საექსპედიციო კორპუსის ჯარისკაცმა, ჯარისკაცთა დეპუტატების ლა-კურტინეს საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც შემთხვევით გადაურჩა დახვრეტას, დაწვრილებით მოუთხრო კრებას ლა-კურტინეს აჯანყების შესახებ. მოგონებებით გამოვიდა კიდევ რამოდენიმე ამხანაგი, რის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მიმართავს ყველა ქვეყნის პროლეტარიატს მოწოდებით—დაიცვან მსოფლიოში პირველი მშრომელთა რესპუბლიკა—საბჭოთა კავშირი, დაიცვან რევოლიუციის საქმე და მიმართონ იარაღი დამმონებელთა წინააღმდეგ. (ადს).

ოცდაექვსის ხსოვნას

ცხრა წლის წინათ ინგლისის იმპერიალიზმის აგენტების ჯალათური ხელით კასპიის გაღმა უდაბნოებში ვერაგულად დახვრეტილ იქნა ბაქოს 26 კომუნარი.

უაღრესად მძიმე იყო ბაქოს მუშათა კლასის მდგომარეობა 9 წლ. წინად. საბჭოთა რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ უცხოეთის ბურჟუაზიის აქტიური დახმარებით ამხედრდენ დამხობილი წყობილების ყველა შავი ძალები. ამიერ-კავკასიაში მოიკალათეს ნაციონალისტებმა და სოციალ-შეთანხმებლებმა. ამავე დროს ჩვენი მხარე გადაქცეული იყო გერმანია-ოსმალეთის და ინგლისის იმპერიალისტური ჯარების სათარეშო ასპარეზად. მხოლოდ ბაქოს პროლეტარიატს ეჭირა მაღლა ოქტომბრის რევოლიუციის წითელი დროშა. იგი, მიუხედავათ მრავალ სიძნელეთა, ქართველ მენშევიკების მსგავსათ არ გაეგო ფეხქვეშ ინგლის-გერმანია-ოსმალეთის გენერლებს. ბაქოს პროლეტარიატი მტკიცედ იდგა და ზურგს უმაგრებდა სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეულ რუსეთის მშრომელ მასებს.



ამხ. ს. შაუმიანი

მაგრამ ბაქოს დასაპყრობათ მიილტვოდა ორი მოპირდაპირე ძალა—ერთი მხრით ოსმალეთის, მეორე მხრით ინგლისის ურდოები. თავდაპირველად ოსმალეთის ჯარი მიადგა მას. ბაქოს პროლეტარიატი გმირულად იცავდა თავს უთანასწორო ბრძოლაში. გაწვრთნილ, შეიარაღებულ ძალების ნაკლებობა, იარაღის და სამარი მასალის სიმცირე, უსურსათობა და უწყლობა ნავთის ქალაქის პროლეტარიატს მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებდა.

იგი დროებით შედრკა. ამით ისარგებლეს შეთანხმებელ პარტიებმა: მენშევიკებმა, ესერებმა და დაშნაკელებმა. მათ გაიმეორეს ქართველი მენშევიკების საზიზღარი მოლალატეობა. იმ მიზნით, რომ დაეცათ ბოლშევიკური პარტიის ჰეგემონია ბაქოს პროლეტარიატში, მათ მოიწვიეს ინგლისის ჯარები, თითქოს ბრბოებისაგან თავის გადასარჩენად. ნამდვილად კი ინგლისელები ბაქოს ხელში ჩაგდებით ცდილობდენ მთელ ამიერ-კავკასიის განუკითხავ ბატონ-პატრონათ გადაქცევას, რომ ეს ბატონობა გამოეყენებიათ თავის იმპერიალისტურ მტაცებლურ მიზნების სასარგებლოდ და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

ეს კარგად იცოდენ ბაქოს შეთანხმებელ პარტიებმა. ისინი შეგნებულად მიდიოდენ ამ გზით. მით უფრო ცხადი იყო ეს ბოლშევიკებისათვის. თუ ბაქო ინგლისელებს ჩაუვარდებოდა ხელში, ამით რუსეთ გადაეჭრებოდა მისი ეკონომიკის სასიცოცხლო არტერია (ნავთის სახით) და საბჭოთა ხელისუფლება საფრთხეში ჩავარდებოდა.

ბოლშევიკები არაფერს ზოგავდენ, რომ ბაქო შეენარჩუნებიათ. მაგრამ მათმა ცდამ არ გასჭრა. როგორც ვთქვით, სოციალ-გამცემლების გავლენით ბაქოს საბჭომ გადასწყვიტა ინგლისელების მოწვევა. სახალხო კომისართა საბჭო გადადგა. კომუნარები დააპატიმრეს და შემდეგ ასხაბადში გადაგზავნეს. სოციალ-შეთანხმებლებისაგან შემდგარმა ამიერ-კასპიის აღმ. კომიტეტმა კომუნარები გადასცა ინგლისის სამხედრო მისიის მეთაურს ასხაბადში, ვითომდა ინდოეთში გადასაგზავნად, ნამდვილად კი გზაში დასახვრეტად.

1918 წლის 20 სექტემბერს კომუნარები გზაზე გამოიყვანეს ვაგონიდან, დახვრიტეს და უდაბნოს ქვიშაში ჩაფლეს. ასეთია ჭეშმარიტ რევოლიუციონერებზე ინგლისის იმპერიალიზმის შურისძიების და მუშათა კლასისადმი მენშევიკ-დაშნაკ-ესერების მოლალატეობის ეს მორიგი ფაქტი. ისინი გრძნობდენ, რომ მუშათა კლასის მეთაურების განგმირვით ჩაშლიდენ მშრომელთა განთავისუფლების საქმეს. მაგრამ ამაოდ.

დაღუპულ კომუნარების მოღვაწეობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ბაქოს და მთელი ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი გამოფხიზლდა. მან კარგად იცნო თავისი მტერი და მოყვარე და სამაგიეროდ გადაუხადა ყველა მოღალატეებს და მტრებს. ორი წელიც არ იყო გასული 1918 წ. 20 სექტემბრის ტრაღედიის შემდეგ, რომ აზერბეიჯანში მოსპობილ იქნა როგორც ადგილობრივი კონტრრევოლიუციონერების, ისე უცხოელ იმპერიალისტების ბატონობა და დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. შემდეგ იგი გავრცელდა სომხეთში და გადმოვიდა საქართველოშიც.



ამხ. ა. ჯაფარიძე

დღეს ბაქოს და მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელი მასა დარაზმულია 26 კომუნარის დროშის ქვეშ. დღესაც ბლომათ გვარტყია მტრები გარშემო. საგულისხმოა, რომ ის იმპერიალისტები, რომელთა მსხვერპლიც გახდა 26 კომუნარი, დღეს ისევ უდგას სათავეში ანტისაბჭოთა კამპანიას. ინგლისი ყოველნაირათ ცდილობს მუშებისა და გლეხების ერთად-ერთ სახელმწიფოს დამარცხებას, მაგრამ სინამდვილე წინააღმდეგ შედეგებს იძლევა. საბჭოთა კავშირი შეუჩერებლად მიდის წინ ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ აღმშენებლობის გზით.

ჩვენი მშრომელები, რომლებმაც მოიპოვეს თავისუფლება ისეთი მსხვერპლის გაღებით, როგორიცაა, სხვათა შორის, 26 კომუნარი, შესძლებენ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას.

რა ხდება უცხოეთში

ამერიკის დემოკრატია „მუშაობს“

შეერთებულ შტატებში ზანგები ისეთივე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორც ებრაელები ძველ რუსეთში იმყოფებოდენ. კიდევ უფრო მეტი, ამერიკის „დემოკრატიამ“ ზანგების დევნისა და შევიწროების ზოგიერთი ისეთი წესები შეიმუშავა, რომ ნიკოლოზის მთავრობასაც კი არ მიუმართავს ასეთი მეთოდებისათვის ებრაელების მიმართ.

უკანასკნელ ხანებში, ამერიკელმა კაპიტალისტებმა ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ანტიზანგიზმი“ თავისი ჯიბეების გასასქელებლად გამოიყენეს.

დაიწყო ეს ქ. ლუიზვილში, კენტუკის შტატში. ქალაქის საბჭომ გამოაცხადა, რომ „ზანგების მასიური გადმოსახლება სასოფლო ადგილებიდან ქალაქებში იწვევს მთელ რიგ არასასურველ შედეგებს, კერძოთ კი — კონფლიქტებს თეთრი და შავი რასის წარმომადგენლებს შორის. ამ კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად თვითმართველობამ გადასწყვიტა თეთრ და შავკანიანების განცალკევება ერთმანეთისაგან. ამ მიზნით შავკანიანებს აეკრძალათ ცხოვრება ან კრებების მოწყობა შენობებში, სადაც უმრავლესობა თეთრკანიანებს ეკუთვნის და —პირიქით, თეთრკანიანებს აეკრძალათ ცხოვრება იმ სახლებში, სადაც უმრავლესობა შავკანიანებს ეკუთვნოდათ.

გარდა, ზანგებისადმი ჩვეულებრივი მტრული დამოკიდებულებისა, ამ დადგენილების გამოტანაში დიდი როლი ითამაშა კიდევ ერთმა გარემოებამ, საქმე იმაშია, რომ ლიუზვილის ქალაქის საბჭოში უმრავლესობა ეკუთვნით სააღმშენებლო კომპანიებს, რომლებმაც ქალაქის გარეუბნებში ააშენეს მრავალი სახლები, რომლებიც თითქმის ცარიელი იყვენ. სააღმ. კომპანიების ანგარიშით, ზემოხსენებული დადგენილების გამოტანის შემდეგ ზანგებს უნდა მიეშურებიათ ამ ცარიელი სახლებისათვის, რადგან ძველ სახლებში, თითქმის ყველგან, უმრავლესობა თეთრებს ეკუთვნოდათ. სააღმ. კომპანიების იმედები გამართლდა. ცარიელი სახლები გაივსო, ბინის ქირა გაიზარდა.

მაგრამ ლუიზველის ძველი სახლების პატრონებმა, რომლებიც უკმაყოფილო დარჩენ იმით, რომ მათი ბინები სანახევროთ დაიცალა, პროტესტი განაცხადეს და შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ ლუიზველის თვითმართველობის დადგენილება გააუქმა, როგორც „კონსტიტუციის საწინააღმდეგო“.

მაგრამ სააღმშენებლო კომპანიებმა სხვა გზით შემოუარეს კონსტიტუციას. ისინი შეუთანხმდენ ძველი სახლების პატრონებს, უკანასკნელთა შორის მრავალი იყო ისეთები, რომლებიც არ საჭიროებენ ზანგ-მდგმურებს, რადგან მათი ბინები სავსე იყო თეთრკანიანი მდგმურებით და აი, სწორეთ სახლის პატრონების ამ ჯგუფებსა და სააღმშენებლო კომპანიებს შორის, ჯერ ლუიზველში და შემდეგ კენტუკის შტატის სხვა თექვსმეტ ქალაქში დადებულ იქნა ხელშეკრულებები „რასების გაყოფის“ შესახებ. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ეს იყო შეთანხმება ბინების დამქირავებელთა წინააღმდეგ, რადგან ხელშეკრულების ძალით ორივე მხარე ვალდებული იყო ერთ დონეზე დაეცვათ ბინის ქირა.

„რასების გაყოფამ“ პირველ რიგში გამოიწვია ბინის ქირის საერთო გადიდება 17 ქალაქში. ზანგებიც და თეთრკანიანებიც (განსაკუთრებით მათი ხელმოკლე ნაწილი) იძულებული შეიქნენ ბინის ქირათ გადაეხადათ იმდენი, რამდენსაც სახლის პატრონები მოითხოვდენ, რადგან ზანგებს არ უშვებდენ იმ სახლებში, სადაც ცხოვრობდენ თეთრკანიანები, უკანასკნელს კი — პირიქით,—ზანგებით დაკავებულ სახლებში.

ამ ნიადაგზე წარმოიშვა ღრმა უკმაყოფილება, როგორც თეთრკანიანებს, ისე შავკანიანებს შორის. რეაქციონერებმა თეთრკანიანების უკმაყოფილება თავისთვის სასურველი მიმართულებით გამოიყენეს. თავიანთ გაზეთებში ისინი ამტკიცებდენ, რომ ბინის ქირა გაიზარდა არა სახლის პატრონების პოლიტიკის წყალობით, არამედ „ზანგების მოზღვავების გამო ქალაქებში“. ამ შავრაზმული აგიტაციის შედეგი იყო რამოდენიმე ზანგის მოკვლა „ლინჩის სასამართლოთი“ (თვითგასამართლება).

ამავე დროს სცადეს ბრძოლა სახლის პატრონების და სააღმშენებლო კომპანიების კოლიაციასთან „ფერად რასების პროგრესისათვის ხელის შემწყობმა ნაციონალურმა ასოციაციამ“ აღძრა საქმე ლიუზვილის შეთანხმებების გაუქმების შესახებ. დიდი ხნის შემდეგ შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა თავისი გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია: „კონსტიტუციის დარღვევა არ შეუძლიათ ცალკე შტატების ან თვითმართველობების დადგენილებებს, მაგრამ კერძო პირებს ხელშეკრულებების ძალით შეუძლიათ თავის თავზე მიიღონ ყოველგვარი ვალდებულებები, რადგან ეს არ ქმნის საერთო ნორმას, არამედ განისაზღვრება ცალკე პირთა გარკვეული წრით“. ამ საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ ნება დართო სახლის პატრონებს და სააღმშენებლო კომპანიებს როგორც სურთ ისე არღვიონ კონსტიტუცია თავისი ჯიბის გასასქელებლად.

სააღმშენებლო კაპიტალი ზეიმობს. ზანგები და თეთრკანიანები ზღაპრულ ქირას იხდიან თავის ბინებში. ზანგებისათვის შექმნილია ნამდვილი შავ „გეტტო“ („გეტტოს“ უწოდებენ ებრაელებისათვის საცხოვრებლად დაწესებულ ცალკე უბანს). ერთი სიტყვით, ამერიკის „დემოკრატია“ „მუშაობს“.

ა. ს—ტი.

აღმოსავლეთში

რა მოელის სირიას

სირია ამჟამად სისხლიდან დაცლილი და გაძარცულია. მრავალი ათასი ახალგაზრდა შეიწირა ნაციონალურ - განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ, მშვენიერი ბაღები გაჩეხილია, მინდვრები გადათელილია, ქალაქები დანგრეულია, სამარისებური სიჩუმე სუფევს ხალხისაგან დაცლილ, სანახევროდ უდაბნოდ ქცეული სირიაში ასეთია საფრანგეთის შვიდი წლის ბატონობის შემდეგ.

თითქოს ფრანგ იმპერიალისტებს შეუძლიათ მაგრამ ყველაზე ჭკვიანები მათ ბანაკიდან იზეიმონ; სირიაში ყველაფერი რიგზეა“. გრძნობენ, რომ ასე მარტივად მომავალში აღარ შეიძლება.

აი რატომ იყო, რომ პონსო, საფრანგეთის უმაღლესი კომისარი სირიაში ასე დიდხანს იჯდა პარიზში, აი რატომ იყო, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მთელ რიგ დღეების განმავლობაში გრძელდებოდა საიდუმლო თათბირები და ჩურჩული.

შორსმჭვრეტელ დიპლომატის გაქცილობა აქ ეჯახებოდა ბურჟუას გაუმაძღრობას, მის შიშს, მოგების დაკარგვისას და „გმირულ“ ბრძოლებში მოღლილ სამხედრო კასტის ჯიუტ-უნარობას.

პონსო და - უიუვენელთან ერთად, საჭიროდ თვლიდა ზოგიერთ დათმობებზე წასვლას სირიელ ნაციონალისტების მიმართ, მით უფრო, რომ სირიის ბურჟუაზია ბევრს არ მოითხოვს, და მზად არის წავიდეს ყოველგვარ დათმობაზე ოღონდ კი მას მიეცეს მცირეოდენი თბილი ადგილი სირიის მმართველთა ყველაფის სისტემაში.

მაგრამ მაშინ რა ბედი ეწევა სირიაში დაბანდებულ საფრანგეთის კაპიტალებს?

რა ეშველება „გმირ“ გენერლებს, მამაც პოლკოვნიკებს, „კონტრ - რაზვედკიდან“, ენერგიულ კაპიტნებს და „სახელოვანი“ არმიის ყველა იმ წარმომადგენლებს, რომელთათვისაც სირია წარმოადგენს ჩინ - ორდენების, დიდი ჯამაგირების და სხვა სასიამოვნო რამეების დაუშრეტელ წყაროს?

აი რატომ იყო, რომ დიდხანს გაგრძელდა პონსოს „სტუმრობა“ პარიზში.

როგორც იყო პონსო დაბრუნდა დამასკში.

ჯერ - ჯერობით ოფიციალური ცნობა საფრანგეთის „ახალი“ პოლიტიკის შესახებ სირიაში არ არის გამოქვეყნებული. მაგრამ ის, რაც [illegible] საზოგადოებრივ წრეებში შორის არ არის ჭეშმარიტებიდან.

როგორი იქნება „ახალი“ კურსი?

რასაკვირველია, საფრანგეთი „მზად არის“ დააკმაყოფილოს სირიის ნაციონალური წრეების ყველა მოთხოვნილებები, მაგრამ... მცირეოდენი „შესწორებით“.

სირია მოითხოვს დამფუძნებელ კრებას. საფრანგეთს განზრახული აქვს „დააკმაყოფილოს“ ეს მოთხოვნილება: საფრანგეთის ხელისუფლება დანიშნავს დამფუძნებელი კრების ყველა წევრებს და „უფლებას“ მისცემს მათ განაგონ ქვეყნის საქმეები.

სირიაში მოითხოვენ პარლამენტის შექმნას. ამ დათმობაზეც მიდიან ფრანგი იმპერიალისტები: პარლამენტი მოწვეული იქნება მაშინვე, როგორც კი დანიშნული დამფუძნებელი კრება შეიმუშავებს „შესაფერ“ საარჩევნო კანონს.

სირიის ნაციონალისტების ერთ-ერთ მოთხოვნილებას წარმოადგენს სირიის გაერთიანება. ფრანგი იმპერიალისტები თანახმა არიან მოაწყონ ამ გაერთიანებას სირიის ცალკე „სახელმწიფოებთან“(ფრანგების მიერ ხელოვნურად შექმნილი ერთეულები) მოლაპარაკებით.

ამნისტია? — ესეც რასაკვირველია! — მაგრამ იგი არ შეიძლება გავრცელდეს ნაციონალური მოძრაობის ისეთ გამოჩენილ ბელადებზე, როგორც არის შაჰბანდერი, ნასიბ ბეკრი, ფევზი, კაუკჯი, სულთან ატრაში და სხვ.

რჩება კიდევ ერთი მუხლი: მანდატის გაუქმება და მისი შეცვლა ხელშეკრულებით, მსგავსად ირაქისა. მაგრამ მას შემდეგ, რაც დამფუძნებელი კრება დანიშნული იქნება ფრანგების მიერ, არც ამ საკითხის „მოგვარება“ იქნება ძნელი.

გარდა ამისა, სირიელები მოითხოვდენ საფრანგეთის ჯარების გაყვანას, ზარალის ანაზღაურებას და სხვ. მაგრამ ამ საკითხების აღძვრა ფრანგ იმპერიალისტებს სასაცილოდაც არ ყოფნისთ.

ფრანგ იმპერიალისტებს ჰგონიათ, რომ ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობის სისხლში ჩაღრჩობის შემდეგ ისინი შესძლებენ ყოველგვარი პროგრამის გატარებას სირიაში. მათ ატყუებს ქვეყანაში გამეფებული სამარისებური სიჩუმე. ამჟამად არ შეიძლება ვიქონიოთ ახალი ბრძოლის დაწყების იმედი, მაგრამ რამდენ ხანს გასტანს კი ეს სიჩუმე? დიდხანს შესძლებენ ფრანგები ქვეყნის მართვას ხიშტების საშუალებით?

ბრძოლის სული არ მომკვდარა სირიელებში აჯანყების ნაპერწკალი ღვივის ფერფლში და ერთ დღეს იგი იფეთქებს გამანადგურებელ ხანძარივით.

ა. ა.

პარტია და ოპოზიცია

III.

ოპოზიცია ტროცკიზმის გზით

ცეკას პლენუმზე ყოფილმა „ახალმა ოპოზიციამ“ სავსებით წამოიჩოქა ტროცკიზმის წინაშე. ამხ. კამენევის და ზინოვიევის 1923—24 წლის ნაწერებში შეიძლება ამოვიკითხოთ ბევრი რამე ჭკუის სასწავლებელი ტროცკიზმის წინააღმდეგ. ამხ. კამენევის ნაწერებში პარტია კითხულობდა, რომ ტროცკი არის „წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიის „დროშა“ და ამ სოციალური ელემენტების პოლიტიკური ფიგურა“, რომ ტროცკიზმი არის „არაბოლშევიკური მოძღვრება“. პარტია კითხულობდა ამხ. ზინოვიევის ნაწერებში, რომ ტროცკი არის „ყველაფერ იმის გამომხატველი, რაც არაა ნამდვილად ბოლშევიკური“.

კომინტერნის აღმასკომის მე-VII პლენუმზედაც კი ამხ. კამენევი იმიჯნებოდა ტროცკიზმისაგან და ამბობდა:

> „რაც შეეხება ტროცკიზმის ჰეგემონიას, მე უნდა განვაცხადო..., რომ ეს არ არის მართალი. ჩვენ არასოდეს არ ვიცავდით, არ ვიცავთ და არ დავიცავთ იმას, რითაც ტროცკიზმი ისტორიულად განსხვავდებოდა ლენინიზმისაგან — პერმანენტულ რევოლიუციას, გლეხობის შესახებ საკითხის დაყენებას და სხვ.“.

ოდესღაც ამხ. კამენევს და ზინოვიევს კარგად ესმოდათ, რომ ტროცკის მოძღვრება პერმანენტულ რევოლიუციის შესახებ, მის მიერ გლეხობის შესახებ საკითხის დასმა, წარმოადგენენ ჩვენს პარტიაში არსებულ წვრილ-ბურჟუაზიულ მიმდინარეობის დასაბუთებას, რომ ამ მოძღვრებამ ბევრჯერ ჩაადენია შეცდომები ამხ. ტროცკის ეხლა კი ამხანაგებს ყოფილ „ლენინგრადის“, „ახალ ოპოზიციიდან“ აღარ ესმით ეს. ცეკას პლენუმზე მათ სრული ამნისტია მიანიჭეს ტროცკის:

> „იყო ასეთი სამწუხარო დრო. იმის მაგიერ, რომ ჩვენ, **ნამდვილ პროლეტარულ რევოლიუციონერთა** ორი ჯგუფი, გავერთიანებულიყავით გადახრილ სტალინისა და მისი მეგობრების წინააღმდეგ, ჩვენ ორი წლის განმავლობაში თავში ვცემდით ერთმანეთს, რასაც ძლიერ ვწუხვართ და იმედი გვაქვს, რომ ეს არასოდეს აღარ განმეორდება“. (ზინოვიევი, 1927 წლის ივნისი).

კიდევ მეტი, ამხ. ტროცკი ახლა სცდილობს, რომ იდეალურადაც კი წარმოგვიდგინოს თავისი წარსული. ის ამბობს:

> „თუ მენშევიზმი გაგებული უნდა იქნეს, როგორც პოლიტიკური კლასიური ხაზი, ის კი მხოლოდ ასე უნდა იქნეს გაგებული, — მე მენშევიკი აღარ ვიყავი 1904 წლის ნახევრიდან. მე გავსწყვიტე კავშირი მენშევიზმთან ორგანიზაციულად და პოლიტიკურად, როგორც კი ის მოეწყო პოლიტიკურ მიმართულებად ლიბერალურ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების საკითხში. **საკითხში კლასების როლის შესახებ რევოლიუციაში მე არასოდეს არ შევთანხმებივარ მენშევიზმს**“.

საოცარია ის, რომ ვერც ზინოვიევი და ვერც კამენევი, რომლებიც ბევრს იბრძოდენ ტროცკის მენშევიზმის წინააღმდეგ, გამოსცეს ამ თემაზე არა ერთი წიგნი, ჩაატარეს პარტიაში საკმაოდ დიდი ბრძოლა ტროცკის მენშევიზმის წინააღმდეგ, დღეს ისინი ვერ პოულობენ ვერც ერთ სიტყვას, რომ უკუაგდონ ეს წარსულის იდეალიზაცია, იდეალიზაცია, რომლის მიზანს შეადგენს გაამართლოს ტროცკიზმის მოძღვრება, რომელიც ამჟამად წარმოადგენს ოპოზიციის ტაქტიკურ ხაზის საფუძველს.

რას ამბობდა ლენინი ტროცკის შესახებ?

> **„ის (ტროცკი) 1903 წელში იყო მენშევიკი; ჩამოშორდა მენშევიზმს 1904 წელში, დაუბრუნდა მენშევიკებს 1905 წელში, მხოლოდ თავს იწონებდა ულტრა - რევოლიუციონური ფრაზით; 1906 წელში ისევ ჩამოშორდა მათ, 1906 წლის ბოლოს იცავდა საარჩევნო შეთანხმებებს კადეტებთან (ე. ი. ფაქტიურად ისევ მენშევიკებთან იყო), 1907 წლის გაზაფხულზე კი ლონდონის ყრილობაზე ამბობდა, რომ მისი განსხვავება როზა ლიუქსემბურგისაგან არის „უფრო ინდივიდუალურ ელფერის განსხვავება, ვიდრე პოლიტიკურ მიმართულებათა“.**
>
> **„დაშლის ხანაში, ხანგრძლივ „უფრაქციო“ რყევის შემდეგ, ის ისევ მარჯვენივ მიდის და 1912 წლის აგვისტოში ბლოკით ეკვრის ლიკვიდატორებს. ახლა ის ისევ შორდება მათ, მაგრამ არსებითად, იმეორებს მათვე იდეებს“. *).**

ლენინის მხოლოდ ეს სიტყვები საკმაო უნდა იყოს, რომ გაფანტოს ტროცკის ყველა ცდები, მიმართული მისი წარსულის იდეალურად დახატვისაკენ.

ცეკას პლენუმის უმნიშვნელოვანეს ფაქტს წარმოადგენს ამხ. კამენევის, ზინოვიევის და სხვ. სრული გადასვლა ტროცკიზმის პოზიციებზე და მათი დამორჩილება ტროცკის ჰეგემონიისადმი.

გასაგებია, რომ იმ შეფასების დროს, რომელსაც ოპოზიცია აძლევდა პარტიას და სახელმწიფოს, მას არ შეეძლო არ დასდგომოდა **პარტიის წინააღმდეგ აქტიურ ფრაქციულ ბრძოლის გზას.** ოპოზიციამ დარღვია თავისი 16 ოქტომბრის განცხადება.

ოპოზიცია ამ განცხადების შემდეგ რამოდენიმეჯერ არღვევდა მას. მან იერიში მიჰქონდა პარტიის ლენინურ ხაზის წინააღმდეგ ცეკას თებერვლის პლენუმზედაც, ცეკას აპრილის პლენუმზედაც და კომინტერნის აღმასკომის VIII პლენუმზედაც. მან აშკარად გაილაშქრა პარტიის წინააღმდეგ „პრესის დღეს“ და ამხ. სმილგას გაცილების დროს. მან განავითარა ფართო „საპეტიციო“ კამპანია.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ტროცკისტულ ოპოზიციის ეს ხაზი წარმოადგენს იმ „საორგანიზაციო პოლიტიკის“ გაძლიერებას, რომელსაც ყოველთვის აწარმოებდა ტროცკი. ამხ. ტროცკი თავის ერთგულია. ორ ათეულ წლის წინად ტროცკი სწერდა:

> „დისციპლინას აქვს აზრი მხოლოდ იმ დრომდე, სანამ უზრუნველჰყოფს ბრძოლის შესაძლებლობას იმისათვის, რაც მიგაჩნია სწორად და რის გამოც კისრულობ დაემორჩილო დისციპლინას“.

ტროცკი სცდილობდა მოეხდინა დისციპლინის ასეთი გაგების ლეგალიზაცია პარტიაში 1923 წლის დისკუსიის დროსაც, 1925 წლის დისკუსიის დროსაც და 1926 — 1927 წლის მანძილზედაც. ახლა დისციპლინის ასეთ გაგებას არსებითად ხელს აწერს მთელი ოპოზიცია, როდესაც თავის განცხადებათა შემდეგ არღვევს მათ, იერიში მიაქვს პარტიაზე, აწარმოებს ფრაქციულ ბრძოლას.

ამხ. ტროცკი ახლაც ქადაგებს ფრაქციულ ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ და ამასთან ერთად ჭეშმარიტ რევოლიუციონერობის შუქით მოსავს ამ ბრძოლას. ის ამბობს:

> „რა თვისებებია საჭირო იმისათვის, რომ დღევანდელ პირობებში შეხვიდე ოპოზიციაში? რა თქმა უნდა... უნდა გქონდეს ყოველგვარი გადახრები, ეს როგორც რიგი და წესია. მაგრამ ამას გარდა? ამას გარდა საჭიროა გქონდეს ძლიერი მტკიცე რწმენა თავის საქმეში, ე. ი. პროლეტარულ რევოლიუციის საქმეში, უნდა გქონდეს **ნამდვილი რწმენა, და არა უჩინარი ფერის, რომ ხმა მისცე უფროსების მიხედვით, სოციალისტურ სამშობლოს ურევდე რაიკომში და უკან მისდევდე მდივანს: შენ ხარ სამეურნეო მუშაკი, თუ ხარ ადმინისტრატორი — დაიზღვიე თავი რაიკომის საშუალებით ან გუბკომის მდივნის საშუალებით.** ასეთი „მაჩანჩალებისადმი“ ადრიდანვე უზრუნველყოფილია დიდი რწმენისა და ოპტიმიზმის ვეებერთელა ნაჭერი...
>
> ..ოპოზიციამ თავისი გამბედაობა დაამტკიცა სწორედ მით, რომ მიუხედავად აპარატის ზეგავლენისა, მისთვის ამ უმძიმეს ხანაში **იარაღს კი არა შყრის, არამედ ლენინურ ხაზის საფუძველზე არჩევს განსაკუთრებით დახაფასებელ მებრძოლ ელემენტებს, რომელთა მოსყიდვა ან დაშინება შეუძლებელია**“.

ასეთია ოპოზიციის დამატებითი ცილისწამება პარტიაზე, რომელიც (ცილისწამება) მიზნად ისახავს იდეალურად წარმოგვიდგინოს ფრაქციული ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ.

ორი გზა

ცეკას პლენუმზე ოპოზიციამ უარჰყო მთელი რიგი თავისი შეცდომები. ეს უკან დახევა სცნო პლენუმმა. მაგრამ ოპოზიციამ დასტოვა უაღრესად სერიოზული შენიშვნები, რომლებიც ხელს უხსნის მას ფრაქციულ ბრძოლისათვის პარტიის წინააღმდეგ.

რომ შევადაროთ ყველა ის განცხადებები, რომლებიც გააკეთა ოპოზიციამ პარტიის, ცეკას, ჩვენ სახელმწიფოს შესახებ, 1927 წლის 8 აგვისტოს განცხადებას, აშკარა გახდება, რომ ოპოზიცია უკან იხევს, **ოპოზიცია ვერ ბედავს საბოლოოდ მოაწეროს ხელი** თავის პლატფორმას, რომელსაც არსებითად უნდა ჩამოეშორებია ოპოზიცია პარტიისაგან.

პარტიას სურს მშვიდობიანობა. პარტიას სურს ლენინური მთლიანობა იმ საფუძველზე, რომ ოპოზიციამ სცნოს ლენინური ხაზი, უარჰყოს ფრაქციულ ბრძოლის მეთოდები. მხოლოდ ამიტომ ცეკას პლენუმი თავის გადაწყვეტილებით ამხ. ტროცკის და ზინოვიევის შესახებ, აძლევს ოპოზიციას, ყოველ შემთხვევაში მის უკეთეს ელემენტებს, უკანასკნელ შესაძლებლობას დაუბრუნდენ პარტიის ხაზს, გასწყვიტონ კავშირი ტროცკიზმთან.

პარტია აძლევს ახლა ოპოზიციას **არჩევანის** შესაძლებლობას: პარტიასთან თუ პარტიის წინააღმდეგ; **ტროცკიზმის** დროშის ქვეშ, თუ **ლენინიზმის** დროშის ქვეშ; მერყეობა და შენიშვნები თუ გამჟღავნებული, შეურყეველი, მუშაობა სოციალიზმის მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში და საბჭოთა კავშირის ყოველ პირობის გარეშე დაცვა მოსალოდნელ ომის საშიშროებისაგან.

პირველად არ მიაქვს იერიში ოპოზიციას პარტიაზე, იმუქრება დაღუპვით, აკეთებს შავბნელ წინასწარმეტყველებებს. უეჭველია, ასე იქნება, რომ ახლაც, მძიმე ხანაში, პარტია გაატარებს თავის ლენინურ ხაზს და პროლეტარიატის მეთაურობით წაიყვანს ქვეყანას შემდგომი ზრდის და განმტკიცების გზით. უეჭველია, რომ ტროცკიზმს ჩამოშორდება საუკეთესო ხალხი, რომლებსაც კავშირი არ გაუწყვეტიათ ლენინიზმთან. ისინი კი, ვინც დარჩება ტროცკისტულ პლატფორმაზე, აღმოჩნდებიან იმ ისტორიულ პროცესის აუცილებელ მსხვერპლად, რომლის დროსაც ჩვენი გარდამავალი ხანის წინააღმდეგობანი და წვრილ-ბურჟუაზიულ ძალების ზეგავლენა პროლეტარიატის ცალკე ჯგუფებზე აშორებენ პროლეტარულ გზიდან ერთეულებს და პროლეტარიატიდან მოწყვეტილ მცირე ჯგუფებს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ

> **„ჩვენი პარტიის ისტორია არის შინა პარტიულ წინააღმდეგობათა დაძლევისა და ამ დაძლევის ნიადაგზე ჩვენი პარტიის რიგების შეურყეველ წინსვლის ისტორია... რომ საკ. კ. პ. იზრდებოდა და მტკიცდებოდა ამ შინაპარტიულ წინააღმდეგობათა დაძლევით“.** (სტალინი).

როგორი გზასაც არ უნდა დაადგეს ოპოზიცია შემდეგში, საკავშირო კომპარტია ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის სათავეში შემდეგაც შეასრულებს თავის ისტორიულ ამოცანებს, აიწევს უფრო მაღალ საფეხურებზე, დასძლევს დაბრკოლებებს.

ა. კ—ი.

---

*) ლენინი — თხზულ. კრებ. ტ. XI ნაწ. 2, გვ. 212.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მეტეორის ჩამოვარდნა

ბლაგოვეშჩენსკი, 19 სექტემბერი. 100 ვერსის მანძილზე ბლაგოვეშჩენსკის დაბლა მდ. ამურის ნაპირზე ჩამოვარდა მეტეორი წონით 80 ფუთი, მეტეორის ნატეხებს გლეხები იყენებენ როგორც ალმასს. მეტეორი ჯერ გამოუკვლეველია. (ადს).

გერმანელი ველოსიპედისტები

მინსკი, 19 სექტემბერი. ბერლინიდან ჩამოვიდენ ველოსიპედისტები ძმები ოტტო და ბრუნო ალპენტოლები; ისინი გამოგზავნილი არიან გერმანიის სასპორტო კავშირისაგან საბჭოთა ველოსიპედისტების ბერლინში ჩასვლის საპასუხოდ. (ადს).

შესტაკოვის გადაფრენა ბაიკალზე

ირკუტსკი, 19 სექტემბერი. ამხ. შესტაკოვი, რომელიც 17 სექტემბერს დილით გაფრინდა ვერხნეუდინსკიდან, 13 საათზე მიფრინდა ირკუტსკში. გადაფრენა ბაიკალზე და მის ირგვლივ მდებარე მთებზე საბჭოთა მფრინავის ბრწყინვალე გამარჯვებას წარმოადგენს. ა(დს).

ამერიკელ მუშათა დელეგაციის დეკლარაცია

მოსკოვი, 19 სექტემბერი. ამერიკელ მუშათა დელეგაციამ, რომელმაც რამოდენიმე ხნის წინად ინახულა საბჭოთა კავშირი, სამშობლოში გამგზავრებისას საკავშირო პროფსაბჭოს დაუტოვა დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის მუშებს ჩვენ უყურებთ, როგორც გულწრფელ და ჭეშმარიტ მეგობრებს თუ დანარჩენი სახელმწიფონი მშვიდობიან განვითარების საშუალებას მისცემენ საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს, ჩვენ ღრმათა ვართ დარწმუნებული, რომ თქვენს ქვეყანას მოელის დიდ პროგრესი. ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონით ვიმუშავებთ ამ მიზნებისათვის და დარწმუნებული ვართ, რომ თქვენსა და სხვა ქვეყნებს შორის კავშირი უფრო განმტკიცდება.

ნორვეგიის მუშათა დელეგაცია

მოსკოვი, 19 სექტემბერი. ნორვეგიის მუშათა დელეგაციამ სამშობლოში გამგზავრების წინ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს გადასცა დეკლარაცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ჩვენში შეიქნა შთაბეჭდილება, რომ მშრომელი მოსახლეობა საბჭოთა სისტემის მეოხებით იღებს თავისი საწარმოო შრომის საუკეთესო შედეგებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა მუშებისა და გლეხების შრომა სოციალისტურ საზოგადოების შესაქმნელად დიდ შედეგებს მოიტანს. ენტუზიაზმი, რომლითაც მუშები იღებენ მონაწილეობას სოციალისტური საზოგადოების აღმშენებლობაში, საუკეთესო გარანტიაა იმისა, რომ ამ საზოგადოების განვითარება სწორი გზით წავა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყველა ქვეყნების პროლეტარიატი მალე გადავა შეტევაზე კაპიტალიზმის წინააღმდეგ და შეუდგება სოციალისტური საზოგადოების შენებას.

ძირს იმპერიალისტების იერიშები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლას ხელისუფლების დაპყრობისათვის. (ადს).

ცხენების საკავშირო სასპორტო შეჯიბრის დახურვა

მოსკოვი, 19 სექტემბერი. 18 სექტემბერს მოსკოვის იპოდრომზე შესდგა ცხენების საკავშირო სასპორტო შეჯიბრის საზეიმო დახურვა. დახურვას დაესწრენ ამხ. **სტალინი**, **ბუდიონი**, **სუნ-ცზინ-ლინი**, **ევგენი ჩენი**, დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენლები და მოსკოვის მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეჯიბრის შემდეგ გამარჯვებულთ დაურიგდა ჯილდოები. სულ დარიგდა 36 ჯილდო. (ადს).

მოჭადრაკეთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 19 სექტემბერი. პროფკავშირთა საჭადრაკო სექციების საბჭოების პლენუმმა მიიღო მოჭადრაკეთა მეხუთე საკავშირო ყრილობის დღის წესრიგი.

ყრილობა მოისმენს მოხსენებებს მოკავშირე რესპუბლიკების საჭადრაკო სექციების მოღვაწეობის შესახებ და განიხილავს პროფკავშირთა საჭადრაკო-საშაშკო მუშაობისა და საერთაშორისო საჭადრაკო მოძრაობის საკითხებს.

დამტკიცებულია ჩემპიონატ-ტურნირის მონაწილეთა საბოლოო სია, რომელშიაც შევიდენ ამხ. ბოტვინიკი, ბოგატირჩუკი, ვერლინსკი, ვილნერი, გრიგორიევი, დუზ-ხოტიმირსკი, ილინ-ჟენევსკი, კასპერსკი, მაკაგონოვი, მოდელი, ნენაროკოვი, პავლოვ-პიანოვი, რაბინოვიჩი, რაუზერი, რომანოვსკი; როხლინი, რუდნევი, სელეზნევი, სერგეევი, სმოროდსკი, ფრეიმანი და ერთ ის, ვინც გამარჯვებული გამოვა ლენინგრადის წინასწარ ტურნირში.

ჩემპიონატ-ტურნირი დაიწყება 28 სექტემბერს. ყრილობა გაიხსნება 6 ოქტომბერს. ადს).

იალტაში

იალტა, 19 სექტემბერი. მოაგარაკეთა გამგზავრება სამხრეთი ნაპირებიდან შემცირდა. ყველგან აშენებენ დროებით კარვებს ფანერისა და ბრეზენტისაგან. ყირიმის სამხრეთი ნაპირის სანატორიუმებში 2.500 საკურორტო საწოლიდან დარჩა 1.050. იალტაში ამჟამად აშენებენ კარვებს 1000 კაცისათვის და დროებით შენობებს ამბულატორიისა და სავადმყოფოებისათვის. იალტაში უბინაოდ დარჩა 10.000 კაცი.

17 სექტემბერს ღამის 9—10 საათზე იალტაში ადგილი ქონდა ორ ახალ უმნიშვნელო ბიძგს, რომელსაც ზიანი არ მოუტანია. სუსტი ბიძგები განმეორდა დილით (ადს).

ნამანგანში

ნამანგანი, 19 სექტემბერი. ძველ ქალაქში მოსახლეობა გარედ ათევს ღამეს. მიუხედავად შემოდგომის ხშირი წვიმებისა, მოსახლეობა მაინც ცდილობს მიწისძვრისაგან დანგრეულ შენობების აღდგენას. შეკეთებულ შენობებში შეუწყვეტელი ბიძგების გამო, ისევ იბზარებიან კედლები. უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში აღნიშნული იყო 6 ბიძგი.

გამოსათხოვარი საღამო

მოსკოვი, 19 სექტემბერი. დღეს დიდ თეატრში შესდგა გამოსათხოვარი საღამო წითელ არმიელთათვის, რომელნიც გრძელვადიან შვებულებაში მიდიან. შვებულ-წითელარმიელებს მიესალმა ამხ. უნშლიხტი, რომელმაც განაცხადა: „ორი წლის სწავლების შემდეგ ყველა თქვენთვის ცხადი გახდა, რომ მომავალი ომში გამარჯვება დამოკიდებული იქნება იმისაგან, თუ როგორ იქნება მომზადებული მოსახლეობის მთელი მასა. თქვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სახლში დაბრუნების შემდეგ არ გასწყვიტოთ კავშირი წითელ-არმიასთან და დაეხმაროთ გლეხობას გაერკვენ პოლიტიკურ საკითხებში, განავითაროთ სამხედრო ცოდნათა პროპაგანდა, განამტკიცოთ თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების ორგანიზაციები, მოაწყოთ მსროლელთა და სხ. სამხედრო წრეები. თქვენ უნდა იყოთ აგრეთვე საბჭოთა აპარატის საუკეთესო აღმშენებელნი სოფლად. კომინტერნის აღმასკომის და ინგლისის კომპარტიის სახელით შვებულ-წითელარმიელებს მიესალმა აგრეთვე ამხ. მერფი. მხურვალე ტაში გამოიწვია ამხ. კალინინის გამოსვლამ, რომელიც მათ მიესალმა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სახელით. ომის საფრთხე,—განაცხადა მან, —დღითი-დღე იზრდება. ამის მიხედვით დღითიდღე უნდა განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმე. ეს აზრი უნდა ჩაუნერგოთ მოსახლეობას“.

შვებულ-წითელ - არმიელთა სახელით სერებროვმა განაცხადა: „ჩვენ ფიცს ვაძლევთ ჩვენს მთავრობას, სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს და კომინტერნს, რომ მთელ ჩვენ ძალ-ღონეს მოვანდომებთ სოციალისტურ აღმშენებლობას სოფლად და ქალაქად“. (ადს.)

საბჭ. კავშ. ტეხნიკურ ძალთა დაახლოვება დასავლეთთან

მოსკოვი, 19 სექტემბერი. ინჟენერთა და ტეხნიკოსთა სრ. საკავშირო ბიუროს პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდა, რომ საბჭოთა კავშირის ტეხნიკურ ძალთა დასავლეთ ევროპასთან და ამერიკასთან დაახლოების მიზნით საზღვარგარეთის სავაჭრო და სრულუფლებიან წარმომადგენლობებთან მოეწყოს საბჭოთა სპეციალისტების სპეციალური სასექციო უჯრედი.

აღმშენებელ-ინჟენერთა სექციის ცენტრ. ბიურომ გადასწყვიტა დაამყაროს მუდმივი კავშირი რუს ინჟენერთა ასოციაციასთან ამერიკაში იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნას კონსულტაცია საბჭოთა კავშირის აღმშენებლობის რთული საკითხების შესახებ. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მზადება ოქტომბრის იუბილეისათვის

ბაქო, 19 სექტემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად განათლების სახ. კომისარიატი იწვევს აშულთა ამიერკავკასიის ყრილობას, თითო რესპუბლიკიდან მოწვეულია 40 კაცი. დანიშნულია კონკურსი ოქტომბრის რევოლიუციისათვის მიძღვნილ საუკეთესო თურქულ ენაზე დაწერილ სიმღერისათვის. ეწყობა სხვადასხვა ორგანიზაციათა ექსპონატების გამოფენა, რომელმაც უნდა გამოაშკარაოს აზერბეიჯანის მიღწევები 10 წლის განმავლობაში.

ბავშთა კომისია 10 წლის აღსანიშნავად ხსნის სახელოსნოებს, შრომის სახლებს და სხვ. (ადს).

შადრევანი

ბაქო, 19 სექტემბერი. დღეს ბიბი-ეიბათში, ზა-ზურილი № 60, მე-5-ე წარმოებაზე ამოხეთქა მძლავრმა შადრევანმა. დანიშნულია სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს შადრევანის დებეტი. (ადს).

ამერიკის ფირმის წარმომადგენელი ბაქოში

ბაქო, 19 სექტემბერი. ბაქოში ჩამოვიდა ამერიკის ფირმის „ოილ ვეი სუპლეი კამპანიის“ წარმომადგენელი ინჟინერი ანდერსონი.. აღნიშნულ კამპანიას აზნევთმა შეუკვეთა სხვადასხვა მოწყობილობა. ანდერსონი ბაქოში დარჩება რამოდენიმე დღეს და დაათვალიერებს, როგორც წარმოებებს, ისე ფირმის მიერ გამოგზავნილ საქარხანე მოწყობილობას. (ადს).

წითელარმიელ ივანოვის საქმე

ბაქო, 19 სექტემბერი. აზერბეიჯანის დივიზიის სამხედრო ტრიბუნალმა გაარჩია საყარაულო ლეგიონის წითელარმიელ ივანოვის საქმე. მას ბრალი ედება საყარაულო სამსახურის წესების დარღვევაში და შვიდი წლის ბავშის ლუკაცკის მკვლელობაში, როგორც გამოირკვა, დაზარალებულ ლუკაცკის ფანჯრიდან ჩაუხედავს „აზნავთის“ ტეხნიკურ-მიწოდების სალაროს შენობაში. მსჯავრდებულ ივანოვს ბავშისათვის უსვრია თოფი და იქვე მოუკლავს.

საქმე გაირჩა ჩორნი გოროდის კლუბში მრავალი მუშებისა და წითელარმიელების თანდასწრებით. ივანოვი დამნაშავედ იქნა ცნობილი და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით (ადს).

ამიერ-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის თანამშრომელთა პროცესი

ბაქო, 19 სექტემბერი. საზოგადოების მთელი ყურადღება მიპყრობილია ამ.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის თანამშრომელთა პროცესზე. სამი დღეა, რაც გრძელდება ბრალდებულთა დაკითხვა. ისინი თავს დამნაშავედ არ სცნობენ. ბრალდებული კანანი თავს იმართლებს თბილისიდან მიღებულ მოწერილობებით, რომლითაც ის ხელმძღვანელობდა მოქმედების დროს. პროცესის მეოთხე დღეს, ბრალდებული ალიევი გამოტყდა დანაშაულში და განაცხადა, რომ მსახურებდა მუსავატელების კონტრდაზვერვაში, სადაც ის მიწვეული იყო საფიკუროვის მიერ, მაგრამ ის ასრულებდა მათ დავალებებს და აგენტად ირიცხებოდა მხოლოდ ქაღალდზე (ადს).

შაქარი ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი, 19 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახკომისარიატმა წინადადება მისცა შაქრის ტრესტს აუცილებლათ შეასრულოს სექტემბრისათვის შემუშავებული გეგმა, რომლის თანახმად უნდა გაიგზავნოს შაქარი უმნიშვნელოვანეს და შაქრით ნაკლებათ უზრუნველყოფილ რაიონებში. პირველ რიგში ახლად დამზადებული შაქარი უნდა გაიგზავნოს ამიერკავკასიის ფედერაციაში. (ადს.)

დახმარება ყირიმის ინვალიდებს

მოსკოვი, 19 სექტემბერი. ავათმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა დამხმარე რუსეთის კომიტეტმა გაიღო 5.000 მანეთი ყირიმში დაზარალებულ ინვალიდების და მათ ოჯახებისათვის დახმარების გასაწევათ. (ადს).

ბაქო-ჯულფის რკინის გზა

ბაქო, 18 სექტემბერი. ბაქო-ჯულფას რკინის გზის სამუშაოთა უფროსმა ინჟ. ნავროცკიმ ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს რკინის გზის მშენებლობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

„მშენებლობის გასაგრძელებლათ მომავალი წლის 1 კვარტალში გადადებული იქნება 675.000 მან., რაც შეადგენს მომავალი წლისათვის გადადებულ მთელი თანხის მეოთხედ ნაწილს, მაგრამ განზრახული 3.000.000 მანეთი საკმარისი არ იქნება. საბჭოთა კავშირის გზათა სახ. კომისარიატმა მხედველობაში მიიღო ჩვენი შუამდგომლობა 5.000.000 მან. მოცემის შესახებ. გზა მალე დასრულდება. ამ გზის დასრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაფანის სპილენძის ქარხნისათვის. ახჩი-ჩაის შემდეგ გზის გაყვანას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სატრანზიტო გზის შემცირების მხრივ, ვინაიდან ბაქო-ჯულფის გზა ამცირებს სატრანზიტო გზას 300 კილომეტრით“. (ადს).

სომხეთი

სომხეთის ცაკის მეორე სესია

ამხ. ამბარცუმიანის მოხსენება ლენინაკანის შესახებ

ერევანი, 19 სექტემბერი. სომხეთის ცაკის სესიის მე-5-ე სხდომაზე ვრცელი მოხსენებით ლენინაკანის აღდგენის შესახებ გამოვიდა სომხეთის სახკომსაბჭოს და ლენინაკანის აღმდგენი კომისიის თავმჯდომარე ამხ. ამბარცუმიანი.

„ლენინაკანის აღდგენას — სთქვა ამხ. ამბარცუმიანმა — აქვს როგორც პოლიტიკური, ისე სამეურნეო მნიშვნელობა. ჩვენ ვამოწმებდით ჩვენს ორგანიზაციულ და ტეხნიკურ შესაძლებლობებს საზღვარგარეთელ მტრების თვალყურის დევნების ქვეშ.

მშენებლობის დეფექტებს შეადგენენ ნაშენობათა სიძვირე და მუშაობის ნელი ტემპი. გარდა ამისა მუშაობას აბრკოლებდა ქალაქის მშენებლობის გენერალური გეგმის უქონლობა და სეისმიურის თვალსაზრისით გამძლე შენობათა გეგმის გამომუშავების საჭიროებაც. აღნიშნულ ტიპის შენობათა გეგმა ჩვენ მივიღეთ მხოლოდ მაისის დამლევს კონკურსის ჩატარების შემდეგ.

ჯერ კიდევ შარშან გამოირკვა, რომ 12.752 ოთახიდან, რომელიც დაზარალდა მიწისძვრის დროს (ამ რიცხვში არ შედის მუნიციპალური შენობები) 45 პროც. მოითხოვდა სრულ დაშლას, ხოლო 25 პროცენტის შეკეთება ძლიერ საეჭვო იყო.

პირველ ხანებში საერთო ზარალი ნაანგარიშევი იყო ქალაქად 19.938.895 მან., სოფლად 5.815.565 მანეთის რაოდენობით — სულ 25.753.565 მან. ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიამ ზარალი დაამტკიცა 17.700.000 მან. რაოდენობით. მიმდინარე წელს მივიღეთ 6.258.000 მანეთი, გარდა ამისა შემოწირულებათა სახით 1.626.832 მანეთი.

მუშაობის შედეგები დღემდე გამოიხატა შემდეგში: კერძო პირების მიერ აშენებულია 700 ახალი ოთახი, კაპიტალურად შეკეთებულია 4.860 ოთახი. მუნიციპალური მშენებლობით შეკეთებულია 389 ოთახი განსაზღვრულია კიდევ 327 ოთახის შეკეთება. საფეიქრო ტრესტი აშენებს 3 სახლს. გზათა სახკომი აშენებს 36 ერთსართულიან სახლს, კომიტეტი 26 დიდ სახლს.

სოფლებში აშენებული იქნება 648 ხის შენობა 1298 ოთახით“.

დასასრულ მომხსენებელმა განაცხადა: „მიუხედავად ნაკლულევანებათა და დაბრკოლებებისა 3 წლის შემდეგ ჩვენ მივსცემთ მშრომელთ ქალაქს, რომელიც ბევრად აჯობებს ძველს გუმრი—ალექსანდროპოლს“. (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტიული მასა ერთსულოვნად გმობს ოპოზიციას

ადგილობრივი პარტორგანიზაციები ფართოთ გამოეხმაურენ შინაპარტიულ უთანხმოების საკითხებს. აღსანიშნავია, რომ პარტიული მასა, როგორც თბილისში, ისე ადგილობრივ ორგანიზაციებშიც სასტიკად და ერთსულოვნად ილაშქრებს პარტიის გამთიშველთა და ლენინიზმის გამყალბებელთა წინააღმდეგ.

ფოთი

ასე მაგალითად ფოთის ორგანიზაციის საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრო კომკავშირის აქტივი მოისმინა ამხ. **ფ. მახარაძის** მოხსენება ცეკას და ც.საკ.კ. გაერთიანებულ პლენუმის შესახებ და გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ოპოზიციის დეზორგანიზაციულ მუშაობას გამოეხმაურა ყველა ანტი-საბჭოთა ელემენტები. კრება ერთსულოვნად აღშფოთებას გამოსთქვამს ოპოზიციის უპასუხისმგებლო გამოსვლების წინააღმდეგ, რაიც გამოიხატება არალეგალურ ანტი-პარტიულ ლიტერატურის გავრცელებაში, ფრაქციულ კრებების გამართვაში და სხვა.

კრება მოითხოვს, რომ ოპოზიციის ბელადები, თუ კი ისინი დაარღვევენ მათ მიერ 8 აგვისტოს თარიღით გაკეთებულ განცხადებას ფრაქციულ მუშაობის შეწყვეტის შესახებ, გარიცხულ იქნან არა მარტო ცეკას შემადგენლობიდან, არამედ პარტიიდანაც“.

სიღნაღი

სიღნაღის ქალაქის ორგანიზაციის გაერთიანებულ კრებამ შაზრის თემკომის მდივნების თანდასწრებით ამხ. **ფანცხავას** მოხსენების გარშემო მიიღო რეზოლიუცია რომელშიაც ნათქვამია:

„პარტია გმობს ოპოზიციის გამოსვლას, როგორც ისეთს, რომელსაც შეუძლია შეასუსტოს პროლეტარული სახელმწიფოს მებრძოლი ძალები და იმედები აღუძრას მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მტრებს.

პარტიამ გამოიჩინა უდიდესი სულგრძელობა ოპოზიციის მიმართ, ამით მან ამოსწურა შთაგონების და მოთმინების ყველა საშუალებები, პარტიამ მისცა ოპოზიციას უკანასკნელი გაფრთხილება, რის შემდეგაც პარტია მიიღებს უსასტიკეს ზომებს გაუსწორებელ ოპოზიციონერების წინააღმდეგ, რომელთაც „ევიწროება“ ლენინური დისციპლინის ფარგლები.

კრებას სწამს, რომ მე-11 ყრილობა მიიღებს დადგენილებებს ყველა საჭირბოროტო საკითხებზე და ვინც ამის შემდეგ გაბედავს პარტიის დირექტივების დარღვევას. პარტიის რიგებს გარეშე უნდა იქნას დაყენებული“.

ხიდისთავი

ხიდისთავის (გურია) პარტორგანიზაციის გაერთიანებულ კრებამ მოისმინა ამხ. თენგ. ჟღენტის მოხსენება. კრების მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ვკითხულობთ:

„პარტიას კარგად ესმის, რა შინაარსიც იმალება ოპოზიციის „მემარცხენე“ ფართი-ფურთობაში. ლენინური გვარდია არასოდეს არ მისცემს უფლებას, რომ ლენინიზმი შეცვლილ იქნას წვრილბურჟუაზიული ტროცკიზმით. მოვითხოვთ, რომ ხელმძღვანელ პარტიულმა ორგანოებმა განაგრძონ შეურიგებელი ბრძოლა ყოველგვარ ცდების წინააღმდეგ, რომელიც მიმართული იქნება პარტიის მთლიანობის დაშლისაკენ“.

სუფსა

სუფსის სათემო ორგანიზაციის კრებამ ამხ. სილ. თოდრიას მოხსენების ირგვლივ გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც, სხვათაშორის, ნათქვამია:

„ოპოზიციის დეზორგანიზაციული მუშაობა ხელს უწყობს პარტიის რიგების შესუსტებას და იმედს უნერგავს მსოფლიო ბურჟუაზიას მისი მაჩანჩალა მენშევიკებით.

იმ დროს, როცა შავმა ძალებმა კვლავ წამოყვეს თავი და გააცხოველეს ანტი-საბჭოთა კამპანია, ლენინურ ცეკას ირგვლივ დარაზმვის მაგიერ ოპოზიცია ფრაქციულ - გამთიშველ მუშაობას აწარმოებს. პარტია არასოდეს არ დასთანხმდება ლენინურ გვარდიის რიგების გათიშვაზე. ოპოზიციის ანტიპარტიულ მუშაობას უნდა დაუპირდაპირდეს ჩვენი პარტიის მონოლიტობა, რკინის დისციპლინა და ცეკას დირექტივების მტკიცედ გატარება“.

როგორ მუშაობს ჩვენი უჯრედი

(შორაპნის მ., ამაშუკეთის თ., ა. ლ. კ. კ. ორგანიზაცია)

ჩვენი თემის ორგანიზაცია თავის გარშემო იკრებს სულ სამ უჯრედს, რომელიც აერთიანებს 58 წევრს და კანდიდატს, მათ შორის 5 ქალია. უჯრედში დაარსებულია ლიტერატურული წრე და პოლიტ-წრე. დისციპლინა წარსულ წელთან შედარებით კარგია. წევრები პირნათლად ასრულებენ ყოველივე დავალებებს.

ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სწარმოებს: ჩამოყალიბებულია ღარიბ გლეხთა ჯგუფები. ხშირად ხდება უჯრედის ღია კრებები, რომელზედაც ბლომად ესწრება უპარტიო ახალგაზრდობა. კომკავშირლები არჩეულნი არიან საბჭოს წევრებად. მათ გლეხობაში კარგი ავტორიტეტი აქვთ მოპოვებული.

ქალთა შორის მუშაობა მოისუსტებს, მთელ თემში 5 კომკავშირელი ქალია. საჭიროა ორგანიზაციამ ხშირ ხშირად მოიწვიოს უპარტიო გლეხ ქალთა კონფერენცია და მოხსენებები გააკეთოს ქალთა შორის ამოცანებზე. ეს იქნება ერთ-ერთი საშუალება ქალთა რიცხვის გაზრდისა. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ინტელიგენცია არ ეწევა აქტიურ მუშაობას ამიტომაც არის რომ კულტურული საქმიანობა მოისუსტებს.

გ. ცუცქირიძე.

პარტია ზემო სვანეთში

ზ. სვანეთის ორგანიზაცია აერთიანებს სამ საწევრო და სამ საკანდიდატო უჯრედს. უკანასკნელი სამი უჯრედი დაარსებულ იქნა ა.-წ. მაისის ბოლო რიცხვებიდან. ასერთო პარტწევრთა და კანდიდატთა რიცხვი აღნიშნულ უჯრედებში აღწევს 104-დე. კულტურულ პოლიტიკური მომზადების დონე პარტწევრებისა და მით უმეტეს კანდიდატების ძლიერ დაბალია. პარტწევრების დიდ უმრავლესობას არ აქვს წარმოდგენაც კი ჩვენი პარტიის უბრალო ელემენტარულ საკითხებზე, მაგრამ ამ რამდენიმე თვის წინად მთავარ თემებში დაარსებულ იქნა მოძრავი პოლიტსკოლები, სადაც მეცადინეობა ჯერ კიდევ გრძელდება, რამაც უნდა მოგვცეს დიდი შედეგები პარტწევრების და კანდიდატების პოლიტიკურ ცოდნის ამაღლების მხრივ.

თუ დღემდე უჯრედების ბიუროები არსებობდენ მხოლოდ ფორმალურად, დღეს მათი მუშაობა უკვე ჩამოყალიბებულია. მცირე რიცხოვან უჯრედებში არჩეულია შესაფერი მდივნები და მიღებულია ზომები, რათა უჯრედებში სწარმოებდეს გეგმიანი მუშაობა.

რაც შეეხება პარტიის საორგანიზაციო ბიუროს ხელმძღვანელობას კომკავშირზე, ეს საქმე თან და თან უმჯობესდება.

სვანეთის ა. ლ. კომკავშირის სამაზრო კომიტეტი აერთიანებს 600-დე კავშირის წევრს. კომკავშირის უჯრედები არსებობს ყველა თემში. კულტურულ - პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა კომკავშირში შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. უმთავრეს უჯრედებთან არსებობს სხვადასხვა პოლიტგანმანათლებელი წრეები. უჯრედებთან არსებობს რედკოლეგიები და სისტემატიურად გამოდის კედლის გაზეთები. კომკავშირის წევრთა შორის თითქმის აღმოფხვრილია წერა - კითხვის უცოდინარობა გარდა ზოგიერთ გამონაკლისისა, რაც უნდა ჩაითვალოს დიდ მიღწევად. არავითარ ინტრიგას და სხვა არა სასურველ მოვლენას კომკავშირში ადგილი არა აქვს. სამაზრო პიონერთა ბიუროს მიერ კომკავშირის უჯრედებთან ჩამოყალიბებულია პიონერთა ბიური კოლექტივები, გამოყოფილი არიან სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელები და მეცადინეობა ყველგან სისტემატიურად სწარმოებს.

მშრომელ ქალთა შორის მუშაობას ზემო სვანეთში ადგილი არ ქონია მიმდინარე წლის ზაფხულამდე, მხოლოდ ა.-წ. ივნისის პირველ რიცხვებიდან აქ გადმოგზავნილ იქნა ქალთა შორის მომუშავე ამხანაგი, რომლის ხელმძღვანელობით საფუძველი ეყრება ქალთა შორის მუშაობასაც, ეწყობა თემებში ქალთა საერთო კრებები, სადაც ირჩევენ ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად სოფლის აქტივ - ქალებისაგან საინიციატივო ჯგუფებს, რომელთა მეშვეობით ახლო მომავალში უნდა ჩამოყალიბდეს სადელეგატო კრებები. განზრახულია აგრეთვე სვანეთში გაიხსნას ორი თუ სამი ჭრა - კერვის სკოლა, რაც ძლიერ შეუწყობს ხელს ქალთა შორის მუშაობის გაძლიერებას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზემო სვანეთში ნაყოფიერი მუშაობის შესაძლებლობა არის მხოლოდ ზაფხულის პერიოდში, ზაფხულობით სხვა ხელის შემწყობ პირობებთან ერთად მუშაობაში ფართოდ ებმება სხვადასხვა სასწავლებლებიდან არდადეგებზე ჩამოსული ახალგაზრდობა, რაც ძლიერ უწყობს ხელს კულტურულ განმანათლებელ მუშაობის წარმოებას.

ალ.

მუშათა დაწინაურების შედეგები

(გამოკვლევის მიხედვით)

მუშებისა და გლეხების დაწინაურება თბილისის მე-7-ე პარტკონფერენციამდე სტიქიურად და უგეგმოდ მიმდინარეობდა.

მე-7-ე პარტკონფერენციამ ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წამოყენების საკითხებზე.

თბილისის კომიტეტმა პარტკონფერენციის დირექტივის საფუძველზე გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებათა, რომლითაც უნდა გაუმჯობესებულიყო დაწინაურების სისტემა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პროფკავშირების მონაწილეობა წამოყენების საქმეში არა საკმაო იყო. დაწინაურება ტარდებოდა თითქმის პარტორგანოების მიერ.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას დირექტივის თანახმად წამოყენების საქმე ხელში უნდა აეღო პროფკავშირებს .ამის გამო თბილ. კომიტეტმა წინადადება მისცა კავშირის კომფრაქციებს, რათა 1-ლ აგვისტოსათვის წამოეყენებიათ 30 მუშა და მუშა-ქალები. დასაწინაურებელ კანდიდატთა შესწავლა დაეკისრა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებსა და კომუჯრედებს.

ამ დირექტივის შემოწმების დროს გამოირკვა რომ პროფორგანიზაციები წამოყენების საკითხებს თითქმის არ კიდებდნენ ხელს და წამოყენების მუშაობას წინანდებურად პარტორგანოები აწარმოებდენ.

წარსულ წელთან შედარებით მუშების წამოყენების საქმეს რიცხვობრივის მხრივ მნიშვნელოვანი წარმატება აქვს.—წარსული წლის პერიოდში (1925 წ. ოქტომბრიდან 1296 წ. ოქტომბრამდე) წამოყენებულ იქნა სულ 98 კაცი, მიმდინარე წელში 1926 წ. დეკემბრიდან 1927 წ. 1-ლ ივლისამდე წამოყენებულია—169 კაცი.

ეს შედეგები გვიჩვენებს, რომ დაწინაურება ხდებოდა თითქმის კომუნისტების ხარჯზე. 169 წამოყენებულთაგან მხოლოდ სამი იყო უპარტიო. სხვათა შორის, ეს ფაქტი ადასტურებს პროფკავშირების სუსტ მონაწილეობას წამოყენების საქმეში. მუშა-ქალებისა და კომკავშირელების დაწინაურება ძლიერ სუსტად ხდებოდა. ამ პერიოდის განმავლობაში წამოყენებულია სულ სამი ქალი და სამი კომკავშირელი.

წამოყენებულები უმთავრესად იგზავნებოდენ ადმინისტრატიულ - სამეურნეო სამუშაოზე (55,7 პროც.) და ყველაზე ნაკლებად კოოპერატიულ სამუშაოზე (0,6 პროც.).

წამოყენებულებს ჰქონდათ წარმოებაში მუშაობის საკმაო სტაჟი, მაგალითად 6-დან 10 წლამდე საწარმოო სტაჟი ჰქონდა 21,4 პროც., 11-დან — 20 წლამდე—18 პროც., 21 წ. და მეტი სტაჟი—13 პროცენტს.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ადმინისტრატიულ ორგანოების ხელმძღვანელები წინააღმდეგობას უწევდენ რომელიმე თანამდებობის პირის დაწინაურებულით შეცვლას.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ საკმარისი არ არის დაწინაურებულ მუშების მარტო რიცხობრივად გაზრდა. წარმოების დაწესებულებებმა, წარმოების ხელმძღვანელებმა და პარტიულ პროფესიონალურმა ორგანოებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ წამოყენებულ მუშების კვალიფიკაციის ამაღლებას და დაკისრებულ სამუშაოს შესრულების შემოწმებას.

შ. პატარაია.

კონტროლის გამარტივება ა.-კ. ფ.-ტ. სამმართველოში

ა. კ. მ. გ. ინსპექციამ დაამთავრა ა. კ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში კონტროლის გამარტივების საკითხის შესწავლა და საჭიროდ სცნო ინსპექციის არსებული შემადგენლობის შემცირება ოთხ კაცამდე. ამავე დროს წინადადება მიეცა სამმართველოს ინსპექციას გამოიმუშაოს მუშაობის მტკიცე გეგმა და მის მიხედვით აწარმოოს თავისი საქმიანობა. საჭიროდ არის ცნობილი აგრეთვე გაძლიერდეს კავშირი საინსტრუქტორო აპარატთან, გამოიყენოს მასალები მასზე საერთო ხელმძღვანელობის განსახორციელებლად. ამასთან ერთად ფ. ტ. სამმართველოს წინადადება მიეცა დაავალოს საინსტრუქტორო აპარატს, როგორც ინსპექციის, ისე მუშგლეხინის ღონისძიებათა ცხოვრებაში რეგულიარული გატარება. მიზანშეწონილად არის ცნობილი აგრეთვე ინსპექციის მიერ წარმოებულ გამოკვლევებში პროფორგანიზაციების და სამმართველოს ოპერატიულ განყოფილებათა მუშაკების ჩაბმა. პარალელიზმის თავიდან ასაშორებლად ფაქტიური რევიზიის მოხდენის დროს, მ. გ. ინსპექციის წინადადებით, ფ. ტ. სამმართველო და ფინსახკომის საფინანსო საკონტროლო სამმართველო უნდა გაეცნონ ურთიერთ მასალებს. საჭიროა აგრეთვე, რომ ინსპექციამ მუშგლეხინის წინადადებათა შესრულების შემოწმების მიზნით წინასწარ დაწვრილებით გაეცნოს სათანადო მასალებს. სასურველად არის ცნობილი, რომ მოეწყოს ინსპექტორებისა და ინსტრუქტორ რევიზორების მოხსენებები ფ. ტ. სამმართველოს დაწესებულებათა მუშაკების კრებაზე რევიზიის და გატარებულ ღონისძიებათა შედეგების შესახებ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ზარალი ნიაღვრებისაგან

ბათუმი, 19 სექტემბერი. მაზრებიდან მიღებულ ცნობებით, ნიაღვრებმა გამოიწვია შემდეგი ზარალი: ქედის მაზრაში—ცხინორის თემში წყალმა გააფუჭა—26 დეს. ნათესი, ერთი დესეტინა ბაღი; დაანგრია—8 წისქვილი და 7 საცხოვრებელი სახლი.

მერისის თემში დაზიანებულია 126 დესეტინა ნათესი 3 დესეტ. ბაღი 15 წისქვილი და 12 საცხოვრებელი სახლი. ქობულეთის მაზრაში ჩაქვის თავის თემში განადგურებულია 6 დესეტ. ნათესი, 3 დეს. ბრინჯი, დანგრეულია 4 წისქვილი და ერთი სახლი. ჩახათის თემში დაზიანებულია—18 დესეტ. სიმინდი, 3 დეს. ბრინჯი და 3 წისქვილი.

ორივე მაზრაში წყალდიდობისაგან დაზარალდა 304 დეს. ნათესი, 6 დეს. ბაღი, 8 დეს. ბრინჯი, 62 წისქვილი და 43 სახლი. მთელი ზარალი აღწევს 144.000 მანეთს. უმთავრესად დაზარალდენ ღარიბი გლეხები (ადს).

ამხ. ქართველიშვილი დას. საქართველოში

ახალსენაკი, 18 სექტემბერი. ჩამოვიდა საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ქართველიშვილი.** 16 სექტემბერს ამხ. ქართველიშვილმა დაათვალიერა აბაშის ჰიდროელსადგური, 17 სექტემბერს კი გაემგზავრა ზუგდიდის მაზრაში (ადს).

არხი

ახალსენაკი, 13 სექტემბერი. სოფ. ვაჟუწყინარის მცხოვრებნი შეუდგენ ხუთვერსიან არხის გაყვანას მდინარე ცხენისწყალიდან. არხი მორწყავს მარანის თემის მთელ დაბლობ ნაწილს. დღემდე ამ რაიონს არ ჰქონდა წისქვილები, რის გამო მცხოვრებლებს უხდებოდა სიმინდის ზიდვა დასაფქვავად 10—12 ვერსზე. არხი გაჰყავთ შრომის ბეგარის წესით, რომელსაც გლეხობა ხალისიანად ასრულებს (ადს).

ოქტომბრის დღესასწაულისათვის

ახალციხე, 18 სექტემბერი. ოქტომბრის დღესასწაულისათვის საფუძველი ჩაეყრება:: გლეხის სახლს სოფ. აწყურში და ხილის სახმობს ახალციხეში, გაიხსნება ხე-ტყის ქარხანა, ელექტრო-სადგური და აგრო-ვეტერინარული პუნქტი აწყურში; ასეთივე პუნქტი გაიხსნება სოფ. ასპინძაშიაც (ადს).

სასწრაფო დახმარების კურსები

ოზურგეთი, 18 სექტემბერი. წითელი ჯვრის სამაზრო განყოფილებამ გახსნა სასწრაფო დახმარების სამთვიანი კურსები 50 მსმენელისათვის. მსმენელთა შორის 34 ქალია და 16 კაცი (ადს).

წერილები

თიანეთი

არც ასე ვარგა

კოოპერატივის საქმიანობის გასაფართოებლად და მტკიცე ნიადაგზე დაყენებისათვის საჭიროა მისი ფინანსიურად მომაგრება, ამისათვის კი ერთ-ერთ საშუალებად მიჩნეულია წევრთა გამრავლება და მათგან საწევრო და საპაიო თანხის სრულად შეკრება..

იმის საკითხი, თუ ვინ, როგორი გზით აღწევს ამას, თიანეთის კოოპერატივი, „იმედი" მოქმედებს თავისებურად. ამ კოოპერატივის გამგეობა საპაიო თანხის გასადიდებლად წევრებს, თუ მათ არა აქვთ შეტანილი სრული პაი, ექვსი მანეთი, არ ავაჭრებს.

გლეხის ბიუჯეტი ყველამ კარგად იცის. გლეხს თუ შეტანილი აქვს კოოპერატივში 2, ან სამი მანეთი, ვერ იყიდის ტანზე ჩასაცმელს თუ არ შეასრულებს ექვს მანეთს. ერთდროულად ასეთი საგრძნობი თანხის შეტანა გლეხისათვის საძნელოა, მით უმეტეს ჩვენი რაიონისათვის, განსაკუთრებით წლევანდელი იშვიათი მოუსავლიანობის გამო.

უკეთესი იქნება კოოპერატივის გამგეობამ შესცვალოს აღნიშნული გზით საპაიო თანხის შეგროვება. ის უნდა ეცადოს შეაძლებინოს გლეხს გადახდა და ნაწილობრივ შეავსებინოს საპაიო თანხა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ნაკლი. ესაა თბილისიდან მოსული საქონლის თავის დროზე გაყიდვის მოუწესრიგებლობა. საქონელი არა ნაკლებ 4—5 დღისა რჩება ფასდაუდებლად. როცა შეიძლებოდა მეორე დღესვე მისი გაყიდვა. ასე არ იყო აქამდე, ხოლო ეს არახელსაყრელობა უნდა მიეწეროთ კოოპერატივის მოანგარიშეს, რომელზედაც დამოკიდებულია ფასების დადება.

ილ. დოლიაშვილი.

ს. წითელი ქალაქი, გორის მაზრა

დაუშვებელზე დაუშვებელია

წითელ ქალაქში არსებობს ამხ. კამოს სახელობის საბავშვო სახლი, რომელშიაც ამჟამად მოთავსებულია 34 უპატრონო ბავშვი. აღნიშნულ ბავშვებიდან ამას წინეთ რამოდენიმე ბავშვი, რომელთაც უკვე სასკოლო ასაკს მიაღწიეს, გადაყვანილ იქნენ თემში არსებულ შვიდ წლედში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბავშვო სახლს საკმაო შტატი ჰყავს მასწავლებლებისა, მაგრამ აქედან შვიდ წლედში გადასაყვან ბავშვებს მაინც ძალიან სუსტი აღმოაჩნდათ მომზადების მხრით.

აღნიშნულ საბავშვო სახლის საქმე არა სდგას ამჟამად სასურველ ნიადაგზე.

ამ სამი თვის წინეთ ხსენებული საბავშვო სახლს განაგებდა კატო მაჩაბელი, რომელსაც საკმაო მომზადება ჰქონდა საამისოდ, მაგრამ მისი ავადმყოფობის გამო გადაბარა სხვას, რომელმაც თავის მხრივ ერთი თვის შემდეგ კიდევ უფრო გამოუცდელ პიროვნებას ჩააბარა. და რას ვხედავთ ახლა?

აღნიშნულ საბავშვო სახლს ესტუმრენ ქ. თბილისის საბავშვო სახლიდან 12-მდე ბავშვი თავის მასწავლებლით საგარაკოდ. ეს ბავშვები შეუერთდენ ადგილობრივ 34 ბავშვს და სცხოვრობდენ ერთად, მაგრამ აქ ხდება ერთი რამ რაც დაუშვებელზე დაუშვებელია; თბილისიდან ჩამოსულ ბავშვებს აძლევენ სადილისათვის თეთრ პურს ხოლო ადგილობრივ ბავშვებს კი შავს.

ბავშვების ერთად სადილობის დროს ადგილობრივი საბავშვო სახლის ბავშვები ეკითხებიან: „მასწავლებელო. რატომ სჭამენ ისინი თეთრ პურს და ჩვენ კი შავ პურს გვაჭმევთო". და ეს გრძელდება დღემდე. ეს გარემოება, ცხადია, ამ ობოლ ბავშვების ხსოვნაში არასასურველ კვალს დასტოვებს, რაიც დაუშვებელია.,

დავრდომილი.

ს. ხაში სენაკის მაზრა

გამოვიყენოთ ძველი მასალა

სოფ. ხაში ღარიბი სოფელია, მაგრამ აბაშის თემში შემავალ სხვა სოფლებთან შედარებით კულტურულად დაწინაურებულია. აქ არსებობს ოთხწლედიანი შრომის სკოლა და ქოხსამკითხველოსათვის აგებულია პატარა შენობა.

სოფელში არსებული ორი ეკლესია ხალხმა დაანგრია. მისი მასალები სკოლას და სამკითხველოს შეკეთების უნდა მოხმარებოდა,— მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სკოლის შენობა დღესაც შეუკეთებელია.

მორწმუნეთა ხუთი ექვსი კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა ხელმეორეთ დაიწყო ახალ ეკლესიის აშენება, რისთვისაც ხარჯავენ ძველ მასალას. მაგრამ მათ ეკლესიის აშენება ვერ დაამთავრეს, რადგანაც ხალხის თანაგრძნობა ვერ ჰპოვეს. მასალა კი ლპება უპატრონოდ. მეორე ეკლესიის მასალები ღია ცის ქვეშ აწყვია და ნადგურდება.

მასალა რამოდენიმე ათასი მანეთი ღირს. მას აუცილებლივ სოფელი უნდა დაეპატრონოს და გამოიყენოს იგი კულტურულ საჭიროებისათვის.

აბაშის აღმასკომმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს სოფელს ამ მასალის გამოყენებაში და სკოლის შენობის შეკეთებაში.

ა. ლ—ვა.

სოფლის ქრონიკა

პირველი თოვლი. მთიან თუშეთში ორ სექტემბერს მოვიდა თოვლი.

ბრძოლა წ. კ. უცოდინარობასთან. ახალქალაქის მაზრის სამ ადგილას იხსნება მოჯამაგირეთა შორის წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები.

ნაპირების გამაგრება. ფოთის რაიონში დამთავრდა მდ. რიონის ნაპირების გამაგრება.

ხილის სახმობი მანქანები. ახალციხის აღმასკომმა მიიღო ხილის სახმობი ორი მანქანა.

ღარიბ გლეხებისათვის სესხის დასარიგებლად ახალქალაქის საკრედიტო ამხანაგობამ მიიღო 20.000 მან.

გამოფენა. 26 სექტემბერს, საეკლესიო დღესასწაულის დღეს „ალავერდობა"-ს ალავერდის მონასტერში თელავის აღმასკომი აწყობს სასოფლო-სამეურნეო გამოფენას. ამავე დღეს წაკითხული იქნება რამდენიმე ლექცია ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ.

მუშათა ცხოვრება

რუსეთის ქარხნებში

მუშის შთაბეჭდილება

რკინისგზის მთავარ სახელოსნოს გამგეობამ, რუსეთის რამოდენიმე ქალაქებში სახელოსნოების დასათვალიერებლად და ტექნიკური მოწყობილობის გასაცნობად გაგზავნა ოთხი მუშა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ქარხნებთან შედარებით რუსეთის ქარხნებს ტექნიკურ მოწყობილობაში დიდი მიღწევები აქვს. ლენინგრადში ქარხანა „პროლეტარი" ტექნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი. ყველანაირი იარაღი კეთდება ადგილობრივ. იარაღის წრთობა წარმოებს გამდნარი ტყვიის ვანით, რომელიც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ჩვენს წარმოებაში. მასალის გადატან - გადმოტანა სწარმოებს ელექტრონის საშუალებით, რაც მუშაობას აადვილებს. და ხელს უწყობს მასალის სწრაფ დამზადებას. მოწყობილია აგრეთვე ორთქლმავალის ცილინდრების გამოსაყვანი დაზგები. აქ ირჩევა ნაჩარხი რკინა, თითბერი და სხვ. სახელოსნოებში ჰაერის გაწმენდა სწარმოებს ვინტილიატორების საშუალებით.

მოსკოვის სახელოსნო ქალაქიდან დაშორებულია 40 ვერ. მანძილზე. მუშები დაიარებიან სწრაფი მიმოსვლის მატარებლით. სახელოსნო მოწყობილია ხალვათ და სინათლიან შენობაში. დაცულია სისუფთავე. ცენტრალური საწყობი სახელოსნოშივეა მოწყობილი, სადაც შესანიშნავი წესრიგით აწყვია თავთავის ადგილას დასამზადებელი თუ დამზადებული მასალა თავის წარწერებით. საწყობში აქვთ 6.000 სახელწოდების ნაწილები დაზგების 50 პროც. დაცვეთილია, მაგრამ აქვე არსებობს დაზგების სპეციალური სარემონტო სახელოსნო, სადაც სწარმოებს დაზგების ძირითადი შეკეთება.

ქალ. მურომში სახელოსნოს შენობა აშენებულია უფრო თანამედროვე პირობებთან შეფარდებით. ის სუფთაა და სინათლიანია, ყოველი საამქროს განყოფილებები ერთიმეორეს მისდევს მოხერხებულად, რაც დიდათ აადვილებს მასალის ერთი განყოფილებიდან მეორეში გადაცემას. ქ. პოლტავის სახელოსნოში რაციონალიზაციის გატარებით გაუმჯობესებულია წარმოება დანაწილებულია საქმეები და მოწყობილია იარაღები, ბალონები და სხვა, რომელსაც ხელოსნები დამზადებულს იღებენ. მოწყობილია ორთქლის დიდი ჩაქუჩები. დაზგები მოწყობილია ახალი კონსტრუქციის მიხედვით და მუშაობს ავტომატიურად.

[illegible] სახელოსნოში შესანიშნავია უმთავრესად ჩამოსასხმელი საამქრო. სადაც იხმარება ავეჯეულობა, როგორც ვაგონის თვლები და სხვა. სახარატო საამქრო მდიდარია ყოველნაირი დაზგებით.

აქაც სახელოსნო მოძრაობს ელექტრონის საშუალებით: სახელოსნოს ეტყობა სივიწროვე, მაგრამ ჰაერი სუფთა არის, რადგან სამისო ზომებს ღებულობენ. კეთდება [illegible], ფოლადის ნაჭრებს ადუღებენ ელექტრონის საშუალებით, რომელიც დიდ ეკონომიას აძლევს სახელოსნოს.

სახელოსნოებში, როგორც ადმინისტრაცია, ისე მუშები გვეპყრობოდენ დიდის თანაგრძნობით და პატივისცემით, გვაცნობდენ წარმოების მოწყობილობას და გულმოდგინედ გვიხსნიდენ ყველაფერს.

მუშა—მიხ. ქებელაშვილი.

ჩვენც გამოგვიწერეთ გაზეთი

ქარხანა „შრომა"-ში და მაღაროებში მუშაობს დაახლოვებით 200 მუშა - მოსამსახურე. თითქმის ყველა მათგანმა იცის წერა - კითხვა ყველამ უნდა წაიკითხოს გაზეთი და გაეცნოს ჩვენს ამბებს. მაგრამ რატომღაც ადგილკომი ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევს გაზეთის გამოწერასა და მის გავრცელებას მუშებში.

ამას წინად ადგილკომმა გაზეთი გამოუწერა მხოლოდ 30 მუშას. დანარჩენებს არ შეკითხვია, სურდათ თუ არა მათ გაზეთი, რაც უნდა ჩაითვალოს მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობად.

ა. ადგილკომო, ჩვენც გვინდა გაზეთი. შეიწუხეთ თავი და გამოგვიწერეთ.

აქაური.

ნაკლულოვანებანი და მიღწევები

(მთავარი სახელოსნო)

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც სხვაგან, ისე მთავარი სახელოსნოს სადურგლო-საამქროს მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდა. უკანასკნელი წლების განმავლობაში სახელოსნოში აშენდა რამოდენიმე ხის შენობა სადურგლო დაზგების და მასალის მოსათავსებლად. მაგრამ წარმოება იმდენათ ფართოვდება და სამუშაო იმდენათ მატულობს, რომ ეს შენობები მაინც ვერ აკმაყოფილებენ მუშების რიცხვს. ისინი ვეღარ ეტევიან საამქროში. დამზადებული მასალაც უადგილობის გამო აწყვია ღია ცის ქვეშ და წვიმაში ფუჭდება.

საამქროსთან მოწყობილია ნედლი მასალის სახმობი განყოფილება, მაგრამ იგი ვერ არის ისე მოწყობილი, რომ შეიძლებოდეს მისი გამოყენება და ნედლი მასალის გასახმობად დაწყობა. ამის გამო ნედლი მასალისაგან დამზადებული ესა თუ ის შეკვეთა ხშირად იშლება და მუშებს ხელმეორედ უხდებათ მისი გაკეთება. ეს კი იწვევს ზედმეტ ხარჯებს.

საამქროში მოწყობილია ექვსი ახალი დაზგა, რომლებიც მუშაობენ მოტორის საშუალებით.

ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ სარანდავი დიდი დაზგები ხშირად ჩერდებიან, ხოლმე, რაც აფერხებს წარმოებას. სახერხი დაზგა ორ თვეზე მეტია არ მუშაობს. ადმინისტრაცია ამას ყურადღებას არ აქცევს.

ამჟამად სახელოსნო ტექნიკურად ისეა მოწყობილი, რომ საქმეების 90 პროც. დაზგებზე კეთდება. ამიტომ ადმინისტრაციამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს დაზგების დროზე შეკეთებას.

საამქროში იწყობა აგრეთვე სარდაფიდან ნახერხის ამომტანი დაზგა, რაც დიდ გაუმჯობესებას შეიტანს საამქროს მუშაობაში.

ტექნიკურ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. საწარმოო კომისიამ საგრძნობლად დაუკლო ფასები ნაწარმოებზე, მაგრამ ფასების დაკლება ვერ არის სწორად გატარებული: მაგ.. მეჩარხავები დღეში მანეთ —ექვს აბაზს აბარებენ აკორდს. მაშინ. როდესაც ზოგიერთი ხელოსნები 2—3 მანეთს და ხშირად მეტსაც აკეთებენ.

გარდა ამისა. ზოგ საქმეებზე ძალიან არის დაკლებული ფასები; ზოგზე კი სულ უმნიშვნელოდ. საწარმოო კომისიამ ხელმეორეთ უნდა განიხილოს ნაწარმოების ფასების დაკლების საკითხი და მიიღოს ზომები მუშებში უკმაყოფილების აღმოსაფხვრელად.

[illegible] საგრძნობი შედეგები მოგვცა; საამქროს შენობის უკან ხის საუკეთესო [illegible] მთები იდგა. ამჟამათ აღნიშნული ანაჭრები ზოგი იყიდება და ზოგიც თვით წარმოებას ხმარდება. რამაც საკმაოთ გაადიდა საამქროს შემოსავალი.

ფ. შენხიძე.

გადაგვრიცხეთ სამთამადნო კავშირში

(ქუთაისიდან)

ქუთაისიდან 5—6 ვერსის მანძილზე, მოწამეთის მახლობლად არის კარიერის ქვის სატეხი ქარხანა. რომლის მუშები ირიცხებიან აღმშენებელთა კავშირის წევრებად.

არსებულ წესების მიხედვით კი ის მუშები, რომლებიც მუშაობენ ასაფეთქებელ მასალაზე, უნდა ირიცხებოდნენ სამთამადნო პროფკავშირის წევრებად.

სამაზრო კროფბიუროს გაერთიანებულმა კრებამ შუამდგომლობა აღძრა პროფკავშირთა საბჭოს წინაშე, რათა კარიერის ქვის სატეხი ქარხნის მუშები გადარიცხული იქნენ სამთამადნო კავშირში.

იმედია, კროფსაბჭო დააკმაყოფილებს მუშების მოთხოვნილებას და გადარიცხავს მათ სამთამადნო პროფკავშირში, როგორც ასაფეთქებელ მასალებზე მომუშავე მუშებს.

გ. ტ.

ამხ. მელნიჩანსკი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და ყოფ. რუსეთ-ინგლისის კომიტეტის წევრი ამხ. **მელნიჩანსკი.**

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. მელნიჩანსკიმ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის შესახებ განაცხადა:

— ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლა ჩვენთვის არ ყოფილა მოულოდნელი. ინგლისის ბურჟუაზიული მთავრობა ყოველთვის წინააღმდეგი იყო ინგლის-რუსეთის კომიტეტის არსებობის. კონსერვატორების და ლიბერალების ბელადებს არა ერთხელ მიუთითებიათ გენერალურ საბჭოსათვის, რომ მისი კავშირი სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან ეწინააღმდეგება ინგლისის კონსტიტუციას.

გენსაბჭომ დიდი ხანია უკვე თავი იხახელა თავისი ერთგულობით კონსტიტუციისადმი: თავისი უკანასკნელი დადგენილებით იგი შეეცადა აღედგინა ინგლისის ბურჟუაზიის და მისი კონსტიტუციის ერთგულ ლეიტენანტის „კეთილი" სახელი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მათი ეს ნაბიჯი თანაგრძნობას ვერ იპოვის ინგლისის მუშათა მასსების ფართო ფენებში.

ჩვენ მომხრე ვიყავით ინგლისის პროფესიონალურ მოძრაობასთან კავშირის დამყარების; ჩვენ გვინდოდა და გვინდა კავშირი ყველა ქვეყნების მუშათა კლასთან მათი პროფკავშირების ხაზით: ასეთი კავშირი აუცილებელია მთლიანი ინტერნაციონალის შექმნისათვის.

ჩვენ მომხრე ვიყავით ინგლის-რუსეთის კომიტეტის არსებობის და არ გვინდოდა მისი ჩაშლა, რადგან ეს კავშირი სასარგებლოა, როგორც ინგლისის, ისე საბჭოთა კავშირისათვის. მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვეძლია შევურიგდეთ ისეთ მდგომარეობას, რომ ამ კავშირმა საშუალება წაგვართვას გავაკრიტიკოთ პროფმოძრაობის მოღვაწეები ან თვით მოძრაობა მთლიანად, რომელიმე ქვეყანაში. პროფმოძრაობის ბელადების მოქმედების გაკრიტიკება სრულებითაც არ ნიშნავს რომელიმე ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევას, როგორც ეს ესმის გენერალურ საბჭოს; ის ვინც ასე ფიქრობს, მას არაფერი გაეგება ინტერნაციონალიზმის და საერთაშორისო რევოლიუციონური ბრძოლის.

პასუხისმგებლობა ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლისათვის მთლიანად ეკისრება გენერალურ საბჭოს მოღვაწეებს და ხელმძღვანელებს.

ჩვენ კი წინანდებურად შევეცდებით განვამტკიცოთ კავშირი ინგლისის მუშათა კლასთან და წინანდებურად დაუზოგველად გავაკრიტიკოთ, როგორც ინგლისის პროფმოძრაობის ცალკე მოღვაწეების, ისე ჯგუფების შეცდომები და გამცემლობა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რამოდენიმე წლის წინად დაწყებული ბრძოლა პროფკავშირების ერთიანი რევოლიუციონური ინტერნაციონალის შესაქმნელად მომავალშიაც გაგრძელდება.

ამსტერდამის ინტერნაციონალი და მისი სულის ჩამდგმელნი, რომელნიც დღითი-დღე იხრწნებიან, დიდხანს ვეღარ გაუწევენ წინააღმდეგობას მუშათა კლასის ფართო მასსებს, რომლებიც ერთიანი ინტერნაციონალის შექმნას მოითხოვენ.

თბილისის საბჭოს სექციებში

გუშინ შესდგა თბილისის საბჭოს ყველა სექციების მორიგი სხდომა.

ქალაქის კეთილმოწყობა 1928 წლისათვის

კომუნალურ სექციაში მოსმენილ იქნა მოხსენება 1927-28 წ. ქალაქის კეთილმოწყობის შესახებ იმ თანხების ფარგლებში, რომელიც 1927-28 წლის ბიუჯეტით ამ საქმისათვის არის ნავარაუდევი. მთავარი ყურადღება მიექცევა განაპირა უბნების—ნაძალადევის, საბურთალოს, ვაკეს და სხვ. კეთილმოწყობას. მრუდე და ცუდათ დაგებულ ქუჩები გადაკეთებული, მოკირწყლული და განათებული იქნება. გარდა ამისა, ჩატარებული იქნება მთელი რიგი ახალი სამუშაოებისა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე.

საბარგო ავტომობილების, ურმების და სხვა ბორბლიან გადასაზიდ საშუალებით მოძრაობა გადატანილ იქნება ახალ გზაზე, რომელიც გაჰყავთ მტკვრის ნაპირზე კარლ მარქსის ხიდიდან საბურთალომდე.

საბურთალო და ნაძალადევი ხელახლა იქნება დაგეგმილი: გამოიყოფა მოედნები საბინაო მშენებლობისა, და პარკ-ბაღებისათვის.

28 წელშივე დაიწყება დიდის ხიდის აგება მტკვარზე—საბურთალოს სადგურის რაიონთან შესაერთებლად და მეორე ხიდის აგება მაიდანზე. პირველ ოქტომბრიდან დაიწყება ტრამვაის ხაზის გაყვანა ვაკეზე.

დიდი ყურადღება მიექცევა სკვერების და ბაღების მოწყობას. განზრახულია ძველი ბაღების სრული აღდგენა და ახალის მოწყობა.

განზრახულია მთელ რიგ ახალ კეთილმოწყობ სამუშაოების დაწყება მაზრაშიდაც.

თბ. ბიუჯეტის შესრულება 3 კვარტალში

საფინანსო სექციამ გუშინდელ სხდომაზე მოისმინა ამხ. **ხანაძის** მოხსენება თბილისის აღმასკომის 1926-27 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ პირველ 3 კვარტალში.

საგადასახადო შემოსავლიდან მთელი წლის განმავლობაში ნავარაუდევი იყო 6.048.039 მანეთი შემოსავალი, 3 კვარტალში შემოვიდა 4.763.561 მანეთი, ანუ შესრულებულია 78,8 პროც., არასაგადასახადო შემოსავლიდან ნავარაუდევი იყო 12.393.397 მანეთი, ფაქტიურად 3 კვარტალში შემოვიდა 9.127.404 მანეთი. შესრულებულია 73,6 პროც., სხვადასხვა შემოსავალი ნავარაუდევი იყო წლის განმავლობაში 7.990.370 მანეთი, ფაქტიურად შემოვიდა 4.185.769 მან., შესრულებ. 52,3 პროც. სულ ბიუჯეტით ნავარაუდევი იყო წლის განმავლობაში 26.431.806 მანეთი, 9 თვეში შემოვიდა 18.076.734 მანეთი, შესრულ.—68,4 პროც.

საგასავლო ნაწილის მიხედვით ადმინისტრატიულ და [illegible] ხარჯებისათვის ნავარაუდევია მთელი წლის განმავლობაში 2.077.182 მანეთის დახარჯვა, ფაქტიურად 9 თვეში დახარჯულია 1.607.147 მანეთი, შესრულ. 77,4 პროც., სოციალურ - კულტურული საჭიროებისათვის წლის განმავლობაში ნავარაუდევია 5.740.241 მანეთი, დაიხარჯა 4.178.587 მან., შესრულებულია 72,8 პროც., სამეურნეო-საწარმოო საჭიროებისათვის ნავარაუდევია წლის განმავლობაში 15.197.201 მანეთი, ფაქტიურად 9 თვეში დახარჯულია 9.716.270 მანეთი, შესრულ. 63,9 პროც., სხვადასხვა საჭიროებისათვის ნავარაუდევია წლის განმავლობაში 3.417.182 მანეთი, ფაქტ. 9 თვეში დაიხარჯა—2.012.381 მან., შესრულ. 58,9 პროც:, ბიუჯეტით გასავალი წლის განმავლობაში ნავარაუდევია 26.431.806 მანეთი, 9 თვეში დახარჯულია 17.514.385 მანეთი, შესრულ. 66,8 პროც.

სამოსწავლო წლის დაწყებისათვის

განათლების სექციის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **ქრისტოლიუბოვის** მოხსენება განათლების განყოფილების მიერ ჩატარებულ მოსამზადებელ მუშაობის შესახებ მიმდინარე სასწავლო წლისათვის. მოსამზადებელი მუშაობა შეეხო მასწავლებელთა გადაჯგუფებას და განაწილებას სასწავლებლებში, ახალი ჯგუფების გახსნას, სასწავლებლების შეკეთებას და სხვა. მიმდინარე წლისათვის 9 წლედებს ემატება ორი მე-8 ჯგუფი დარჩენილი მოწაფეებისათვის. საბავშვო ბაღებს მიემატათ კიდევ 10 ახალი ჯგუფი, რაც საშუალებას იძლევა ბავშვთა რიცხვი გადიდებულ იქნეს 200-მდე. ბიუჯეტით გადადებული თანხა სულ 37 ათასი მანეთი სკოლების შესაკეთებლად სავსებით გამოყენებულია,— სკოლები შეკეთებულია იმდენად, რომ არავითარ დაბრკოლება არ არსებობს სწავლის გასაახლებლად. ჩატარდა მასწავლებელთა გადაჯგუფება. სკოლები უზრუნველყოფილი არიან სტაჟიანი, გამოცდილი და ცენზიანი მასწავლებლებით.

სექციამ მოიწონა განათლების განყოფილების მიერ ჩატარებული მუშაობა. ამავე სხდომაზე დამტკიცებულ იქნა ოქტომბრის სადღესასწაულო გეგმა.

დამცველთა კოლეგიის დაშლა

საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატმა გამოსცა ბრძანება ა. წ. 1 ოქტომბრიდან საქართველოს სასამართლოებთან არსებული ეხლანდელი შემადგენლობის დამცველთა კოლეგიის გაუქმების შესახებ.

ბრძანების თანახმად, უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარესთან დარსებულია კომისია სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახკომსაბჭოს წარმომადგენელთა შემადგენლობით, კომისია შეუდგება მუშაობას 12 ოქტომბრიდან.

ვისაც სურს დამცველთა კოლეგიის ახალ შემადგენლობაში წევრად შესვლა, უნდა წარუდგინოს კომისიას განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს: მუშაობის სტაჟს ქალაქში ან სოფელს რომელსაც ის ირჩევს თავის მუდმივ სამუშაოთ, განცხადებას უნდა დაერთოს სათანადო საბუთები და აგრეთვე წერილობითი რეკომენდაციები საბჭოთა, პარტიულ ან პროფესიონალურ ორგანიზაციების არა ნაკლებ სამი პასუხისმგებელ მუშაკისა.

მუშაობის დამთავრების შემდეგ კომისია იწვევს დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო პირველ კრებას დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის ასარჩევად. დამცველთა კოლეგიის ეხლანდელი პრეზიდიუმი განაგრძობს მუშაობას ახალი პრეზიდიუმის არჩევამდე.

დამცველთა კოლეგიის ყოფ. წევრებს ნება ეძლევათ დაამთავრონ სასამართლოებში მათ მიერ წინათ აღებული საქმეები. კოლეგიაში არ მიღებული წევრები კარგავენ ახალი საქმეების აღების უფლებას იმის შემდეგ, როდესაც მათ გამოეცხადებათ, რომ ისინი არ არიან მიღებული კოლეგიის ახალ შემადგენლობაში.

მთელი მუშაობა დამცველთა კოლეგიის ძველი შემადგენლობის დათხოვნისა და ახალი შემადგენლობის დაარსების შესახებ დამთავრდება ამა წლის 12 დეკემბრამდე.

დიდებულ ადამიანთა ტვინის პანთეონი

სამეცნიერო წრეებში დაიბადა აზრი საბჭოთა კავშირში დიდებულ ადამიანთა ტვინის პანთეონის მოწყობის შესახებ. ფსიქო - ნევროლოგიურმა აკადემიამ შეიმუშავა სამეცნიერო, ხელოვნებისა და საზოგადოებრივ მუშაობის დარგში გამოჩენილ მოღვაწეთა ტვინის პანთეონის მოწყობის დაწვრილებითი გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინა მთავრობას. პანთეონის გახსნა განზრახულია დაუკავშირონ ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავს.

ტვინის პანთეონი ორ მიზანს ისახავს: ერთი მხრით გამოჩენილ მოღვაწეთა სახელის უკვდავყოფას და მათი ტვინისა და მათი ცხოვრებისა და შემოქმედების დამახასიათებელ მასალების შენახვას; მეორე მხრით, მათი ტვინის ყოველმხრივ მეცნიერულ შესწავლას.

პანთეონს პირველ რიგში გადაეცემა ქიმიკოს **მენდელეევის**, კომპოზიტორ **ა. რუბინშტეინის**, მწერალ **სალტიკოვ - შჩედრინის** და ისტორიკოს სოციოლოგის **მაქსიმ კოვალევსკის** ტვინი.

პროექტის თანახმად, პანთეონის ხელმძღვანელ კომიტეტს, განსაკუთრებული დეკრეტით უნდა მიენიჭოს გამოჩენილ ადამიანთა ტვინის მიღების უფლება. კავშირის სხვადასხვა ადგილებში, განსაკუთრებით საუნივერსიტეტო ქალაქებში, კომიტეტს ეყოლება თავისი წარმომადგენლები. ისინი უმთავრესად იქნებიან ანატომიისა და პათოლოგიის პროფესორები. პანთეონის მოწყობა უფრო მიზანშეწონილადაა მიჩნეული ლენინგრადში ტვინის ინსტიტუტთან.

ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

შაბათს დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ინსტრ. **პაპაქირის** მოხსენება კოოპერატივებში კულტურული მუშაობის წარმოების და მეთოდების შესახებ და ცეკავშირის საორგანიზაციო კოლეგიის წევრის შ. გოგებაშვილის მოხსენება ინსტრუქტაჟის, მისი მეთოდების და საინსტრუქტორო მუშაობის შესახებ.

ამით ამოიწურა ყრილობის დღის წესრიგი. ყოველი მოხსენ., რომლის გარშემო იმართებოდა კამათი, საბოლოოდ დასამუშავებლად და რეზოლიუციების გამოსატანად ეცემოდა ამისათვის პირველ სხდომაზე სპეციალურად არჩეულ კომისიას.

საღამოს სხდომაზე ყრილობა შეუდგა კომისიის მიერ გამოტანილ რეზოლიუციების განხილვას, რაც დამთავრდა კვირას.

ყველა მოხსენების გარშემო გამოტანილი რეზოლიუციები მიღებულ იქნა ზოგიერთი შესწორებებით და დამატებებით.

ყრილობა დაიხურა კვირას ნაშუადღევის სამ საათზე.

იუსტიციის მუშაკთა თათბირი

მეოთხე და მეხუთე დღე

თათბირის მეოთხე დღის საღამოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. **ჯანჯღავამ.**

პროკურატურის და საგამომძიებლო აპარატის მუშაობის შესახებ

მომხსენებლის გადმოცემით, პროკურატურის მუშაობა ქალაქსა და მაზრაში მრავალმხრივი იყო, მაგრამ ბრძოლა რევოლიუციონური კანონიერების განსამტკიცებლად პროკურატურის მუშაობაში მთავარ მომენტს წარმოადგენდა. იმის გამოსაკვლევად, თუ როგორ ტარდება რევოლიუციონური კანონიერება სოფლად, პროკურატურის წარმომადგენლებს უხდებოდათ მაზრაში მისვლა-მოსვლა. სოფლად მთავარი ყურადღება ექცეოდა ბრძოლას მიწის ყიდვა-გაყიდვასთან. ამ სფეროდან გაირჩა 68 საქმე, რომლიდანაც სათანადო მსვლელობა მიეცა 22. პროკურატურას მოუხდა აგრეთვე თემაღმასკომების მიერ გამოცემულ ზოგიერთი იმ სავალდებულო დადგენილებათა გაუქმება ან შეცვლა, რომელნიც არ შეეფერებოდენ საბჭოთა კანონმდებლობის საერთო ხასიათს. პროკურატურის მიერ აღკვეთილ იქნა აგრეთვე თემაღმასკომების მიერ სასამართლოს და მილიციის ფუნქციებში შეჭრის შემთხვევები.

მომხსენებელი ეხება, რა საგამომძიებლო აპარატის მუშაობას, აღნიშნავს, რომ იგი მეტად დატვირთულია, სოფლად მას არ მოეპოვება გადასაზიდი საშუალებები და საკმაო თანხები მისვლა - მოსვლისა და გამოძიების ადგილობრივ საწარმოებლად. განსაკუთრებით მძიმეა გამომძიებლების მუშაობა ზაფხულობით, როცა გლეხობა მოუცლელია.

მომხსენებელი საჭიროდ სცნობს, რომ მაზრაში გაიგზავნონ გამოცდილი გამომძიებლები, რომელნიც უფრო ადვილად შესძლებენ სოფლის სპეციფიკური დაბრკოლებათა გადალახვას. დამატებითი გამომძიებლები, რომელსაც ხშირად მიმართავენ მოსამართლენი, თუ აუცილებელი საჭიროება არ მოითხოვს, მომხსენებლის აზრით, უნდა მოისპოს.

ბოროტმოქმედებებს შორის, მომხსენებლის გადმოცემით, მაზრაში ყველაზე უფრო გავრცელებულია მკვლელობა. შემდეგ ქურდობა, თავდასხმა და ყაჩაღობა.

ამავე სხდომაზე თანამოხსენებით გამოვიდა პროფ. ამხ. **კუპრაშვილი,** რომელმაც ხაზი გაუსვა პროკურატურის დატვირთვას საქმეებით, რის გამო პროკურატურა ვერ ესწრება სათანადო ზედამხედველობა გაუწიოს მილიციას და დაეხმაროს სასამართლოს.

ორატორი აღნიშნავს, აგრეთვე, სისხლის სამართლის მილიციის მუშაობის მძიმე პირობებს, რომელიც მიეწერება აქტიურ თანამშრომელთა სიმცირეს. გაუსწორებელ ბოროტმოქმედებთან ბრძოლის გასაადვილებლად მომხსენებელი იძლევა შემდეგ წინადადებას: თბილისში აღრიცხულია 400—500 ისეთი ბოროტმოქმედი - რეციდივისტი, რომელთა გამოსწორება არავითარი ღონისძიებით არ შეიძლება. საჭიროა მათი არა ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში გაძევება, (როგორც ჩვეულებრივ ხდება), არამედ მათი სრულიად გადასახლება შორეულ მხარეებში (რუსეთის ქალაქების მსგავსად).

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ამხ. ივანიძემ თათბირს გააცნო ცენტრალურ გამასწორებელ სახლის დღევანდელი მდგომარეობა, სადაც, მისი გადმოცემით, აღმოფხვრილია ყველა ის ბოროტებანი (მკვლელობა, დაჯარიმება — „კონტრიბუცია"), რომელთაც ადგილი ჰქონდა მეფის დროინდელ ციხეში.

ამხ. სადიკაშვილმა მოკლე მიმოხილვა გაუკეთა მცირეწლოვანთა კომისიის მუშაობას. კომისიას აქვს ახალშენი, სადაც მცირეწლოვანი ბოროტმოქმედნი წესიერი აღზრდით, პატიოსანი შრომით სრული გამოსწორების გზას ადგიან.

თბილისის და მის მაზრაში არსებულ საკონსულტაციო ბიუროების მუშაობა თათბირს გააცნო **ამხ. კორინთელმა.** ქალაქში მუშაობს 9 ბიურო, მაზრაში ორი. საანგარიშო პერიოდში ბიუროებიდან გაწეულია 1.545 [illegible] დაცვა. სულ ბიუროებში მიუღიათ 5.921 იურიდიული დახმარება (დაცვა, იურიდიული რჩევა-დარიგება და სხვ.).

საკონსულტაციო ბიუროების ავტორიტეტი თანდათან იზრდება. სოფლად უკვე გასავალი არა აქვთ ცრუ ვექილებს. გარდა ამისა, ბიუროები აწყობდენ ლექციებს და საუბრებს იურიდიულ საკითხებზე.

თათბირი დაიხურა ამხ. **ი. ვარძიელის** სიტყვით. შეეხო რა თათბირზე დასმულ საკითხებს, ამხ. ვარძიელმა ხაზი გაუსვა ასეთი თათბირების **ხშირად მოწვევის საჭიროებას.**

სახკომსაბჭოში

ს. მ. უ. ს.-ის წარმომადგენელი თბილისის ქალაქის ბანკში

სახკომსაბჭოს დადგენილებით — სახ მეურნეობის უმ. საბჭოს და თბილისის ბანკის მოქმედების შესათანხმებლათ ადგილობრივ მრეწველობისათვის გრძელვადიანი სესხის მიცემის დარგში, ბანკის საბჭოს შემადგენლობა შეივსება ს. მ. უ. ს.-ის წარმომადგენლით.

განთავისუფლება სარენტო გადასახადისაგან

სახკომსაბჭოს დადგენილებით, თბილისში არსებული ცხენთ-საშენი, იპოდრომები და ცხენების სავარჯიშო სხვა ადგილები განთავისუფლებულია სარენტო გადასახადისაგან.

ფართლეულის მებამბეებისათვის

სახკომსაბჭომ საჭიროთ სცნო, რათა მებამბეებისათვის ფართლეულის მიწოდება ჩამოერთვას სას.-სამ. კოოპერაციას და გადაეცეს სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელიც ფართალს გაანაწილებს საქართველოს ბამბის კომიტეტთან და საბამბო რაიონებში არსებულ სას.-სამ. საკ. ამხანაგობებთან შეთანხმებით.

საძოვრების ექსპლოატაცია

თანახმად სახკომსაბჭოს დადგენილებისა,— დუშეთის მაზრის საძოვრების ექსპლოატაციისაგან 1926—27 წელში შემოსული თანხა და 1925—26 წლის საძოვრების გადასახადის ნარჩენები დატოვებულია დუშეთის სამაზრო აღმასკომის განკარგულებაში.

საქ. ვაჭ. კომისარიატში

ნავთის საწყობი № 4.

საქართველოს ვაჭრობის კომისარიატის მიერ 16 სექტემბერს მოწვეულმა თათბირმა კოოპერაციის და სამთამადნო ტრესტის მონაწილეობით დაადგინა: სამთამადნო ტრესტის კუთვნილი ნავთის საწყობი № 4 გადაეცეს ცეკავშირს. ცეკავშირს და სამთამადნო ტრესტს მიეცათ წინადადება — შეთანხმდენ ურთიერთ შორის გადაცემის პირობებში და შეთანხმების შედეგი აცნობონ ვაჭრობის კომისარიატს.

თათბირის გადადება

მეთამბაქოეთა მდგომარეობის და საჭირო ღონისძიებათა გამოსარკვევათ საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ 23 სექტემბრისთვის მოწვეული თათბირი გადადებულია 10 ოქტომბრისთვის.

ზაჰესი მრეწველობაში

ზაჰესის ელდენის გამოყვანა თბილისში დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. 1.000 კილომეტრი მავთული აწვდის ამჟამად თბილისს ზაჰესის ენერგიას, გასაყვანია კიდევ 20 კილომეტრი. ასეთ მდგომარეობაში სავსებით შესაძლებელია თბილისის მთელი მრეწველობის გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე, მაგრამ ამ საქმეს ჯერ-ჯერობით აბრკოლებს მოტორების რიცხვის სიმცირე.

ტელასის მიერ უკვე მიღებულია უცხოეთიდან და დადგმულია მცირეძალოვანი 400 მოტორი, მომავალში მოტორების დამზადება იკისრა „ვეტმა", საბჭოთა მოტორები უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე უცხოეთიდან გამოწერილი.

მრეწველობის ზაჰესის დენზე გადაყვანა შემდეგში უფრო ჩქარი ტემპით წავა.

მსხვილი აბონენტებიდან ორი თვის განმავლობაში ზაჰესის დენზე გადავლენ რკინის გზის სახელოსნოები, ხახკინმრეწვი, ყველა სტამბები, წყალსადენი, სასაკლაო (ნაწილობრივ) და ტრამვაი. ტელასის საპერსპექტივო გეგმით გათვალისწინებულია, რომ პირველ წელს ზაჰესი იქნება რვა მილიონი კილოვატ-საათი, ხოლო ხუთი წლის შემდეგ—18,700,000 კილოვატ-საათი.

ამჟამად ზაჰესის ელდენზე გადაყვანილია პატარა მოტორიან დადგმულობათა 40 პროც. დანარჩენი კი გადავა საოპერაციო წლის პირველ ნახევარში, რაც შეეხება მსხვილ მოტორებს, პირველი წლის განმავლობაში ზაჰესის დენზე გადავა 25 პროც., მეორე წლის განმავლობაში კიდევ 25 პროც. და მე-3 წლის განმავლობაში დანარჩენი 50 პროც.

ავტომობილის კატასტროფის მიზეზი

ბათომიდან თბილისში დაბრუნდა „ზაკავტოპრომტორგის" კომისია, რომელიც იკვლევდა აჭარის შარაგზაზე მომხდარ „ფიატის" ავტომობილის კატასტროფის მიზეზებს.

„ზაკავტოპრომტორგ"-ის ბათომის განყოფილების გამგეს, რუხაძეს, თვითნებურად წაუყვანია ავტომობილი, რომელსაც თვითონ მართავდა. ავტომობილში იჯდა 5 კაცი. ქალაქიდან გასვლის თანავე მან არაჩვეულებრივი სისწრაფით წაიყვანა ავტომობილი, რომელიც ხიდს მოსახვევზე თხრილში გადავარდა. მგზავრები მსუბუქად დაშავდენ, ავტომობილი უმნიშვნელოდ დაზიანდა. დღეს დასრულდა მისი შეკეთება.

კომისიამ გამოარკვია, რომ კატასტროფის მიზეზი არ ყოფილა არც გზა, რომელიც საუკეთესო მდგომარეობაშია, და არც თვით ავტომობილი. მთელი დანაშაული მოუძღვის რუხაძეს. რუხაძე უკვე დაპატიმრებულია, მოხსნილია სამსახურიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

ელექტრო - მანქანები სოფლად

ზაჰესის ელექტროდენზე გადასვლის გამო თბილისის ელსადგურები იხურება და ამ სადგურების ელექტრო-მანქანებს ტელას გადასცემს სოფლებს ადგილობრივი ელექტროფიკაციისათვის.

ელსადგურების დახურვის შემდეგ დარჩა 54 მანქანა. აქედან 40 მანქანა სავსებით გამოსადეგია შემდგომი ექსპლოატაციისათვის, შეკეთება დასჭირდება 20 მანქანას.

15 მანქანა უკვე გადეცა სოფლებს. რაც შეეხება ზაჰესის ელდენის მიწოდებას თბილისის ახლო მდებარე სოფლებისათვის, უნდა ითქვას, რომ მცხეთა უკვე გადაყვანილია ზაჰესის ელდენზე და მოკლე ხანში გადავლენ ავჭალა და გლდანი. შეუდგენ ზაჰესის დენის გაყვანას ნატახტარის ახლო-მახლო სოფლებშიაც.

თათბირი ადმინ.-სამეურნეო ხარჯების 20 პროც. შემცირების შესახებ

18 სექტემბერს საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის შენობაში ამხ. **ლუკაშინის** თავმჯდომარეობით შესდგა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკთა და სახელმწიფო, სამრეწველო, სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანოების პასუხისმგებელ წარმომადგენელთა თათბირი, ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების საკითხის შესახებ.

მოხსენება ამ საკითხის შესახებ გააკეთა ამხ. **ლუკაშინმა.**

ამხ. ლუკაშინმა თავის მოხსენებაში აღნიშნა ხარჯების შემცირების განსაკუთრებული მნიშვნელობა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დირექტივას ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა; მხოლოდ მათი აქტიური მონაწილეობით შესძლებს მუშ. და გლეხ.ინსპექცია ზემოხსენებული დირექტივების შესრულებას. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მთავრობის დირექტივა ადმინისტრატიული ხარჯების 15 პროცენტით შემცირების შესახებ 1926—27 წელში საკმაოდ არ იქნება შესრულებული. მაგრამ ამავე დროს მუშათა-გლეხთა ინსპექციის გამოკვლევითი მუშაობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ადმინისტრატიული ხარჯების 20 პროცენტით შემცირება სავსებით შესაძლოა გატარებულ იქნას, ვინაიდან სამმართველო აპარატი მეტად გაბერილია და სახელმწიფო თანხები არ იხარჯება ჭომჭირნეობით. ამიტომ ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება ჩატარებულ უნდა იქნას აპარატის ღირებულების შემცირების, უმთავრესად მისი სტრუქტურის გამარტივების და შტატების შემოკლების გზით. მუშაობის სისტემისა და მეთოდების გაუმჯობესების ნიადაგზე. მაქსიმალურად უნდა იქნას შემცირებული მივლინებათა რიცხვი და მტკიცედ იქნას დაცული ამ ხარჯების გაღების წესებიც; სავსებით უნდა მოისპოს ისეთი ხარჯების გაღება, რომელნიც დაკავშირებული არ არიან ამ ორგანოს უშუალო ამოცანებთან. ამ ღონისძიებათა გატარებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს ხელფასის არსებული განაკვეთების შემცირება. ამასთან დაკავშირებით მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა უკვე შეიმუშავა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინა დასამტკიცებლად პროექტი დადგენილებისა, რომელიც აწესებს ხარჯების შემცირების წესებსა და მეთოდებს.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ხუმარიანმა, ხტურუამ, ვარდანიანმა, რატიშვილმა** (საკავშ. სავაჭრო სინდ.), **ობოლაძემ** და სხ. ორატორების უმრავლესობამ ხაზი გაუსვა საადმინისტრაციო ხარჯების ოცი პროცენტით შემცირების აუცილებლობას და აღნიშნა ყველა იმ ნაკლულოვანებათა აღმოფხვრის საჭიროება, რომელნიც ხელს უშლიან დირექტივის ცხოვრებაში გატარებას.

თათბირმა ამ საკითხის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

1) ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პირობებში და მასთან დაკავშირებით მთელი სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის აუცილებლობის გამო, საადმინისტრაციო სამმართველო ხარჯების შემცირების საკითხი მეტად აქტუალური და განსაკუთრებული პოლიტიკურ-სამეურნეო მნიშვნელობის საკითხია.

2) მთავრობის დირექტივა საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების არანაკლებ 20 პროცენტით შემცირების შესახებ ცნობილ იქნას სავსებით შესასრულებლად და მაშასადამე იგი ყველა სამეურნეო ორგანიზაციებმა ყოველ პირობების გარეშე უნდა გაატარონ დანიშნული ვადისათვის.

3) თათბირი აღნიშნავს, რომ მთავრობის დირექტივა საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების 15 პროცენტით შემცირების შესახებ არადამაკმაყოფილებლად იქნა გატარებული 26—27 წლის განმავლობაში; ამასთანავე თათბირი აღიარებს, რომ ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები საკმაო ყურადღებას არ აქცევდენ ამ დირექტივას და ფორმალურ მექანიკურ დამოკიდებულებას იჩენდენ მისდამი, ამიტომ ხარჯების 20 პროცენტით შემცირების დირექტივის წარმატებით გატარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს წარსული მუშაობის დეფექტების თავიდან აცილება.

4) საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შემცირება უნდა გატარდეს არა მექანიკურად, არამედ რაციონალიზაციის, სამმართველო აპარატის და მისი მუშაობის მეთოდების გაუმჯობესების ხარჯზე.

5) ვინაიდან დირექტივა სასწრაფოდ უნდა იქნას განხორციელებული, ამიტომ აუცილებელია წლიური ხარჯების ბუხჰალტერული წესით საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე მიღებულ იქნას ზომები აპარატის ფაქტიური ხარჯების გამორკვევისათვის 1926—27 წლის განმავლობაში და 1927 — 28 წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენისათვის არა უგვიანეს 1-ლი ოქტომბრისა.

ახალ ხარჯთაღრიცხვაში საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯები შემცირებულ უნდა იქნას არანაკლებ 20 პროცენტ. 1926—27 წლის ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით.

გარდაიცვალა ალ. ი. სუმბათაშვილი--იუჟინი

ცნობა გარდაცვალების შესახებ

გუშინ განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილებამ ჟუან-ლე-პენიდან (საფრანგეთშია) ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის მეუღლისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

— 17 სექტემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი.**

მოსკოვი, 19 სექტემბერი. 17 სექტემბერს სამხრეთ საფრანგეთში გარდაიცვალა აკადემიურ თეატრების დამსახურებული არტისტი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, მცირე თეატრის საპატიო დირექტორი ა. ი. იუჟინი (სუმბათოვი). (ადს).

ა. ი. სუმბათაშვილი--იუჟინი

(ბიოგრაფიული ცნობები)

ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი დაიბადა 4 სექტემბერს, 1857 წელს, ტულის გუბერნიაში. ექვსი წლისა იყო, როცა მშობლებმა რუსეთიდან საქართველოში ჩამოიყვანეს. 9 წლამდე იზრდებოდა თბილისში, შემდეგ კი მუხრან-თელეთში, თბილისიდან 17 ვერსის დაშორებით. პირველ დაწყებითი სწავლა მან მიიღო დედისაგან, რომელიც უმაღლესი მუსიკალური ცოდნით იყო აღჭურვილი. მშობლებმა დიდი გავლენა მოახდინეს პატარა ალექსანდრეზე. ის ბავშობიდანვე დაეწაფა წიგნების კითხვას. ზეპირად იცოდა პუშკინი, ლერმონტოვი და მრავალი სხვა პოეტები. როცა 12 წელი შეუსრულდა, ალექსანდრე ჩამოიყვანეს თბილისში და მიაბარეს პირველ ქართულ გიმნაზიაში. სასწავლებელში ის საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. 17 წლისა იყო, როცა დაამთავრა და 1877 წ. უმაღლესი ცოდნის მისაღებად გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1881 წელში.

ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი ბავშობიდანვე გატაცებული იყო თეატრით. მისი პირველი გამოსვლა სცენაზე, გიმნაზიაში გამართულ წარმოდგენებით დაიწყო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი მთლიანად გადავიდა თეატრში. პირველ ხანებში გამოდიოდა საკლუბო წარმოდგენებში. მუშაობდა აგრეთვე კრონშტადში—ა. მ. რაპოპორტთან, რომელიც ხელოვნების დიდი მცოდნე და კრიტიკოსი იყო. ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი უმნიშვნელო როლებითაც იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას.

1881 წლის ზაფხულში, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ა. სუმბათაშვილს მოუხდა თამაში ა. პ. ლენსკისთან ერთად, რომელიც გამოდიოდა მაშინ. პეტერბურგის საზაფხულო თეატრებში. აქ ა. სუმბათაშვილი უდიდესი წარმატებით გამოვიდა კარლ მოორის როლში. იმავე წლის ნოემბერში ა. სუმბათაშვილი მიიწვიეს მოსკოვში ა. ა. ბრენკოს პუშკინის სახელობის თეატრში. ეს თეატრი იყო მოსკოვის ერთ-ერთი სანიმუშო კერძო თეატრი. პირველივე თავისი დებიუტით ამ თეატრში ურიელ აკოსტას როლში მან მიიპყრო როგორც საზოგადოების, ისე პრესის განსაკუთრებული ყურადღება ამ როლის თავისებური და ორიგინალური გაგებით. არანაკლები წარმატებით გამოდიოდა ის ამავე თეატრში ვასილის როლში „კაშირის სიძველეში", მეფე კლავდიუსის როლში „ჰამლეტში" და საგმირო რეპერტუარის მთელ რიგ სხვა როლებში.

პუშკინის სახელობის თეატრში ა. სუმბათაშვილმა იმსახურა ამ თეატრის მუშაობის დასრულებამდე. შემდეგ ის მიიწვია ფ. ა. კორშმა თავის თეატრში, რომელსაც უკანასკნელი აშენებდა საგაზეთო შესახვევში, მაგრამ დაახლოებით იმავე დროს, სახელდობრ 1 ივნისს 1882 წ. ის მიიწვია ა. ა. პოტეხინმა მოსკოვის მცირე თეატრში.

30 აგვისტოს 1882 წ. ა. სუმბათაშვილი პირველად გამოვიდა მცირე თეატრში ჩაცკის როლში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გიმნაზიაში გამართულ წარმოდგენაშიაც, როდესაც ა. სუმბათაშვილი იყო თბილისის გიმნაზიის მეთხუ კლასის მოწაფე, ის პირველად გამოვიდა ჩაცკის როლში.

პირველ როლს მცირე თეატრში ა. სუმბათაშვილი თამაშობდა ი. ვ. სამარინის ხელმძღვანელობით.

მცირე თეატრის დასში მაშინ კიდევ სცოცხლობდა საუკეთესო თეატრალური ტრადიციები.

აქ ა. სუმბათაშვილმა სულ უფრო და უფრო ფართოდ გაშალა თავისი მდიდარი ნიჭი კლასიკურ რეპერტუარში—შექსპირის, შილერის, ჰიუგოს პიესებში და მალე დაიკავა პრემიერის ადგილი.

ა. სუმბათაშვილი იყო ახალი მსახიობი. მის დროს თეატრში ყოველმხრივ შეიჭრა კულტურა, რომელმაც წამოაყენა მსახიობის ახალი ტიპი და თეატრის სახე გახდა მრავალფეროვანი. განჩნდა მსახიობი—დრამატურგი, მსახიობი—პროფესორი, მსახიობი-რეჟისორი, მსახიობი-ადმინისტრატორი და სხვ. ყველაფერმა ამან თუმცა ძლიერ აღამაღლა მსახიობის პიროვნება და წოდება, როგორც სწერს საკმაოდ ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი ედუარდ სტარკი, მაგრამ ამავე დროს გამოიწვია შემდეგი არასასურველი მოვლენა: მსახიობი დაიქსაქსა, მან წვრილმანებზე, დააქუცმაცა თავისი შემოქმედებითი ნიჭი ნაცვლად იმისა, რომ რაც შეიძლება მეტი განცდით და მხატვრული სისრულით გადმოეცა სცენიური დახასიათებანი. ა. სუმბათაშვილი წარმოადგენდა მრავალმხრივობის ტიპიურ ნიმუშს, და ყოველ დარგში თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგა; ის იყო ნამდვილი მსახიობი.—მსახიობი, როგორც ასეთი, მსახიობი — პედაგოგი, რომელმაც შესძინა რუსეთის თეატრს ბევრი გარგად გაწვრთნილი მოღვაწე, მსახიობი-ადმინისტრატორი, რომელმაც ბრწყინვალედ დაამტკიცა ამ მხრივ თავისი ნიჭი მოსკოვის მცირე თეატრის გამგედ ყოფნის დროს და დახვეწილი მსახიობი-დრამატურგი, რომელმაც მთელი რიგი ბრწყინვალე პიესები შესძინა სცენას.

სცენისათვის მუშაობა ა. სუმბათაშვილმა დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს 1877 წ. მან დაწერა თავისი პირველი პიესა „მეზობლები". ეს პიესა ერთი წლის შემდეგ დიდი წარმატებით იქნა წარმოდგენილი მოსკოვის არტისტულ წრის სცენაზე. ა. სუმბათაშვილი კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც მისი პიესა „საუკუნის ქალიშვილი" მიიღო მცირე თეატრმა, მაგრამ ამ პიესის დადგმა [illegible]. საიმპერატორო თეატრების დირექციამ, რომელიც მთლიანად შესდგებოდა პეტერბურგის მსხვილ მოხელეთაგან. მათ უხერხულად ჩასთვალეს მოხელეთა წრის მხილება, რაც მოცემული იყო ამ პიესაში.

ერთი წლის შემდეგ, 1881 წელს მისი ახალი პიესა „ფოთლები შრიალებს" უკვე დაიდგა მოსკოვის მცირე თეატრში და პეტერბურგის ალექსანდროვის თეატრში, ახალმა სალიტერატურო — თეატრალურმა კომიტეტმა კი მწერლების: ა. ა. პოტეხინის, ა. ნ. პლეშჩეევის, პ. დ. ბობორიკინის და სხვების შემადგენლობით, მოხსნა აკრძალვა აგრეთვე პიესას „საუკუნის ქალიშვილსაც". მაგრამ მისი შემდეგი ნაწარმოები—სერგეი სატილოვი—შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარით აიკრძალა მთელს რუსეთში. ეს აკრძალვა პიესას მხოლოდ 25 წლის შემდეგ ჩამოაშორა რევოლიუციამ.

ა. სუმბათაშვილის სახელი ცნობილი და პოპულიარული იყო როგორც მოსკოვსა, პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში, ისე კავკასიაში. ა. სუმბათაშვილის განსაკუთრებული დამსახურება არაერთხელ აღნიშნულა საზღვარგარეთაც. ასე მაგალითად, კარლოსის როლის შესრულებისთვის საფრანგეთის რესპუბლიკამ ის დააჯილდოვა აკადემიურ დაფნის ნიშნით. იმავე 1900 წელში ის დიდი წარმატებით გამოდიოდა სერბიაში თავის საუკეთესო როლებში: „რუი ბლაზი", „რიჩარდ მე-3", „ოტელო", „ურიელ აკოსტა", და „კინი". აქ მან მიიღო წმ. საბას საკომანდორო ჯვარი და თეატრის საპატიო რეჟისორის წოდება.

1916 წ. ა. სუმბათაშვილმა ინახულა თბილისი. აქ მას შეხვდენ უდიდეს აღფრთოვანებით და პატივისცემით.

ა. სუმბათაშვილის დიდი დამსახურება იყო ის, რომ პირველ თავის ნაბიჯებისთანავე მცირე თეატრში ის მიხვდა, რომ ნიჭიერ-ერთეულების ბედნიერ შადრევანის დრო წასულია საბოლოოდ, რომ შადრევანი დაშრა და ის უკვე ველარ მოგვცემს რაიმე ძვირფასს, რომ მოვიდა დრო, როდესაც საჭიროა დავეხმაროთ ბუნებას ინტელექტით, ხალისიან შრომით და ცოდნით, აღვადგინოთ სკოლა და ხელი მოვკიდოთ კოლექტიურ თეატრის—ანსამბლის შექმნას.

მხოლოდ ამ ანსამბლის ფონზე შეიძლებოდა ჩასახულიყო არტისტულ პიროვნების თეატრის შეცვლა სარეჟისორო ანსამბლის თეატრით, რომელიც შემდეგში განახორციელა ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკომ და კ. ს. სტანისლავსკიმ. მათია იდეა, მათია გეგმა, მაგრამ პირველი აგურები ჩაუყარა ამ საქმეს ა. სუმბათაშვილმა მე-80 წლებში.

1909 წელს მას დაეკისრა მცირე თეატრის მმართველობა, რომლის დროს ეს თეატრი განმტკიცდა მხატვრულად და მატერიალურად.

როდესაც მოხდა რევოლიუცია, ა. ი. სუმბათაშვილი დაინიშნა დიდ და მცირე თეატრების კომისრად. მაგრამ მან მალე შესძლო მცირე თეატრისათვის დამოუკიდებლობის მოპოვება, რის შემდეგ ამ თეატრს მართავდა არჩეული დირექცია. სახ. განათლების კომისარიატის მიერ მცირე თეატრის განსაკუთრებულ დებულების დამტკიცების შემდეგ დირექციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ა. სუმბათაშვილი.

მცირე თეატრის ორგანიული კონსტიტუცია,—მისი 1919 წლის ძირითადი დებულება და მთელი რიგი ცალკე წესები და დებულებები, რომლებიც აწესრიგებს მცირე თეატრის ცხოვრებას, შეიმუშავა და ცხოვრებაში გაატარა ა. სუმბათაშვილმა.

1922 წელს ა. სუმბათაშვილს მოსკოვში გადაუხადეს 40 წლის მოღვაწეობის იუბილე. საბჭ. კავშირის სახ. კომ. საბჭომ მას მიანიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება.

1923 წელში ა. სუმბათაშვილი ეწვია თბილისს, სადაც დიდი წარმატებით ჩატარდა მისი გასტროლები. მისი იუბილე გადახდილ იქნა თბილისშიაც.

1924 წელში ის ავად გახდა გულის ნევროზით და საქმეთ გაემგზავრა საზღვარგარეთ. გარდაიცვალა ნიცაში (საფრანგეთი) 17 სექტემბერს.

სახკომსაბჭოს დეპეშა

საქართველოს სახკომსაბჭომ გუშინ მოსკოვის მცირე თეატრს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

— ცნობამ სახალხო არტისტის ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილ-იუჟინის გარდაცვალების შესახებ ღრმად დაამწუხრა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო. დიდია დანაკლისი, რომელიც ეწია საბჭოთა კავშირის ხელოვნებას და ლიტერატურას, განსაკუთრებით სახელოვან მცირე თეატრს, რომელთანაც განსვენებული განუყრელად დაკავშირებული იყო ათეული წლების განმავლობაში.

სახალხო კომისართა საბჭო იზიარებს იმ მწუხარებას, რომელსაც განიცდიან ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის თანამებრძოლები, და დარწმუნებულია, რომ ამ დიდი დანაკლისის სიმძიმე კიდევ უფრო მჭიდროთ გაართიანებს მათ რიგებს ხელოვნებისადმი სამსახურისა და მშრომელთა მასების კულტურული დაწინაურების საქმეში.

განსვენებულის სახელის უკვდავყოფის საკითხი ცალკე მსჯელობის საგანი იქნება სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე.

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის დროებით აღმასრულებელი **გეგეჭკორი.**

ჩაი

ჩაის პლანტაციები

საქციო საზოგადოება „ქართული ჩაის" მატერიალური დახმარებით და ხელმძღვანელობით, გასულ და მიმდინარე წელს საქართველოში, აფხაზეთში და აჭარისტანში ადგილობრივი გლეხების მიერ 582 დესიატინის ტერიტორიაზე გაშენებულია ჩაის ახალი პლანტაციები.

ამ რაოდენობიდან აჭარისტანში პლანტაციები გაშენებულია 158 დესიატინაზე, აფხაზეთში—25 დესიატ.

ახალი ფაბრიკა

საზოგადოება „ქართული ჩაის" მიერ, სოფ. ბობოყვათთან (ჩაქვისა და ქობულეთის შუა) აშენებული და მოწყობილია ჩაის ახალი დიდი ფაბრიკა, რომელიც გადაამუშავებს ადგილობრივ პლანტაციების ჩაის მწვანე ფოთოლს.

ყოველ წლიურად ფაბრიკა გადაამუშავებს ერთ მილიონ გირვანქა ჩაის.

ფაბრიკა უკვე ამუშავებულია.

კონტროლის გამარტივება ა.-კ. ნავთსადგურებში

ნავთსადგურთა განყოფილების კონტროლის გამოკვლევის შემდეგ ა.-კ. მუშ. და გლეხთა ინსპექციამ საჭიროდ ჩასთვალა გაანთავისუფლოს ნავთსადგურთა განყოფილების ინსპექცია კასპიის ზღვის ნავთსადგურების ხარჯების დოკუმენტალურ შემოწმებიდან და გადასცეს ეს სამუშაო ამიერ-კავკასიის რკინისგზების საკონტროლო განყოფილებას, ამასთანავე ნავთსადგურთა განყოფილებას წინადადება მიეცა უფრო რეალურად შეადგინოს ინსპექციის სამუშაოთა გეგმები, რომლებიც უნდა შეეფერებოდენ ფაქტიურ ტექნიკურ შესაძლებლობებს. აგრეთვე დააკისროს საინსპექტორო პერსონალს, რათა მან გზადაგზა შეამოწმოს მუშგლეხინის მიერ განყოფილებისათვის დაქვემდებარებულ ერთეულების გამოკვლევის დროს გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაც.

შემდეგ კოლეგიამ დაადგინა ურჩიოს ნავთსადგურთა განყოფილებას, რათა მან პერიოდულად გააცნოს (საინსპექტორო პერსონალის საშუალებით) ნავთსადგურთა განყოფილების ადგილობრივ მუშაკებს ინსპექტორების მიერ ჩატარებულ მუშაობის შედეგები, და აგრეთვე გამოიყენოს მუშათა კრებებზე მიღებული მითითებანი. ამასთან ერთად მუშ. და გლეხთა ინსპექციამ, წინადადება მისცა ნავთსადგურთა განყოფილებას და ამ.-კავკ. რკინისგზის საფინანსო საკონტროლო განყოფილებას შეუთანხმონ ერთმანეთს მუშაობა. საინსპექტორო პერსონალის არსებული შტატი ცნობილ იქნა საკმაოდ. (ადს).

შემნახველი სალაროები

ამიერ-კავკასიის მთავარ შემნახველ სალაროს გამგემ ამხ. **საკიანმა** შემნახველ სალაროების მუშაობის შესახებ განაცხადა შემდეგი: ამ ბოლო ხანებში შრომის შემნახველ სალაროების მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ივლისისათვის ყველა სალაროებში ითვლებოდა 150 მილიონი მანეთი ანაბარი და 1.700,000 წევრი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რაოდენობა როგორც ანაბარების, ისე წევრების, არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

შემნახველ სალაროებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. მე-15 პარტკონფერენციამ სათანადო ყურადღება მიაქცია შემნახველ სალაროებს და აღნიშნა შესაფერი ზომების მიღების საჭიროება მშრომელთა ფართო მასების ჩასაბმელად სალაროების მუშაობაში.

ამ მიზნით საჭიროა გაძლიერებული იქნას აგიტაცია-პროპაგანდა და მშრომელ მასას განემარტოს და აეხსნას შემნახველ სალაროების მნიშვნელობა და სარგებლობა.

მიღებულია ზომები სალაროში ფულის შეტანის გასამარტივებლად და თანამშრომელთა შესაფერად მოსამზადებლად.

1905 წ. დაბადებულთა გაწვევა

გაწვევა ლეჩხუმში და სვანეთში

ცაგერში 1905 წ. დაბადებულთა გაწვევა დაიწყო 15 სექტემბერს. გაწვევის დაწყებამდე სამაზრო პარტკომმა ყველა თემებში ჩაატარა წინასწარი მოსამზადებელი კამპანია. გაწვევაზე ახალგაზრდობა ცხადდება ხალისიანად. ქვემო სვანეთის ახალგაზრდობა გამოცხადდა უკლებლივ. ყველას აქვს სურვილი იმსახუროს წითელ ჯარში. ახალწვეულებს შორის სწარმოებს საავიტაციო საპროპაგანდო მუშაობა. დეზერტირობას ადგილი არა აქვს.

პ. ფრუიძე.

კომკავშირი გაწვევაზე

ადგილებიდან მოსული ცნობების თანახმად, 1905 წელში დაბადებულ ახალგაზრდების გაწვევა მთელ საქართველოში მიმდინარეობს ფრიად დამაკმაყოფილებლად. გასაწვევი ახალგაზრდობა სიხარულით მიეშურებიან წითელ ყაზარმებისაკენ, რომ იქ შეისწავლონ სამხედრო საქმე და ამასთანავე შეითვისონ ყოველ მოქალაქისათვის საჭირო ცოდნა.

გაწვევის წარმატებით ჩატარებას მეტად ხელს უწყობენ ჩვენი კომკავშირის ორგანიზაციები და თვით კომკავშირელნიც. გაწვევის დაწყებამდე კომკავშირის მიერ ჩატარებულ იქნა დიდი მოსამზადებელი მუშაობა როგორც კომკავშირელთა, ისე უპარტიო ახალგაზრდობის შორის. გასაწვევებს აეხსნათ გაწვევის მნიშვნელობა, მისი წესები და სხვა. ამის შედეგი იყო გაწვევაზე მომზადებულად და შეგნებულად გამოცხადება.

გაწვევაშიც კომკავშირი იღებს უახლოეს მონაწილეობას. თითქმის ყველგან კომკავშირის ინიციატივით მოეწყო სამხედრო კომისარიატებთან და გასაწვევ წერტილებთან საავიტაციო პუნქტები, სადაც განუწყვეტლივ მორიგეობენ კომკავშირელები და აწარმოებენ საავიტაციო - საპროპაგანდო მუშაობას. კომკავშირელები აწყობენ საუბრებს, მოხსენებებს, ხმა - მაღალ კითხვას და აწვდიან ცნობებს მსურველებს გაწვევის შესახებ. იწყობა აგრეთვე პუნქტებზე წარმოდგენები, კონცერტები, რომლებშიაც მონაწილეობენ კომკავშირელნი.

ყველა ამის გარდა კომკავშირის მუშაობას გაწვევაზე აქვს კიდევ ერთი დადებითი მხარე: თავისი ყოფა - ქცევით, დისციპლინით, საქმისადმი შეგნებული მოპყრობით, კომკავშირელნი ძლევენ მაგალითს დანარჩენ ახალგაზრდობას. აწარმოებენ რა სისტემატიურად საუბრებს მომავალ ცხოვრებაზე ყაზარმაში, სამხედრო სწავლაზე, დისციპლინის მნიშვნელობაზე სამხედრო სწავლების დროს, კომკავშირელნი ამით უწევენ დიდ დახმარებას წითელ არმიას.

შეღავათები გაწვეულთა ოჯახებს

საბჭოთა ხელისუფლება, იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ამა თუ იმ ახალგაზრდის გაწვევით წითელ ჯარში გაწვეულის ოჯახს აკლდება მუშა - ხელი, ანიჭებს გაწვეულთა ოჯახებს მთელ რიგ შეღავათებს და უპირატესობებს.

მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები ამ დარგში თავმოყრილია „კოდექსში წითელარმიელთა ოჯახების შეღავათებზე და უპირატესობებზე".

შეღავათები ვრცელდება დღიდან ახალგაზრდათა გაწვევისა წითელ ჯარში მთელ მის ოჯახზე. არსებობს შეღავათების შემდეგი მთავარი სახე: 1) შეღავათები მიწით სარგებლობის და სასოფლო - მეურნეობის დარგში, 2) შეღავათები გადასახადის დარგში, 3) საბინაო შეღავათები და 4) შეღავათები სახ. სოციალურ დაზღვევის დარგში.

გაწვეულთა ოჯახების დაცვა დავალებული აქვთ ადგილობრივ ხელისუფლებას: აღმასკომებს, მილიციის ორგანოებს, სოფლის საბჭოებს, რომელნიც ვალდებულნი არიან აიყვანონ აღრიცხვაზე გაწვეულთა ოჯახები და მიიღონ ზომები, რომ მათზე გავრცელდეს ყველა შეღავათები, დაწესებული ხელისუფლების მიერ.

გაწვევის დღიდან

თბილისში 19-დან 21 სექტემბრამდე იწარმოებს მე-4 სამილიციო უბანში მცხოვრებთა გაწვევა. გაწვეულები ცხადდებიან მთავარ გამწვევ კომისიაში.

19-ან — 23 სექტემბრამდე გაიწვევიან მეათე სამილიციო უბანში მცხოვრებნი, რომელნიც უნდა გამოცხადდენ მეორე დამატებით კომისიაში.

21 სექტემბერს იწარმოებს მანგლისის და პრიუტის თემის ახალგაზრდების გაწვევა.

ელ.

ქრონიკა

მისალმება საქართველოს ცაკს

საქართველოს ცაკმა განათლების ინსტრუქტორთა კონფერენციის პრეზიდიუმისაგან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა: სრულიად საქართველოს ინსტრუქტორთა კონფერენცია ასრულებს რა თავის მუშაობას მოგესალმებათ და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას მშრომელთა საკეთილდღეოთ. თავის მხრივ კონფერენციის წევრები მთელი თავის ძალღონით ამიერიდან უფრო ენერგიულად მიიღებენ მონაწილეობას განახლებულ შრომის სკოლების განმტკიცების საქმეში მშრომელთა საკეთილდღეოთ.

ამხ. სმირნოვის ჩამოსვლა

18 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა რუსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. სმირნოვი.

პოლონელი დიპლომატების ჩამოსვლა

19 სექტემბერს, საღამოთი თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის მისიის სამხედრო ატაშე მოსკოვში ბ. ტ. კობილინსკი და სამხედრო ატაშეს მოადგილე ბ. ი. ბრუდზენი.

ამხ. ა. მ. კაკტინდი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს მდივანი და გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნის“ რედაქტორი ამხ. ა. მ. კაკტინდი.

ამხ. ვ. ა. მაიდერის ჩამოსვლა

თავრიზიდან თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გენერალური საკონსულოს მდივანი თავრიზში ამხ. ვ. ა. მაიდერი.

საბერძნეთის ელჩის გამგზავრება

საბერძნეთის რესპუბლიკის საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი მოსკოვში ბ. ნაკოს პანურიასი 18 სექტემბერს ესტუმრა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ს. ლუკაშინს. საღამოს ბ. პანურიასი გაემგზავრა ბათომში.

პროფ. ს. პ. შენბერგი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა კიევის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის პროფესორი ს. პ. შენბერგი.

თბილისის ალმასკომში

◆ **აბანოები სოფლად.** თბილისის მაზრაში ერწოს თემში ალმასკომი აგებს აბანოს.

◆ **ზოოლოგიური ბაღი.** ამჟამად სწარმოებს ზოოლოგიურ ბაღის დაგეგმვა. ბაღის მოწყობას შეუდგებიან მიმდინარე წლის ბოლოს.

◆ **ახალი ვაგონები.** ტრამვაის დირექტორმა მიიღო კიდევ 2 ახალი ვაგონი, რომლებიც სამუშაოდ გამოშვებული იქნებიან ამ დღეებში.

ა.-კ. სახ.-სამ. ბანკში

◆ **ძირითადი თანხა.** ა.-კ. სახ.-სამ. ბანკმა აღძრა შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, ბანკის ძირითადი თანხის 3 მილიონიდან 5 მილიონამდე გადიდების შესახებ.

◆ **თათბირი.** 21 სექტ. ა.-კ. სახ. სამ. ბანკში შესდგება საგანგებო თათბირი საკრედიტო ამხ-ბებისთვის ანგარიშ-წარმოების ახალი ფორმების შესადგენად.

◆ **საკრედიტო ამხ-ბები.** ამჟამად მთელ ამიერ-კავკასიაში ითვლება 334 საკრედიტო ამხ-ბა, რომლებშიაც ირიცხება 174.000 წევრი.

◆ **აქციების შეძენა.** ა.-კ. სახ.სამ. ბანკმა შეიძინა სააქციო საზ-ბის „ზაკსელმაშის“ აქციები 10.000 მანეთის რაოდენობით.

კომისიის გამგზავრება

გზათა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს კომისია ამხ. იაკიმოვის მეთაურობით თბილისიდან გაემგზავრა ქუთაისში. კომისია დაათვალიერებს ოსეთის სამხედრო გზას და შემდეგ აჭარისტანის და აფხაზეთის გზებს.

კომისიის გამგზავრების წინ ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოში შესდგა გაფართოვებული თათბირი, რომელსაც დაესწრნენ რესპუბლიკების გზატკეცილების სამმართველოების, ადგილობრივ ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს, პროფესიონალურ ორგანიზაციების, ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები; თათბირზე მიღებული იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებები ამიერ-კავკასიაში საგზაო მშენებლობისათვის ფინანსების მიწოდებისა; გზების შეკეთებისა და სხვათა შესახებ.

სხვადასხვა

◆ **პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროსთან** დაარსდა ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია.

◆ **კონკურსი საუკეთესო მუშაზე.** ამ დღეებში აბრეშუმის ძაფის სართავ და ბამბის ქარხნებში ახალგაზრდა მუშებისათვის მოეწყობა კონკურსი საუკეთესო მუშაზე.

◆ **ახალი ასოთამწყობები.** ოქტომბრის 10 წლის თავზე მოხდება პოლიგრაფიულ სკოლის მოწაფეთა გამოშვება.

ჩაუბარებელი დეპეშები

პოპოვსტროიდან — ვაშაკიძეს, ბაქოდან— კოზხპოს, ბათომიდან — ბონდურინს, კოლპიშევიდან — კიკნაძეს, ბათომიდან — რზიანკინას, ტვერიდან — კომურჯაშვილს, ლენინაკანიდან — პეტროსიანს, მოსკოვიდან — მონასოვს, ზასარგეჩარიდან — ბაგდასაროვს, კაფანიდან— აკოპიანს, ბათომიდან — იარალოვს, ცაგერიდან გორდიმიანს, ქარელიდან — გურჭკაიას, ტაშკენტიდან — ფირცხალაშვილს.

შემთხვევები

◆ **სახლიდან გავიდა** 16 სექტემბერს და აღარ დაბრუნებულა თბილისის სომხურ პედაგოგიური ტეხნიკუმის პირველი კურსის მსმენელი, 18 წლის ქალი ვარდუში მიხეილის ასული ნაზარიანცი. მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 15.

◆ **თავისუფლების მოედანზე.** დავით დანიელის ძე დავიდოვს ამოაცალეს ფული. ჯიბგირი გაბრიელ იაკობის ძე მეგრელიშვილი შეიპყრეს.

◆ **ყოფ. სამხედრო ტაძრის ეზოში** მიხეილ ალექსანდრეს ძე ცინცაძეს (უბინაო) ძილის დროს მოპარეს ტყავის ტუჟურკა. ეჭვით შეიპყრეს ლევან ბაგრამოვი და ბაგრატ არუთინოვი

◆ **დაპატიმრება.** 18 სექტ. დააპატიმრეს გედალი ხუნოს ძე ბერენგარდი, რომელსაც უნდოდა აქსენტი ძაგანიასათვის ფულის ამოცლა.

◆ **თავის დაჭრა.** 18 სექტ. გუნიბის ქ. № 38, ალექსანდრე ივანეს ძე ჯაფარიძემ თვითმკვლელობის მიზნით დანით მძიმეთ დაიჭრა თავი.

◆ **გაუპატიურება.** 18 სექტ. მე-7 სამილიციო რაიონის ფარგლებში მტკვარში იპოვეს დამხრჩვალი ქალის გვამი 15—16 წლის; ექიმის შემოწმებით, ქალი გაუპატიურებულია. ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

◆ **გლეხების გაქურდვა.** რიყის ქუჩაზე, სოფ. წინწყაროელ გლეხებს ფარაჯანოვს, დიმოევს და კენჭაძეს მოპარეს ურმიდან ნავაჭრი ნივთები. ქურდი ნიკოლოზ ალაპის ძე ნერსესიანცი შეიპყრეს.

◆ **ხითაროვისეულ ქარვასლაში** გლეხს იოსებ დავითის ძე ზურაშვილს ამოაცალეს 60 მან. ჯიბგირი მიშა იაკობის ძე ჩიკვაიძე იქვე დააპატიმრეს.

5 კაცის დაკარგვა

15 სექტ. სახლიდან გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა შალვა ალექსანდრეს ძე არველაძე, (მცხოვრები. ორთაჭალა, ბაღი № 18).

ამავე დღეს სახლიდან გაიპარა ანტონ მათეს ძე გორდაძე (მცხ. ორთაჭალა. ბაღი № 16).

18 ივნისს. მცხოვრებ რტიშჩევის ქ. № 15, სახლიდან გავიდა ქსენია მირონის ასული დეშევაია 16 წლის და დღემდე ვერ იქნა აღმოჩენილი.

8 სექტემბერს, მცხ. ბებუთოვის ქ. № 20, სახლიდან გავიდა და დღემდე არ დაბრუნებულა ალექსანდრე მიხეილის ძე ჩუბინიძე (19 წლის).

7 სექტემბერს უგზოუკვლოდ დაიკარგა მოქ. შამისტან ველი-ოღლი გუსეინოვი, 22 წლისა.

ხელოვნება

სიმფონიური ორკესტრის მსახიობთა საღამო

საორკესტრო მუსიკოსების 1-მა შრომის კოლექტივმა მოაწყო საღამო, რომელმაც საუკეთესოდ გამოაშკარავა მათი მუშაობა. კონცერტს დაესწრო დიდძალი ხალხი, განსაკუთრებით მშრომელთა წრიდან. დირიჟორ სტოლერმანმა სიტყვით მიმართა ორკესტრის მსახიობთ და აღნიშნა, რომ კოლექტივის მიერ გამართული საღამო შემთხვევით მოხდა თბილისის სიმფონიურ ორკესტრში სტოლერმანის მუშაობის 9 წლის თავზე. აუდიტორია მხურვალედ მიესალმა როგორც სტოლერმანს, ისე ორკესტრის მსახიობთ.

კონცერტზე შესრულებული იქნა ჩაიკოვსკის ფრანგი კომპოზიტორი სენ სანსის და იტალიელი კომპოზიტორი პუჩინის ნაწარმოებნი.

ჩაიკოვსკი თავისი შემოქმედებით ლირიკია. ეს მიმართულება განსაკუთრებით ეტყობა მის მეექვსე სიმფონიას და სწორედ ამიტომ აღნიშნულ სიმფონიის შესრულება იწვევს ერთნაირ სიძნელეს. თუმცა შესრულება გარეგნულად უნაკლო იყო, მაგრამ სტოლერმანმა ვერ შექმნა სათანადო განწყობილება სიმფონიის პირველი ორი ნაწილის შესრულების დროს, მხოლოდ მესამე ნაწილს დაეტყო სასურველი ხასიათი და მხატვრულად და უნაკლოთ შესრულებული იქნა მხოლოდ უკანასკნელი ნაწილი, სადაც სტოლერმანმა გამოიჩინა მთელი თავისი არტისტული მგრძნობიერება.

მეორე განყოფილებაში ორკესტრმა შეასრულა ჩაიკოვსკის სიმფონიური პოემა „ფატუმი“. პოემა შესრულებული იქნა მეტად მხატვრულად. სტოლერმანმა მოგვცა მთელი რიგი ფერადი და წარმტაცი მომენტებისა. მსახ. როგოვსკაიამ შეასრულა სენ-სანსის ფორტეპიანული კონცერტი. პირველ ნაწილში სასურველი იყო უკეთესი ფრაზიროვკა. მაგრამ მეორე და განსაკუთრებით მესამე ნაწილი მშვენივრად იქნა შესრულებული. მსახიობმა გამოიჩინა კარგი ტეხნიკა და მუსიკალური მგრძნობიარობა. სახ. ოპერის მსახიობმა ქუმსიაშვილი ძლიერ მუსიკალურად შეასრულა არია პუჩინის ოპერიდან „ქალი დასავლეთიდან“.

ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— **საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბში** დღეს, 20 სექტემბერს, გაიმართება იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებულ „წერა-კითხვის უჯრედის“ სასარგებლოდ მწერალ მიხ. ჯავახიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნების“ გმირების ლიტერატურული გასამართლება.

— **მუსიკალ ტეხნიკუმში** პლეხანოვის სახელობის მუსიკალურ ტეხნიკუმში ახლად მისაღებ მოწაფეთათვის გამოცდები დანიშნულია შემდეგი რიცხვებში:

19 სექ. 5 საათზე — ფორტეპიანოს კლასი, 20 სექტემბერს 6 საათზე — სიმღერის კლასი, 21 სექტ. 5 საათზე — ვიოლინჩელოს კლასი, 23 სექტ. 5 საათზე — სავალდებულო თეორიულ საგნებში და სპეციალურ თეორიაში, 24 სექ. 5 საათზე — შემოდგომაზე გადადებული გამოცდები ყველა ფაკულტეტებზე, 26 სექტ. 5 საათზე —დამატებითი გამოცდები ყველა ფაკულტეტებზე.

— **„სანაპირო“.** დღეს მუშათა ქართულ ახალ კლუბში „წითელი შოლტის“ მიერ წარმოდგენილი იქნება მ. გოგიაშვილის პიესა: „სანაპირო“.

— **ჟურნალი „მიზნის“** რედაქცია ანგარიშის გასასწორებლად იწვევს იმ ამხანაგებს, რომელთაც წაღებული აქვთ „მიზანი“ № 1 და2.

— **წყალდიდობა აჭარისტანში ეკრანზე.** რეჟისორმა კულიშევმა ეკრანზე გადაიღო ამას წინად აჭარისტანში მოსული წყალდიდობა. სურათი ნაჩვენები იქნება ამ დღეებში თბ. კინოებში.

— **„საქართველოს მრეწველობა“.** სახ. მეურ. უმ. საბჭო ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის გამოუშვებს სურათს: „საქართველოს მრეწველობა“.

— **დიდი საღამო.** ოქტომბრის 10 წლის თავის დღესასწაულის დღეს ოპერის თეატრი და მუშათა თეატრის რუსული დრამა გამართავს დიდ საღამო-კონცერტს.

სასამართლო

ს. ახვლედიანის საქმე

ს. ახვლედიანმა სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატისაგან მიიღო ფონდი კლუბებში გასათამაშებელ ლატარიების მოწყობა და ხელმძღვანელობა. ერთხელ ახვლედიანთან მოვიდა ს. ძ. უ. საბჭოს თანამშრომელი სვანიძე, რომელსაც ახვლედიანმა წინადადება მისცა ეკისრა მისი კონტრაგენტობა კლუბებში გასათამაშებელ ლატარიების მოწყობის საქმეში. სვანიძე დათანხმდა.

მას ყოველთვიურად უნდა ეძლია კომისარიატისთვის 300 მანეთი. არავითარი სხვაგვარი პირობა სვანიძესთან არ დაუდვიათ. სვანიძეს შეეძლო ემოქმედნა ისე, როგორც საჭიროდ დაინახავდა ხელშეკრულობის უქონლობამ საშუალება მისცა სვანიძეს ეკეთებია ბნელი საქმეები. სხვათა შორის, მას შეუთანხმდა თვით ბრალდებული ახვლედიანი,—რომელიც მას აძლევდა თავის ძვირფას ნივთებს. სვანიძე აწყობდა ამ ნივთების გათამაშებას საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებში. გარდა ამისა, მოქ. ახვლედიანს ბრალდება სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის ფულის სულ 1262 მანეთის გაფლანგვა. ახვლედიანს ბრალად ედება უფლების ბოროტად გამოყენება და ზემოხსენებული თანხის გაფლანგვა, ხოლო სვანიძეს აფერისტობა.

სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის სამოქალაქო მოსარჩლემ განაცხადა, რომ ახვლედიანმა კომისარიატს მიაყენა რვა ათასი მანეთის ზარალი, რომელიც საბრალმდებლო ოქმში არ არის აღნიშნული, და მოითხოვა დაშვებულ იქნეს იგი საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. ლაშხი, ბრალმდებელია ამხ. კაპანაძე—დამცველნი: მ. ღვამიჩავა, შ. ნუცუბიძე, ტატიშვილი, პ. საყვარელიძე.

დანიშნულის გატაცება

ილია მირიანაშვილს და დარია ჩექურაშვილის ქალს ერთმანეთი უყვარდათ არც მშობლები იყვნენ მათი ქორწინების წინააღმდეგი. ერთს მშვენიერ დღეს მათ დიდი ამბით გადაიხადეს ნიშნობა. ამ დღიდან დარიას იცნობდენ, როგორც მირიანაშვილს დანიშნულს. სხვადასხვა ოჯახური მიზეზების გამო ქორწინება (რეგისტრაციაში გატარება) დროებით გადაიდო. გავიდა ხანი. ქალში მოხდა დიდი ცვლილება: მისი ტრფობა თავისი საქმროსადმი თანდათან ნელდებოდა. ბოლოს ქალს აღარ მოსწონდა თავისი საქმროს არც გარეგნობა და არც ხასიათი. ერთს საღამოს ქალმა კიდეც აცნობა თავისი განწყობილება საქმროს და თან დასძინა, რომ მას სურვილი არ აქვს გაჰყვეს ცოლად.

ამ უარმა შეურაცხყო ილია მირიანაშვილი, რომელიც დარიას ოფიციალურ საქმროდ იყო ცნობილი, მან გადასწყვიტა ძალათ დაეყოლებია ქალი ცოლობაზე..

მიმდინარე წლის 3 ივლისს, როცა დარია ღამით თეატრიდან შინ ბრუნდებოდა—თავის ამხანაგების თანხლებით. ილია მირიანაშვილი თავისი ბიძაშვილი გიორგი მირიანაშვილისა და სხვა ამხანაგ. მონაწილეობით მოულოდნელად თავს დაესხა ქალს და ახლობელ ტყეში გაიტაცა

ქალმა აქაც უარი განაცხადა ცოლად გაყოლაზე.

მაშინ ვაჟმა მიმართა მუქარას, რამოდენიმე საათის განმავლობაში მუქარა ხვეწნას სცვლიდა, ხვეწნა მუქარას. ბოლოს მოქანცული ქალი დასთანხმდა მირიანაშვილის ცოლობაზე და დანებდა კიდეც. მირიანაშვილის საქმე დამთავრებული ეგონა, მაგრამ სოფელში დაბრუნებისას ქალმა მილიციას განუცხადა, რომ მასზე ძალა იხმარა ილია მირიანაშვილმა. საქმე გადაეცა სასამართლოს. ამხ. საქ. საოლქო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ბრალდებულს ილია მირიანაშვილს მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მის ბიძაშვილს გიორგის ერთი წლით პირობითი სასჯელი ქალის გატაცებაში მონაწილეობის მიღებისათვის.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

21 სექტემბერს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციური მუშათა 1-ლი სექცია:

ოგაჯანოვ გრიგორი, ზუბალოვ ალექსანდრ, ღუკუკოვ სედრაკ, ავეტისოვ არშაკ, მუნიანი სოლომონი, კოტეტიშვილი პლატონ, სირაძე გრიგორი, კიტიაშვილი ნიკოლოზი.

რკინის გზის მე-7 სექცია:

რკინის გზის მე-7-ღე სექციას სჭირდება 21 სექტემბრისათვის 60 კაცი სამუშაოზე გასაგზავნათ. რკინის გზის ახრანაში. მხოლოდ ყველა უნდა იყვნენ ყოფილი წითელარმიელები, რომლებმაც გაათავეს წითელარმიაში მორიგი გაწვევა, 1925 წლიდან და ამჟამად იმყოფებიან უმუშევართა რიცხვში. მსურველნი გამოცხადდენ რკინის გზის მე-7-ღე სექციაში სათანადო მოწმობებით.

სპორტი

კალენდარული შეჯიბრები

დღეს ლენინის სახელობის სტადიონზე იწყება შემოდგომის სეზონის კალენდარული შეჯიბრები ქალაქის პირველობაზე.

დილის ცხრა საათზე თამაშობენ „წითელი ფიზკულტურელი“ და „მერვე შრომის სკოლა“; მსაჯი ორეხოვი; დილის 11 საათზე „მედსანშრომა პირველი“—„ზაკ.-მატ“; მსაჯი სოლტანი.

ნაშუადღევის ოთხ ნახევარ საათზე თამაშობენ პირველი კატეგორიის გუნდები: „საგზაო-სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტსამმართველო“—„საბჭოთა მუშაკები“. მსაჯი კრავჩენკო.

დღეს, სამშაბათს, 20 სექტემბერს დღის 4 ნახ. საათზე „დინამო“-ს სტადიონზე „დინამო-პირველისა“ და კომუნალური მუშაკების გუნდს შორის გაიმართება შეჯიბრი.

კომუნალური მუშაკების გუნდი ახლად შემდგარია და მისი შეხვედრა თბილისის უძლიერეს გუნდთან იქნება გამოცდა ფიზკულტურულ ახალგაზრდების მოსამზადებლად.

წერილები რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ საშუალება მომცეთ თქვენი გაზეთის შემწეობით გამოვაცხადო, რომ „კომუნისტი“-ს № 212-ში მოთავსებულ წერილში: „სამნი არიან, ტოლნი არიან“ ნახსენებ მოქ. გიორგი ჟორდანიასთან საერთო არა მაქვს რა.

გიორგი თევდორესძე ჟორდანია.

ამხ. რედაქტორო

თითქმის ხუთი თვეა, რაც დასავლეთ საქართველოში ვმოგზაურობ კულტურული მიზნებით: საქართველოს სოციალური ყოფის და ბუნების შესასწავლად მოგზაურობის დროს ზოგჯერ ვმართავ ლიტერატურულ საღამოებს ადგილობრივ ლიტერატურულ ძალებთან ერთად.

„კომუნისტი“-ს 11 სექტემბრის 27-ს ნომერში წავიკითხე წერილი „ზ. ბ-ე“-ს ხელმოწერით „ლიტერატურული კვაჭების გასტროლები“, რომელიც საჯაროთ მაყენებს შეურაცყოფას. მოგზაურობის დროს არავითარი კომერციული მიზანი არ მქონია, პირიქით, 400 მანეთი შევსწირე საყვარელ და საჭირო საქმეს. ვფიქრობ, რომ ამის შემდეგ ავანტიურისტი და „კვაჭი“-ს სახელწოდების ღირსი მე არა ვარ.

ვალერ დაისელი.

ოფიციალური განყოფილება

საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისრის ინსტრუქცია

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის და სახკომსაბჭოს დადგენილების 1927 წლის 5 სექტემბრის თარიღით № 80 ცხოვრებაში გატარების შესახებ.

შესასრულებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახკომსაბჭოს დადგენილებისა 1927 წ. „5“ სექტემბრის თარიღით სასამართლოს წყობილების დებულებაში „დამცველთა კოლეგიისათვის ახალი მე-6 თავის შეტანის შესახებ“, იუსტიციის სახალხო კომისარი წინადადებას იძლევა იხელმძღვანელონ შემდეგით:

1) ამა წლის 1 ოქტომბრიდან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოებთან არსებული ეხლანდელი შემადგენლობის დამცველთა კოლეგია ჩაითვალოს დაშლილად.

2) უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარემ დაარსოს კომისია სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახკომსაბჭოს ზემო მოხსენებულ დადგენილებაში აღნიშნულ შემადგენლობით, განცხადებები მისაღებად დამცველთა კოლეგიის წევრთა ახალ შემადგენლობაში ჩარიცხვის შესახებ. კომისია შეუდგეს მუშაობას ა. წ. 12 ოქტომბრიდან.

3) ვისაც სურს დამცველთა კოლეგიის ახალ შემადგენლობაში წევრად შესვლა, უნდა წარუდგინოს კომისიას განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს: მუშაობის სტაჟს, ქალაქს ან სოფელს რომელსაც ისინი ირჩევენ თავიანთ მუდმივ სამუშაო ადგილათ და რომ მათი კოლეგიაში შესასვლელად არავითარი კანონიერი დაბრკოლება არ არის. განცხადებას უნდა დაერთოს საჭირო საბუთები და აგრეთვე წერილობითი რეკომენდაციები საბჭოთა, პარტიულ ან პროფესიონალურ ორგანიზაციების არა ნაკლებ სამი პასუხისმგებელ მუშაკისა.

4) კომისიის მიერ ყველა განცხადებების და მათთან დართულ ცნობების შემოწმების შემდეგ, იმ პირთა სია, რომელნიც აკმაყოფილებენ დამცველთა კოლეგიის წევრად შესვლისათვის დაწესებულ პირობებს წარედგინება იუსტიციის სახალხო კომისარს.

5) დამცველთა კოლეგიის ეხლანდელი შემადგენლობის წევრები შეიძლება ჩაირიცხნენ დამცველთა კოლეგიის ახალ შემადგენლობის წევრებად, მხოლოდ ამ ინსტრუქციის მესამე მუხლში აღნიშნულ წესით (ე. ი. კომისიის მეშვეობით)..

6) მუშაობის დამთავრების შემდეგ კომისია იწვევს დამცველთა კოლეგიის წევრთა პირველ საერთო კრებას დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის ასარჩევად.

7) საჩივრები დამცველთა კოლეგიის წევრად მიღებაზე ფორმალური მიზეზების ძალით უარის თქმის გამო წარედგინება იუსტიციის სახალხო კომისარს.

8) დამცველთა კოლეგიის ეხლანდელი პრეზიდიუმი კანცელარიასთან ერთად განაგრძობს თავის მოვალეობის ასრულებას, პრეზიდიუმის ახალ შემადგენლობის არჩევამდე.

9) დამცველთა კოლეგიის ყოფილ წევრებს ნება ეძლევათ დაამთავრონ სასამართლო დაწესებულებებში მათ მიერ წინათ აღებული საქმეები, ხოლო იმ წევრთ, რომელნიც ერთი თვის ვადაზე ამ ინსტრუქციის გამოქვეყნების დღიდან წარადგენენ განცხადებებს კოლეგიის წევრთა ახალ შემადგენ. მიღების შესახებ ნება ეძლევათ აიღონ ახალი საქმეებიც, ვიდრე მათ გამოეცხადებათ კოლეგიის წევრად მიღების თუ მიუღებლობის შესახებ: მათვე ეკისრებათ მოვალეობის ასრულება კოლეგიის პრეზიდიუმის და სასამართლოების მინდობილობით.

10) კოლეგიის წევრნი აღნიშნული მეორე მუხლში კარგავენ ახალი საქმეების აღების უფლებას იმის შემდეგ, როდესაც მათ გამოეცხადებათ, რომ ისინი მიღებული არ არიან კოლეგიის ახალ შემადგენ.: ამასთან ისინი მოვალენი არიან წარუდგინონ სათანადო სასამართლო დაწესებულებას ის საქმეების სია, რომლებიც მათ აიღეს და ვერ დაამთავრეს იმ დრომდე, როდესაც მათ გამოეცხადათ, რომ ისინი მიღებული არ არიან დამცველთა კოლეგიის ახალ შემადგენლობაში.

11) დამცველთა კოლეგიის ახალ წევრთა მიმღებმა კომისიამ სათანადო გამოქვეყნებით უნდა გამოაცხადოს კოლეგიის წევრთა მიღების შესახებ და ამასთან უნდა აღნიშნოს განცხადებების წარდგენის წესი და ვადა.

12) მთელი მუშაობა დამცველთა კოლეგიის ძველი შემადგენლობის დათხოვნისა და ახალი შემადგენლობის დაარსების შესახებ დამთავრდეს ა. წ. 12 ნოემბრამდე.

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე **ი. ტალახაძე.**

19 ოქტომბერი 1927 წ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იწვევს და ამაგრებს შესაფერ რაიკომებთან საპროპაგანდო მუშაობის საწარმოებლად შემდეგ ამხანაგებს

პირველ რაიკომთან

დენდუროვი, ვოიკინი ეფიმი. გაბესკირია, კულუჯანოვი, ლანდო; მელნიკოვი; საყვარელიძე; ბოგდანოვი; ხუბოვი, ტატულოვი, მეიფარიანი. თოფურიძე.

მეორე რაიკომთან

რიხლაძე (სახმედვაჭრობა), გაგნიძე (იუსტიციის სახ. კომისარიატი), მდივნიშვილი (მეორე შრომის სკოლა), ნარჩემაშვილი (შრომის სახ. კომ.), ბუჯიაშვილი, პრეობრაჟენსკი (ლითონტრესტი); კლიმენკო (სახმედვაჭრობა), აგაბაშვილი, შველიძე; ბუნიატოვა ს., კრუჩკოვა ს., სამოხველოვი; ოოლოვი (თბილისის პარტსკოლა); გოროხოვი (პარტსკოლა), ბეკატოვი (პარტსკოლა), სარქისოვი, რეზენგაუზი (პარტსკოლა), გავრილოვი (უმაღ. პარტსკოლა); გრიგორიანი (უმაღ. პარტსკოლა).

მესამე რაიკომთან

ხანდკეროვი, ზეჟანოვი; მაქსიმოვი, ნუცუბიძე; ვანციანი, პუზული; ომაროვი; პეტროვი; პერჩიანი; მელიაძე; სოსიანი; ნონიანი, მურადოვი; კიგუროვი, სისაკიან პოლოიანი, ალი-ტაგიზადე; თოიძე; თუმანიანი; საკიანი:

მეოთხე რაიკომთან

ნებიერიძე, პოპლავსკი; ტოლოგდავა (იუსტიციის სახ. კომ.), აბრამოვი (მთ. პოლიტსამმართველო); ალმალოვი (ა. კ. ფინსახკომი), სლუცკი, ჭყონია; ბავინი, მარკოვინო, გაჯაევა, გეგენავა; დონაძე; ივანჩენკო; ბოლოტნიკოვი, ვეინგერი; მაისურაძე; შტიკოვი; რახმანი; საყვარელიძე (იუსტ. სახ. კომ.) ტუხაშვილი (სახ. უნივერ.), მაირანოვსკი; თენეიშვილი (იუსტ. სახ. კომ.); მონატოვი; აღნიაშვილი („ზარია ვოსტოკა“); ლუჩანსკაია (ზ. ვ.“), კაჭარავა მამანტი (საოლქო სასამარ.), ჯაში (იუსტ .სახ. კომ.); ზედია მაკარი (იუსტ. სახ. კომ.); კალნიცკი; მანუციანი; მარგოლინი; ოლიონ; ტალახაძე; ლეჟავა ნოე, მირზაბეკიანი, ამელოვი; ტაგრაზოვი (ს. კ. პ. ა. კ. საოლქო კომიტეტი); პონარენკო, აბრამჩუკი და ა. კ. კომუნისტური უნივერსიტეტის მესამე და მეოთხე კურსის ყველა სტუდენტები, უჯრედის ბიუროს მიერ შედგენილი სიის მიხედვით.

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედთა ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ცალ ცალკე ფაკულტეტებთან არსებულ უჯრედ. ტეხ. მდივნებს გამოცხადდენ 20 სექტემბერს, დილის 12 საათზე, მდივნებთან.

საქართველოს კომ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სასწრაფოდ გამოცხადდენ საქართველოს კომ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 54) ამხ. ისაკოვთან 1) მახარაძე ნინა ქაიხოსროს ასული, 2) ჯვალადანია აგრაფენა ეფრემის ასული, 3) დოლიძე ვალერიან არონისძე, 4) ზამთარაძე არკადი სოლომონისძე, 5) ჩანკვეტაძე დავით გიორგისძე, 6) გოგუა კონდრატ ელიაზარისძე, 7) ქოიაია ალექსანდრე ალექსანდრესძე.

— საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იუწყება, რომ დღეს, 20 სექტემბერს, ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროსპ. 123) გაიმართება 26 კომუნარის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო, რომელზედაც მიწვეული არიან ყველა მუშები და მოსამსახურენი.

საღამო დაიწყება 6 საათზე.

პარტკალენდარი 123456 კლბთრდ სუვოზე უეა

— ს. კ. პ. (ბ) ცეკას ქალთა განყოფილება 21 სექტ.; 8 საათზე იწვევს თათბირს; რომელზედაც უნდა დაესწრონ ამხ.. შავერდოვი; ბელიაევსკი; და 1, 2, 3, 4 რაიკომების ქალთა განყოფილ. გამგეები.

— ოთხშაბათს, 21 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დანიშნულია ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის სხდომა, რომელზედაც მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: ლ. ღოღობერიძე, მაშკევიჩი, მუშიშვილი, ორახელაშვილი, ასრიბეკოვი, მიქაძე, პირალოვი; ამალობელ; დუდუჩავა, ვ. კანდელაკი, ვ. ჯაფარიძე, ს. სტურუა, მუსოლიანი, ტატულოვი, სნეგიროვი; ადამიძე, ჟორჟოლაძე, პიტოევი, დ. ორაგველიძე და ძამანაშვილი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება ამხ. ივანე მათესძე ლოპკინს სთხოვს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ამხ. ჩაჩანიძესთან (რაიკომის შენობა, ოთახი № 42).

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება 21 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მიმღებ კომისიაში (ქალაქის რაიკომის შენობა, ოთახი, № 43) იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

1) მუსიევა სოფიო, 2. კერნერი, 3- კეტიშვილი ნიკოლოზ, 4) კიროვი პავლე, 5) კოსიშვილი ალექსანდრე, 6) ხაჩ-ოღლი-ფატა, 7) ეგიანცი არტო, 8) ასატუროვი სპირიდონ, 9) გალუსტოვი ზაქარია, 10) მოსეჯოვი კ., 11) ავეტისოვი სარქის, 12) ფანცულაია ალექსანდრე, 13) მაკაროვი გიორგი, 14) გოლოვახინი იაკობ, 15) ხარაზოვი პეტრე, 16) მიქავა კონსტანტინე, 17) ხორკოვი ალექსანდრე, 18) ჩხენკელი აკაკი, 19) აფხაძე პარმენ, 20) შენტავაშვილი ზენო, 21) ბაიაჯიანი პიტრე, 22) მდივნიშვილი გრიგოლი, 23) მჭედლიშვილი გიორგი, 24) ფარმანოვი ნატალია, 25) ბასილაშვილი ჰიორგი, 26) კაპელნიცკი ემილ, 27) სანტურჯიანი გაიკ, 28) ახუმოვი ამბარცუმ, 29) ბელიავცევა გრასილდა, 30) მელკუმოვი სერგეი, 31) ცქიტიშვილი შალვა, 32) გაბრიელიანი არსენ.

ოთხშაბათს 21 სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის (პლეხანოვის პრ. № 125) დარბაზში მოწვეულია ქალაქისა და სოფლის დამხმარე საზოგადოების თბილისის საბჭოს პლენუმი რაისაბჭოების პლენუმებთან და ქ. ს. დ. ს. უჯრედების ბიუროების წარმომადგენლებთან ერთად.

ოთხშაბათს, 21 სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე შესდგება თავდაცვა-ავიაქიმის მესამე რაისაბჭოს გაფართოებული პლენუმის სხდომა უჯრედების ბიუროებთან ერთად (საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის ბინა).

საქართველოს ახ. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ 21, 22 23 და 24 სექტემბერს საღ. 6-დან რვა საათამდე ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპექტი 20).

ნებიერიძე, მშვენიერიძე, ბერულავა. - მგალობლიშვილი, ჩიხლაძე; ნუცუბიძე, ჩალაძე, გორგიშვილი; კობახიძე; გურგენიძე; ჩიქოვანი; ხუციშვილი; დიდიძე; სვანიძე; კონლაძე.

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატი ამით აუწყებს, რომ 17 სექტემბერს, ქ. ნიცაში (საფრანგეთში) მოულოდნელად გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, მოსკოვის მცირე თეატრის ხელმძღვანელი, განთქმული მსახიობი და დრამატურგი

ალექსანდრე ივანეს ძე
სუმბათაშვილი (იუჟინი)

სამოქალაქო პანაშვიდის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 1684

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურულ კავშირის მთავარი კომიტეტი და ხელოვნების სასახლე ღრმა მწუხარებით, აუწყებენ საზოგადოებას, რომ ქ. ნიცაში გარდაიცვალა კავშირის საპატიო წევრი რუსეთის და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო არტისტი

ალექსანდრე სუმბათაშვილი—იუჟინი

სამოქალაქო პანაშვიდის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 1—1 კ.

რუსთაველის სახელმწიფო თეატრის დირექცია, არტისტნი და მუშამოსამსახურენი იუწყებიან, რომ ქ. ნიცაში 17 სექტემბ. გარდაიცვალა

რესპუბლიკის სახალხო არტისტი
ალექსანდრე ივანეს ძე
სუმბათაშვილი—იუჟინი

1—1—3892

რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი **ალექსანდრე ახმეტელი** იუწყება, რომ ქ. ნიცაში 17 სექტემბერს გარდაიცვალა

რესპუბლიკის სახალხო არტისტი
ალექსანდრე ივანეს ძე
სუმბათაშვილი—იუჟინი

1—1—3892

უსაზღვროდ დამწუხრებულნი: დედა პასიკო გვენეტაძისა, დები: ნინა, ვერა და ბაბო, ძმა შალიკო, სიძეები: ფილიპე გოგელია შვილებით: ნიუტა, ვალია, ჟორა, ნინა, ელენე და თამარა, თედორე ხოსიტაშვილი შვილებით: საშა და ირა, გიორგი ანდრიაშვილი შვილით ნელით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ნადია ალექსანდრეს ასული
გვენეტაძე-ორაგველიძისა

მიცვალებულს გამოასვენებენ ქუთაისიდან ოზურგეთში, სამშაბათს, 20 სექტემბერს. დასაფლავება—ოზურგეთში 22 სექტემბერს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე. ნ. 1680

გულდათუთქულნი მეუღლე მარიამ მაქსიმეს ასული შვილებით: კოკი, გელა, ვალიკო და ჩიტო, დები: ლადიკა, კატო, ფელდოსი, ძიძუ, მარიამ, ხიფულა, ვერა, სუსანა ქმრებითურთ და ფატმანი, ცოლისძმები ნიკიფორე და კარპეზ ქლენტი, ბიძაშვილები ილიკო, საშა, შოთა, გრიშა და ლადო ჯაყელები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის უძვირფასესი

გიორგი გიგოს-ძე ჯაყელის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ა. წ. 22 სექტემბერს ხუთშაბათს, სოფ. დაბლა-ციხეში (გურიაში). 3888

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ქრისტინა, შვილები: გიორგი და პლატონი როსტოს-ძე ბერაიები, რძალი ნინა და შვილისშვილები დინა, ალექსანდრა, ლენა და ოლღა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 18 სექტემბერს, გარდაიცვალა სოფ. გურფულში—ხობის თემი—პირველთა მეუღლე, მეორეთა მამა, მესამესი მამამთილი და მეოთხეთა ბაბუა

როსტომ მაგულიას-ძე ბერაია

დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 22 სექტემბერს, სოფ. გურფულში, ივლიტის ეკლესიაში. 3887

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ელენე ტოტოს ასული რძალი ელენე ალექსანდრის ასული, შვილები პეტრე, ევგენი, იონა, გიორგი, პალადი და შვილისშვილები ნაირა და ლელი ხვინგია ქალიშვილი ეკატერინე პლატონის ასული და სიძე პორფირე თომას-ძე თოდუა შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

პლატონი დავითის-ძე ხვინგია

დაკრძალვა მოხდება ს. ჭკადუაში (ზუგდიდის მაზრა) შაბათს, ა. წ. 24 სექტემბერს. 3890

დამწუხრებული მამა ევგენი, ძმები კონდრატე, ალექსი და გუგუნი, დები: ვალენტინა და ვარა, ბიძები: ერასტი გვალია, მიხა, ტერენტი და ისაკი კირიები ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 17 სექტემბერს გარდაიცვალა მათი ძვირფასი და მარადის დაუვიწყარი სახელმწიფო უნივერსიტეტის ამხ. მიხა კახიანის სახელობის მუშათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი

ნესტორ ევგენის-ძე გვალია

რომლის დაკრძალვა დანიშნულია კულევში-ფოთის რაიონი ხუთშაბათს, 22 სექტემბრის, დღის 4 საათზე. ნ. 1679

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე დესპინა ალექსის ასული ჭიჭინაძისა, ცოლისძმა ლევან ალექსის-ძე ქურციკიძე მეუღლით ეკატერინა ილიას ასულით, ცოლისდები ეკატერინა და მარიამ ალექსი ქურციკიძის ასულნი და ქვისლი გედეონ დიმიტრის-ძე წერეთელი მეუღლით ელენე ალექსის ასულით და შვილებით თამარა, ქეთო და ლეონით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 17 სექტემბერს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი

ექვთიმე (დარისპან) დავითის-ძე ჭიჭინაძე,

რომლის გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 22 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე გედეონ წერეთლის ბინიდან, რუსთაველის ქუჩა № 15, დაკრძალვა ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 6 საათზე. ნ. 1679

გულდამწვარი მეუღლე ძანიკა ანტონის ასული, შვილები: ლასიკო, აკაკი, ალექსანდრე, თამარა, შალვა და შოთა, ძმები: პორფილე და გერმანე, დები: ანიჩკა, ქრისტინე, ეფემია და ნინო და ქვისლი პორფილე სვიმონის-ძე დავლიანიძე აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ პარასკევს, 16 სექტემბერს, ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ონისიმე თედორეს-ძე ციხისელი

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 20 სექტემბერს, წმ. ნინოს სასაფლაოზე. ცხედარი გამოსვენებულ იქნება საკ. ბინიდან. ნაძალადევი, ტულის ქუჩა № 14. 3879

---

17 სექტემბერს დ. ჩოხატაურში უეცრად გარდაიცვალა

ივანე დავითის-ძე პაიჭაძე

რასაც აცნობებენ ნათესავთ და მეგობრებს მისი გულმოკლული ოჯახი: ცოლი მარინე, შვილები ეკატერინე, ელენა, დავითი და დიმიტრი, რძლები ლიუბა და საშიკო, შვილისშვილები პაჭუ, ოთარი და ნოდარ პაიჭაძეები. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 24 სექტემბერს, ს. ჯვარცხმაში, ჩოხატაურის თემი. 3878

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლო
(არტის ბაღში).

0—17 ნ. 1388

კორინა გრიფიტი და კონვეი ტირლი
(სურათ „დიადი მარადიული“-ს გმირები)
მხატვრულ შედევრში
„წარსული და მომავალი“

განსაკუთრებული წარმატების გამო კიდევ გრძელდება 2 დღით სურათის ჩვენება

„აბრეკ ზაურ“
დადგმა მიხინის. მთავარ როლში ვ. ზესტაევი

განსაკუთრებული წარმატების გამო მეორე კვირა გრძელდება მხატვრული სურათის ჩვენება

„ქ ა რ ი“

ანონსი: ხუთშაბათს, 22 სექტემბერს გაიხსნება კინო „სოლეი“,—წავა სურათი „სამი ეპოქა“

„კომუნისტი“
გაზეთზე ხელის მოწერა
— და —
განცხადებების მიღება
სწარმოებს
მთავარ კანტორაში
რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი 8—81.

ხუთშაბათს 22 სექტემბ. კაპიტალური რემონტის შემდეგ მოხდება
კინო-თეატრ **სოლეის გახსნა**
ეკრანზე წავა
მონოპოლურად

„სამი ეპოქა“

მხატვრული სურათი, რომელსაც დიდი ინტერესით მოელოდენ

მსოფლიო კომიკის სურათ „ჩვენი სტუმართმოყვარეობის“ გმირის **ბესტ. კეიტონის** მონაწილეობით

თეატრში შემოღებულია დანომრილი ადგილები.
თვალყური ადევნეთ თეატრის გახსნის დღეს.

ნ. 1682

განათლების კომისარიატი
საბუღალტრო კურსები № 2

ამით აცხადებს, რომ მეცადინეობა იწყება 1-ლ ოქტომბერს ბესიკის (ყოფ. დავითის) ქ. № 25. განცხადებების მიღება და ყოველგვარ ცნობების გაცემა სწარმოებს ყოველდღე ნიკოლაძის (ყოფ. დუშეთის) ქ. № 19, 5—6 საათ.

კურსების გამგე: **ი. ავალიშვილი**

3—1 3871

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ.
მიღება
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონით და სინათლით მკურნალობა
ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ.
ტელ. 4—82 25—1

საქართვ. ტეხნიკური საზოგადოების გამოცემანი

პ. ლანდია „ფინანსიური გამოანგარიშების სახელმძღვანელო“, ინჟ. ვ. კაკაბაძის რედაქციით. ნებადართულია როგორც სკოლებში სახმარი სახელმძღვანელო. ფ. 2 მან.

ინჟ. ვ. კაკაბაძე. „ქიმიური ომი და მშვიდობიანი მრეწველობა“ ფ. 50 კაპ.

„ „ხის მასალის ქიმიური გადამუშავება„ ფ.30 კ.

„ „ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები საქართველოში“ ნაწ. 1 ფ. 1 მან.

„ „საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და მისი საჭიროებანი და პერსპექტივები“. ფ. 1 მან.

„ „შინამრეწველობა საქართველოში“, ფ. 1 მან.

„ „ქიმია ადამიანის სამსახურში“, ფ. 30 კაპ.

„ „ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები საქართველოში“, ნაწ. 2, ფ. 1 მან.

იყიდება: მთავარ საწყობში, კამოს ქ., № 70 და წიგნის მაღაზიებში

3—1 1676

საბჭ. და სავ. მუშ. პროფკავშირის მე-2-ე საანგარიშო მუშ-თა (საბუღალტრო) კურსებზე

მსმენელთა მიღება დაიწყო. მსმენელები მიიღებიან ზოგად და სპეციალ. განყოფ-ზე. ცნობების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე, პლეხანოვის გამზ. № 166 მე-5 შრომ. სკოლის შენობაში. 10—2 ნ. 1637

საჭიროა გამოცდილი
კონტრაგენტები
შემდეგ ქალაქებში!
1. **ხაშურში**
2. **სურამში**

პირობების გაგება გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, რუსთველის გამზ. № 34

0—1 „კომუნისტი“ მთავარი კანტორა

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ჯაფარიძის ქუჩაზე, სახლი № 6 დანიშნულია 26 სექტემბერს 1927 წ. დილის 10 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა ლიზა ციციაშვილის შენობას, რომელიც შეიცავს ერთ ორსართულიან შერეული მასალისაგან გაკეთებულ სახლს, რომლის ძირა სართული შესდგება ოთხი ოთახისაგან და ზედა—ექვსი ოთახისაგან ორი სამზარეულოთი და ერთი საწყობით, შეფასებულის 1500 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან სოლომონ და ეფრემ ციციაშვილების ძიების დასაკმაყოფილებლათ; ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს ცნობები, აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 1679

მიხეილ გედევანიშვილის
ხახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი
ბ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი
მიღება დილით 8—10
ორჯონიკიძის (ყ. ანდრეევის) ქ., № 74

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 22 სექტემბერს დღის 12 საათ. სასახლის ქ. № 3 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომის, საფინვანის და დამზღვევ სალაროსადმი დავალიანებების ასანაზღაურებლად გაიყიდება სამასი ვედრა სამძარე ღვინო კასრებში, ხალიჩები, ფარდაგები, კამოდები, ბუფეტები, სარკეები, და სხვა საოჯახო ნივთები. ნ. 1683

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“ პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი ყოფ.პლეხანოვის შესახვევი) № 8

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიპნოზი.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და განაახლა
ავადმყოფების მიღება რუსთველის პროს. № 12.
13—1 3846

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) **სპეციალისტი.** ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

დაკარგე უვადო პასპორტი № 1880 ავეტიკ იაგორისძე ზარიევის სახელზე, ჩ. გ. 3880

დაკარგე პირადობის მოწმობა პენსიასიერ ფედოსი სიმონის ასული შენგელიას სახელზე, ჩ. გ. 3881

დაკარგე პარტიული ბილეთი № 0858735, გაცემული ქუთაისის ს. კ. პ. (ბ) სამაზრო ორგანიზ. მიერ ილია იორდანესძე შავლაყაძეს სახელზე, ჩ. გ. 3889

დაკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 143, მოცემული ხობის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ იოანე ბესარიონისძე ცხობარიას სახელზე, ჩ. გ. 3889